

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა „ეკონომიკა“

ვახტანგ ჩქარეული

ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

თბილისი

2020

აბსტრაქტი

დღევანდელ მსოფლიოში, ეკონომიკური თავისუფლება იკავებს ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. ეკონომიკური თავისუფლების ფენომენი განსაკუთრებით აქტუალურია გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ტრანსფორმირდებიან გეგმიური ეკონომიკიდან შერეულ ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ აღნიშნული პროცესი წარმატებით გაიარა და დღეს იგი თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ შერეულ ეკონომიკათა რიცხვს, მეტად საინტერესოა ტრანსფორმაციის პროცესში განხორციელებული გარდაქმნების ანალიზი.

სადისერტაციო კვლევის მიზნებია: ეკონომიკური თავისუფლების გავლენის შეფასება ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორც საქართველოს, ასევე პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისა და სხვა განვითარებადი სახელმწიფოების მაგალითზე. ამასთან, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ ეკონომიკური თავისუფლების თეორიული ანალიზი, რაც პირველ რიგში გულისხმობს მისი დეფინიციისა და ინსტიტუციური ჩარჩო პირობების განსაზღვრას. ცხადია, როდესაც საუბარია ეკონომიკურ თავისუფლებაზე, აქვე ჩნდება სახელმწიფოს როლის საკითხიც. ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია მოვახდინოთ მთავრობის ძირითადი ფუნქციების ანალიზი ეკონომიკური თავისუფლების ფორმირების, განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგები დაგვეხმარება კიდევ უფრო შევაჯსოთ ის სიცარიელე, რომელიც შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ ეკონომიკური თავისუფლების პრაქტიკული გავლენების წარმოჩენას უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაშრომის შედეგები ღირებულია არა მხოლოდ საქართველოს ჭრილში, ასევე პოსტ-საბჭოთა რეგიონისა და კვლევაში ჩართული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც.

Abstract

In a modern world, economic freedom plays a key role to form the economic policy of the country, despite it is a developing or a developed one. The phenomena of economic freedom is especially actual for those countries, that are transforming the structure of their economy from centrally planned system to market economy. Despite the fact, that Georgia has successfully overcome the transformation process and we can count it as the market economy, it is very interesting to analyze the changes undertaken throughout the whole process.

The goals of our research are to evaluate and assess the impact of economic freedom on macroeconomic parameters on the example of Georgia, post-soviet countries and other eastern European economies. Besides that, it is of great importance to make a theoretical analysis of economic freedom. This means to produce a modern definition of economic freedom and its institutional framework. Of course, when we are talking about economic freedom, we can not avoid discussion of the government role. We will define the role of government in terms of forming, improving and keeping economic freedom.

Theoretical and practical results of our research will help us to fill out the gap that exists because of the lack of practical researches around the topic, since transforming from centrally planned economic system to market economy.

It should be underlined, that our work will be useful not only for Georgia's analysis, but for post-soviet and other incorporated countries as well.

შინაარსი

შესავალი.....	10
თავი I - ეკონომიკური თავისუფლების თეორიული საფუძვლები და მიმდინარე გამოწვევები	20
1.1 ეკონომიკური თავისუფლების თეორიული საფუძვლები - კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა	20
1.2 ეკონომიკური თავისუფლების გაზომვის თავისებურებანი	38
1.2.1 ფრეზერის ინსტიტუტისა და ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ანალიზი	40
1.3 სადისერტაციო კვლევაში გამოსაყენებელი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შერჩევა	66
თავი II - ეკონომიკური თავისუფლების გაანგარიშების თავისებურებები და კავშირი სოციალურ პარამეტრებთან.....	73
2.1 ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ანალიზი და საქართველოს ტრანსფორმაცია.....	73
2.2 მთავრობის როლი ეკონომიკური თავისუფლების მისაღწევად.....	86
2.3 ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოსა და პოსტ-საბჭოთა რეგიონში (სიტუაციური ანალიზი)	92
თავი III - ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე	128
3.1 კვლევის მეთოდოლოგია	128
3.2 - კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის.....	152
დასკვნები და რეკომენდაციები	161
გამოყენებული ლიტერატურა.....	169
დანართი 1 - ეკონომიკური თავისუფლების რეგიონული ანალიზის შედეგად, რეგიონებში შემავალი ქვეყნების ჩამონათვალი.....	175
დანართი 2 - სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა, რომელიც გამოყენებულია შემთხვევითი ეფექტის მოდელის შეფასებისას.....	182
დანართი 3 - პანელური მონაცემებისთვის მოდელის შერჩევის პროცესთან დაკავშირებული ტესტები	193
დანართი 4 - მოდელის ვერიფიკაცია.....	196

დანართი 5 - ECM მოდელის დიაგნოსტიკის ტესტები (საქართველოს მაგალითი)...	200
დანართი 6 - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორი შერჩეული ქვეყანათა ჯგუფისთვის.....	203

ცხრილები

ცხრილი 1.1 ფრეზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტები.....	40
ცხრილი 1.2 ინვესტიციების თავისუფლების კატეგორიის შეფასება ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით.....	60
ცხრილი 1.3 ფინანსური თავისუფლების კატეგორიის შეფასება ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით.....	63
ცხრილი 1.4 მთავრობის ზომის კატეგორიის შედარება ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისა და ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს შორის.....	69
ცხრილი 2.1 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის პირველი კატეგორიის „ხელშემწყობი გარემოს ფორმირების“ პირველი კომპონენტის „ინსტიტუტების“ ჩაშლა.....	81
ცხრილი 2.2 ამერიკის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან (2020 წელი).....	95
ცხრილი 2.3 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (ამერიკის რეგიონი, 2020 წელი).....	98
ცხრილი 2.4 აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან (2020 წელი).....	100
ცხრილი 2.5 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, 2020 წელი).....	103
ცხრილი 2.6 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (ევროპის რეგიონი).....	105
ცხრილი 2.7 ევროპის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან.....	105
ცხრილი 2.8 შუა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან.....	110
ცხრილი 2.9 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი).....	113
ცხრილი 2.10 სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან.....	113
ცხრილი 2.11 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი).....	117

ცხრილი 2.12 პოსტ-საბჭოთა რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან.....	120
ცხრილი 2.13 ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით რეპრესირებული ეკონომიკები მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში.....	125
ცხრილი 3.1 მოდელის ცვლადების აღწერა	134
ცხრილი 3.2 ინფორმაცია მოდელში ჩართულ ცვლადებზე	135
ცხრილი 3.3 ქვეყნების მიხედვით ფიქსირებული ეფექტის მოდელის შეფასება	140
ცხრილი 3.4 ფიქსირებული ეფექტის მოდელის შეფასება.....	141
ცხრილი 3.5 ქვეყნების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელის შეფასება.....	142
ცხრილი 3.6 დროის პერიოდების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელის შეფასება	144
ცხრილი 3.7 ჰაუსმანის χ^2 განაწილებაზე დაფუძნებული ტესტი	145
ცხრილი 3.8 დიაგნოსტიკის ტესტების შესაბამისად შესწორებული მოდელი.....	146
ცხრილი 3.9 გრძელვადიანი განტოლების შეფასება	149
ცხრილი 3.10 მოკლევადიანი განტოლების შეფასება	151
ბრეუშ-ჰაგანის ლაგრანჟის მულტიპლიკატორზე დაფუძნებული LM ტესტი დროის პერიოდების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელის შესაფასებლად	195

დიაგრამები

დიაგრამა 1.1 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შედარება	68
დიაგრამა 2.1 ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში (2020 წელი).....	93
დიაგრამა 2.2 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ამერიკის რეგიონი, 2020 წელი).....	94
დიაგრამა 2.3 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (2018 PPP*, მიმდინარე საერთაშორისო დოლარი) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ამერიკის რეგიონი, 2020 წელი).....	97
დიაგრამა 2.4 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, 2020 წელი)	99
დიაგრამა 2.5 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (2018 PPP*, მიმდინარე საერთაშორისო დოლარი) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, 2020 წელი)	102
დიაგრამა 2.6 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ევროპის რეგიონი).....	104
დიაგრამა 2.7 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (2018 PPP*, მიმდინარე საერთაშორისო დოლარი)) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ევროპის რეგიონი).....	107
დიაგრამა 2.8 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი).....	108
დიაგრამა 2.9 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (PPP, 2018 მიმდინარე ფასებში) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი).....	112
დიაგრამა 2.10 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი)	115
დიაგრამა 2.11 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (PPP, 2018 მიმდინარე ფასებში) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი)	116
დიაგრამა 2.12 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (პოსტ-საბჭოთა რეგიონი)	119
დიაგრამა 2.13 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (PPP, 2018 მიმდინარე ფასებში) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი)	122

დიაგრამა 2.14 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოს რეგიონებისა და ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (PPP, 2018 წლის მიმდინარე ფასებში)	124
დიაგრამა 2.15 ეკონომიკური თავისუფლების განვითარების დინამიკა მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში	127
დიაგრამა 3.1 ფინანსური განვითარების ინდექსის სტრუქტურა	133
დიაგრამა 3.2 პანელის მოდელირებისთვის შესაფერისი მოდელის შერჩევის პროცესი	139
დიაგრამა 3.3 კორელაციის კოეფიციენტები ეკონომიკურ თავისუფლებასა და პირადპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის ქვეყნების მიხედვით (1995-2020 წლები)	153
დიაგრამა 3.4 კორელაციის კოეფიციენტები ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორს შორის ქვეყნების მიხედვით (1995-2020 წლები).....	155
დიაგრამა 3.5 კავშირი სამეწარმეო შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის (2019).....	157
დიაგრამა 3.6 ადამიანური განვითარების მაჩვენებელი ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (2019 წლის მონაცემები)	158
დიაგრამა 3.7 გარემოზე ზემოქმედების ინდექსის მაჩვენებელი ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (2019 წლის მონაცემები)	160

შესავალი

თემის აქტუალობა. უძველესი დროიდან, ადამიანთა უმთავრეს მონაპოვრად ითვლებოდა და ითვლება თავისუფლება. სწორედ ინდივიდუალური და სახელმწიფოებრივი თავისუფლებისკენ სწრაფვამ განაპირობა მსოფლიოს დაკავშირება, ვაჭრობისა და საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება და კეთილდღეობის ურყევი ზრდა. ქვეყანაში, როგორც ინდივიდუალური, ასევე სახელმწიფოებრივი თავისუფლების უზრუნველყოფას სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, ემსახურება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, რათა მოახდინოს მისი უპირობო დაცვა და განმტკიცება.

ეკონომიკური თავისუფლების იდეა, დროთა განმავლობაში ეტაპობრივად ვითარდებოდა. ეკონომიკური აზრის ისტორიაში მისი ყველაზე უფრო მასშტაბური პრეზენტაცია წარმოდგენილია ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა შესაბამისი იდეოლოგიის ეკონომიკური სკოლის ფორმირებას. ეკონომიკური თავისუფლება წარმოადგენს ნებისმიერი ინდივიდისთვის პიროვნული ღირსების, ინდივიდუალური ავტონომიისა და არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ინგრედიენტს. მისი ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი წარმოადგენს არა რაღაც დოგმატურ, ერთფაქტორიან სისტემას, არამედ მრავალგანზომილებიან ცვლადს, რომელსაც შესწევს უნარი გავლენა მოახდინოს საზოგადოების სოციალური თუ ეკონომიკური კეთილდღეობის ამალგებაზე. ეკონომიკური თავისუფლების იდეა, მოიაზრებს ადამიანთა უფლებების და თავისუფლებების უპირობო დაცვას, რათა თითოეულ ინდივიდს ჰქონდეს შესაძლებლობა წარმართოს საკუთარი ცხოვრება პირადი განსჯის საფუძველზე (Gwartney et al., 1998).

მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო არ ან ვერ უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების აბსოლუტურ თავისუფლებას. ამასთან, ქვეყნები, რომლებიც უშვებენ ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხს

ინდივიდუალურ დონეზე, განსხვავდებიან იმ წარმოდგენებში, თუ ეკონომიკური თავისუფლების რომელი ასპექტები არის ყველაზე მნიშვნელოვანი და შესაბამისად რომელი მათგანი უნდა იყოს მოწინავე და პრიორიტეტული. ცხადია, ამას გააჩნია ობიექტური საფუძველი და სრულიად შეესაბამება ლიბერალიზმის ბუნებას, რომელიც ნებას რთავს თითოეულ ინდივიდსა და საზოგადოებას დამოუკიდებლად გაიკვალოს გზა განვითარებისკენ.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიოს უდიდესი ნაწილის შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარებამ ერთი-ორად გაზარდა სამეცნიერო წრეების ინტერესი ეკონომიკური თავისუფლების მიმართ. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსთვის და მთლიანად პოსტ-საბჭოთა სივრცისთვის, რამეთუ ამ ქვეყნებმა მეოცე საუკუნის დიდი ნაწილი გაატარეს ცენტრალიზებულად გეგმური ეკონომიკური წყობის ქვეშ. ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა არამარტო ფორმალური ინსტიტუტების, არამედ არაფორმალური ინსტიტუტების სრული მოშლა, შესაბამისად, შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი კიდევ უფრო გართულდა (პაპავა, 2013).

ნათელია, რომ ცენტრალიზებულად გეგმური ეკონომიკური წყობიდან შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მეტად რთული იქნებოდა საქართველოსთვის, რასაც, არაერთი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ სამოცდაათი წელი გაატარა საბჭოთა კავშირში, რაც დაახლოვებით უტოლდება იმ პერიოდის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას. ამ დროის განმავლობაში საზოგადოება პრაქტიკულად გადაეწყო სოციალისტურ ეკონომიკურ წყობაზე, სადაც კანონი ზღუდავდა კერძო სუბიექტების მიერ ეკონომიკურ საქმიანობას. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ყოფის ყველა ასპექტი სრულად იყო მინდობილი საბჭოთა ხელისუფლებაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, კი საქართველოს მძიმე მემკვიდრეობად გამოჰყვა ჩამოშლილი ეკონომიკა, სამოქალაქო ომები, ორი კონფლიქტის ზონა, კორუფციის მაღალი დონე და სხვა. ეს იმ ფუნდამენტური ფაქტორების მოკლე ჩამონათვალია, რაც ხელს უშლიდა პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის დაჩქარებას. ეკონომიკური

თავისუფლება კი წარმოადგენს იმ უპირობო ინგრედიენტს, რომელსაც ხელი უნდა შეეწყოს აღნიშნული პროცესის სტიმულირებისთვის (პაპავა, 1998).

საქართველო, დამოუკიდებლობის აღდგენიდან თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ შერეული ეკონომიკების რიცხვს. 2005 წლის შემდეგ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ეკონომიკური თავისუფლების განვითარების გზაზე. მრავალმხრივმა რეფორმებმა ფისკალური თუ სამართლებრივი ინსტიტუტების გაჯანსაღების გზაზე, უზრუნველყო ბიზნეს კლიმატის მოდიფიცირება და მორგება თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნებთან. საბოლოო ჯამში, 2005-2007 წლებში საქართველოს პოზიცია ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში გაუმჯობესდა ერთბაშად ორმოცდაჩვიდმეტი საფეხურით და შევიდა ოცდაათ ყველაზე თავისუფალ ეკონომიკას შორის.¹ აღნიშნულ პროცესს ხელი ვერც 2008 წლის ომმა შეუშალა, ვინაიდან ქვეყანას ერთმნიშვნელოვნად ჰქონდა განსაზღვრული შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის ბოლომდე მიყვანა. დღეს, საქართველო იმყოფება ისტორიულ მაქსიმუმზე ამ თვალსაზრისით და წარმოადგენს მეთორმეტე ყველაზე თავისუფალ ეკონომიკას მსოფლიოში.²

დებატები ეკონომიკური თავისუფლების გარშემო გარდაუვალია გაგრძელდეს სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის ურთიერთობის კრიტიკული ანალიზის გარეშე. ზოგადად, ნებისმიერი ქმედება სახელმწიფოს მხრიდან რომელიც ერევა ადამიანის ინდივიდუალურ ავტონომიაში ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას. თუმცა სახელმწიფოს როლი ამ ვითარებაში არის არა ის, რომ აბსტრაგირება მოახინოს ეკონომიკური აქტივობებისგან, არამედ ის, რომ უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები თითოეული მოქალაქისთვის.

ამ ფონზე განსაკუთრებით საინტერესოა გავანალიზოთ, თუ რა წვლილი ჰქონდა ეკონომიკური თავისუფლების დანერგვას (იმპლემენტაციას) ეკონომიკური განვითარების გზაზე საქართველოში. აღნიშნული საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად ტრანსფორმაციული ეკონომიკებისთვის.

¹ ჰერითიჯ ფაუნდეიშენის მონაცემთა ბაზა - <https://www.heritage.org/index/explore?view=by-region-country-year&u=637466169081923370>

² ჰერითიჯ ფაუნდეიშენის მონაცემთა ბაზა - <https://www.heritage.org/index/ranking>

ამდენად, ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ემპირიული კვლევა შეეხება ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყნებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომს გააჩნია რამდენიმე ძირითადი მიზანი, რომელთა განსაზღვრაც უპირველეს ყოვლისა უნდა დავიწყოთ **ეკონომიკური თავისუფლების გავლენის შეფასებით ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე განვითარებადი ქვეყნების ჭრილში.** აღნიშნული მოიცავს ოპტიმალური ეკონომეტრიკული მოდელის შერჩევას, რათა მოხდეს გავლენის ხარისხის შეფასება და იმის დადგენა, თუ რამდენად საჭირო ინგრედიენტს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლება ეკონომიკური განვითარების გზაზე. თუმცა მოდელის შერჩევასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია შეირჩეს ქვეყანათა ჯგუფი, რაც მოგვცემს შესაძლებლობას შედარებითი ანალიზის საფუძველზე განვსაზღვროთ ეკონომიკური თავისუფლების გავლენის სიძლიერე და არეალი.

ამასთან, მეორე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს **საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების თეორიული ანალიზი და მისი გავლენის წარმოჩენა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე.** ეს მოგვცემს საშუალებას შევაფასოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლება საქართველოს რეალობაში ეკონომიკური აღმავლობისთვის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ასევე დაგვჭირდება ეკონომეტრიკული აპარატის გამოყენება. ამასთანავე

სადისერტაციო კვლევის მესამე მიზანია, მოვახდინოთ **ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ანალიზი,** რაც მოგვცემს შესაძლებლობას თეორიული და თვისებრივი ანალიზის საფუძველზე გამოვაკლინოთ ის ინსტიტუციური ჩავარდნები, რომელთა გაჯანსაღებაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარებისთვის. ამ ფონზე, **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკე გამოიყოს სახელმწიფოს როლი და ფუნქცია,** როგორც მთლიანი პროცესის ერთ-ერთი გადამწყვეტი სუბიექტისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური კონიუნქტურის მორგება ეკონომიკური თავისუფლების ძირითად პრინციპებზე

სხვადასხვა ისტორიული, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

კვლევის ძირითადი მიზნების შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებია:

- ეკონომიკური თავისუფლების შესახებ არსებული თეორიული და პრაქტიკული მასალის (სამეცნიერო სტატიების, პუბლიკაციების, ნაშრომებისა და სხვ.) გაცნობა/დამუშავება, რათა მოვახდინოთ ეკონომიკური თავისუფლების დეფინიციის განსაზღვრა და ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ფორმირება.
- ემპირიული კვლევისთვის შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელ(ებ)ის შერჩევა. ნაშრომის პრაქტიკულ ნაწილში, შეფასებებისთვის დაგვჭირდება სამი განსხვავებული მიდგომის გამოყენება, იმის მიხედვით თუ რა არის საკვლევი ობიექტი, ეკონომიკური თავისუფლების გავლენის ინტერპრეტაცია საქართველოს მაგლითზე, განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე თუ სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე ორივე ჯგუფისთვის. ცხადია აღნიშნულ ამოცანას ექნება ისეთი ქვეამოცანების, როგორცაა მაგალითად, შერჩეული მოდელ(ებ)ისთვის ამხსნელი ცვლადების განსაზღვრა, საკვლევი პერიოდის განსაზღვრა, შერჩეული ცვლადებისა და საკვლევი პერიოდის შესაბამისად, სტატისტიკური მასალის მოძიება, კვლევაში ჩართული ქვეყნების იდენტიფიცირება და სხვა.
- ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკას შორის კავშირების ანალიზი საქართველოში და მისი შედარება სხვა ყოფილ საბჭოთა და აღმსოავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

კვლევის საგანი და ობიექტი. ეკონომიკური თავისუფლება და მისი გავლენა ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე არაერთი ეკონომისტისთვის მთავრ საკვლევ საგანს წარმოადგენს. ეკონომიკური თავისუფლების გავლენების ანალიზი სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება მე-18 საუკუნის ბოლოდან და მას შემდეგ

აქტუალობას არ კარგავს. ეკონომიკური თავისუფლების გავლენის შესახებ პრობლემები ასახულია რიგ კლასიკურ ნაშრომებში: ადამ სმიტი (Smith, 1776), დავიდ რიკარდო (Ricardo, 1817), ჯონ სტიუარტ მილი (Mill, 1859), ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკი (Hayek, 1944; 1960), მილტონ ფრიდმანი (Friedman, 1962; 1980) და სხვანი.

ამასთან, უკანსკნელ პერიოდში სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ეკონომიკური თავისუფლების გავლენების ემპირიული კვლევა, რომლებიც ეძღვნება კავშირების აღმოჩენას ეკონომიკურ თავისუფლებასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან მიმართებით. ამ თვალსაზრით სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია გამოჩენილი თანამედროვე ეკონომისტების შრომები: ჯეიმს გვარტნი და რობერტ ლოუსონი (Gwartney, Lawson, 2002), ფრედერიკ კარლსონი და სუსანა ლუნდსტორმი (Karlsson, Lundström, 2001), ჰერბერტ გრუბელი (Grubel, 1998), რიჩარდ ჩებულა, ჯრ. კლარკი და ფრანკლინ მიქსონი (Cebula, Clark, Mixon, 2012) და სხვები.

რაც შეეხება ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს, რომლებიც გამოვიყენეთ ეკონომიკური თავისუფლების შესწავლის პროცესში, ისინი უმეტესად განიხილავენ ეკონომიკური თავისუფლების ფუნდამენტური ფაქტორების ანალიზის და მათ კავშირს ეკონომიკასთან, მათ შორის აღსანიშნავია: პაპავა (2015), ნ. ხადური (2009), რ. გველესიანი (2010), ა. სილაგაძე (2001), ე. მექვაბიშვილი (2008; 2012), ნ. კაკულია (2016); გ. ლაღანიძე (2010), ე. ხარაიშვილი (2011) და სხვანი.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ეკონომისტების თეორიულ და სამეცნიერო-პრაქტიკულ ნაშრომებს. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომში აქტიურად იქნა გამოყენებული ისეთი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების პერიოდული გამოცემები და წლიური ანგარიშები, როგორცაა მაგალითად ფრეზერის ინსტიტუტი³, ჰერითიჯ ფაუნდეიშენი⁴, მსოფლიო ბანკი⁵,

³ ფრეზერის ინსტიტუტის წლიური ანგარიშები - <https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom>

⁴ ჰერითიჯ ფაუნდეიშენის წლიური ანგარიშები - <https://www.heritage.org/index/download>

⁵ მსოფლიო ბანკის წლიური ანგარიშები - <https://www.worldbank.org/en/about/annual-report>

საერთაშორისო სავალუტო ფონდი⁶, გრონინგენის ზრდისა და განვითარების ცენტრი⁷ და სხვანი.

კვლევის პრაქტიკულ ნაწილში, გამოვიყენებთ მონაცემთა სტატისტიკური შედარებისა და ეკონომეტრიკული მოდელირების მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც შევეცდებით ავხსნათ ეკონომიკური თავისუფლების გავლენის ხარისხი მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და სხვადასხვა სოციალურ პარამეტრებზე. კერძოდ, კი შერჩეული ქვეყანათა ჯგუფისთვის ეკონომიკური თავისუფლების გავლენას მთლიან სამამულო პროდუქტზე მოსახლეობის ერთ სულზე ვაჩვენებთ შემთხვევითი ეფექტის მოდელის გამოყენებით, რომლის გამოყენების მიზანშეწონილობაც ნაშრომში დასაბუთებულია აპრობირებული სტატისტიკური ტესტების მეშვეობით. იგივე კავშირს საქართველოსთვის იდენტიფიკალურად გამოვავლენთ ECM (Error Correction Model) მოდელის გამოყენებით. რაც შეეხება დამოკიდებულებას ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის, როგორც საქართველოს, ასევე შერჩეული ქვეყნების მაგალითზე დავადგენთ კორელაციის კოეფიციენტების გაანგარიშებით.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომის კვლევით ნაწილში, გამოყენებულია ჰერთიჯ ფაუნდეიშენისა და მსოფლიო ბანკის მონაცემები. ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს სტატისტიკის სამსახურისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მკვლევრების შეფასებები და პროგნოზები საქართველოსა და რეგიონულ ჭრილში, რომელთა საფუძველზეც ხდება კორელაციური კავშირების გამოვლენა ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებს შორის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური თავისუფლება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ავაგეთ შესაბამისი მოდელი და მოვახდინეთ მისი ინტერპრეტაცია. იმის გამო, რომ კვლევის

⁶ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვები - <https://www.imf.org/en/publications/weo>

⁷ გრონინგენის ზრდისა და განვითარების ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კვლევები - <https://www.rug.nl/ggdc/?lang=en>

ობიექტს წარმოადგენს ერთი მხრივ საქართველო და მეორეს მხრივ პოსტ-საბჭოთა რეგიონი აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან ერთად, აუცილებელი იყო მოდელში ჩაგვეერთო ისეთი ფაქტორები, რომლებიც მის ამხსნელ უნარს გააუმჯობესებდნენ. ჩვენს შემთხვევაში ასეთებად მოგვევლინა *კაპიტალის მარაგი მოსახლეობის ერთ სულზე და ფინანსური განვითარების ინდექსი*, რომლებიც ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად ქმნიან ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტურ მიზეზებს. ამდენად, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლედ შეგვიძლია მივიჩნიოთ:

- სტატისტიკური და ეკონომეტრიკული აპარატის დახმარებით შესაბამისი მოდელისა და ამხსნელი ფაქტორების განსაზღვრა საქართველოს, პოსტ-საბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ეკონომიკისათვის;
- მოდელის შეფასებისა და ინტერპრეტაციის შედეგად იმის გამოვლენა, თუ რამდენად მნიშვნელოვან ინგრედიენტს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლება გრძელვადიანი მდგრადი ზრდის მისაღწევად;
- საქართველოში ეკონომიკურ თავისუფლებასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირების შედარება სხვა ქვეყნებთან;
- ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ანალიზი საქართველოს ჭრილში;
- ეკონომიკური თავისუფლების განმტკიცებისა და მიზანმიმართული იმპლემენტაციის გზაზე, სახელმწიფოს როლის გამოყოფა და მისი ძირითადი გავლენის სფეროების წარმოადგენა.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომის შედეგების მთავარ ღირებულებას წარმოადგენს იმ გეპის შევსება, რომელიც შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ ეკონომიკური თავისუფლების პრაქტიკული გავლენების წარმოჩენას ემსახურება. გარდა ამისა, ნაშრომში შეფასებულია სახელმწიფოს როლი ეკონომიკური თავისუფლების ჭრილში, რაც ზრდის მის მიმზიდველობას ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუტებისთვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნაშრომის შედეგები საინტერესოა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ პოსტ-საბჭოთა რეგიონისა თუ კვლევაში ჩართული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც. ასევე მისი პრაქტიკული გამოყენება იქნება ღირებული დანარჩენი მსოფლიოს ისეთი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც იმყოფებიან შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში და სურთ დეტალურად გაიაზრონ აღნიშნულ პროცესში არსებული სირთულეები და მათი დაძლევის შესაძლო ალტერნატივები.

კვლევის შედეგების აპრობაცია. კვლევის შუალედური და საბოლოო შედეგები წარდგენილ იქნა რიგ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე, რომელთა შორისაც გამოსარჩევია:

- საერთაშორისო კონფერენცია მენეჯმენტში, აღრიცხვა-ანგარიშგებაში, ბიზნეს კვლევებსა და ეკონომიკაში, ბუენოს აირესი, არგენტინა (International Conference Management, Accounting, Banking, Economics and Business Research (ICMABEBR 19, September 2019, Buenos Aires, Argentina);
- საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებითი კვლევების შესახებ მენეჯმენტში, ეკონომიკასა და აღრიცხვაში, ბრიუსელი, ბელგია (International Conference on Applied Research in Management, Economics and Accounting (IARMEA 2018, Brussels, Belgium);
- მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკაში, ლისაბონი, პორტუგალია (Seventh International Conference in Economics (EconWorld2018@Lisbon) Lisbon, Portugal);
- საერთაშორისო კონფერენცია გამოყენებით ეკონომიკასა და ბიზნესში, ამსტერდამი, ნიდერლანდები (International Conference on Applied Economics and Business (ICAEB 2017) Amsterdam, Netherlands);

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნახეკდი 214 გვერდისაგან. ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს

შესავალს, 3 თავს, 9 ქვეთავს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, გამოყენებული ლიტერატურის დასახელების ჩამონათვალს, ასევე 27 ცხრილსა და 23 დიაგრამას.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ეკონომიკური თავისუფლების იდეა და ნაჩვენებია მისი თეორიული საფუძვლები, კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა, კონცეფციის განვითარება მე-18 საუკუნიდან დღემდე. ამავე თავში, დეტალურად არის განხილული ეკონომიკური თავისუფლების გაზომვის თავისებურებები ამ მიმართულებით მოღვაწე ორი უმთავრესი საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის, ჰერიტიჯ ფაუნდეიშენისა და ფრეზერის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური თავისუფლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის საფუძველზე. ინდექსების სიღრმესეული კვლევა გახდა წინაპირობა იმისა, რომ ემპირიული კვლევისთვის შეგვერჩია ჩვენთვის მისაღები ფაქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეხება ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი ინსტიტუციური ჩარჩო პირობების განხილვას. ამ კუთხით მიმოვიხილეთ ფორმალური ინსტიტუტების ის კატეგორიები, რომლებიც უშუალო კავშირშია ეკონომიკური თავისუფლების მოპოვების, შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისთვის. შესაბამისად, დადგა საჭიროება, რომ წარმოგვეჩინა სახელმწიფოს როლი, რომლის ფუნქციაც აღნიშნულ პროცესში გამოხატული უნდა იყოს არა როგორც ეკონომიკურ აქტივობებში ჩამრევი სუბიექტისა, არამედ ამ აქტივობებში არასამართლიანი მანიპულირების შემზღვევადი ინსტიტუტისა. ამავე თავში, მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ეკონომიკური თავისუფლების პრაქტიკული გავლენების ანალიზს მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში.

ნაშრომის მესამე თავი წმინდა პრაქტიკული ხასიათისაა და ეთმობა იმის შეფასებას, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური თავისუფლება ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და რამდენად შეუცვლელია ის ეკონომიკური განვითარების გზაზე. აღნიშნული კავშირი გამოვავლინეთ როგორც ცალკე საქართველოს ჭრილში, ასევე პოსტ-საბჭოთა რეგიონისა და ზოგიერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის მაგალითზე. გარდა ამისა, ამავე თავში ნაჩვენებია კორელაციური კავშირი

ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის.

თავი I - ეკონომიკური თავისუფლების თეორიული საფუძვლები და მიმდინარე გამოწვევები

1.1 ეკონომიკური თავისუფლების თეორიული საფუძვლები - კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა

ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობა მეცნიერებაში ყოველთვის გაორებას იწვევდა, გააჩნდა რა ხსენებულ იდეოლოგიას როგორც მომხრეთა ასევე მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხოვანი არმია.

ეკონომიკური თავისუფლების როლი დღევანდელ მსოფლიოში წარმოადგენს ეკონომიკური პროცესების ახსნის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს, ეფუძნება რა ეკონომიკის ძირითად პრინციპებს. ეკონომიკურ თეორიაში, ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელოვნების ზრდა გამოიხატა შესაბამისი იდეოლოგიური ეკონომიკური სკოლების შექმნით, რომლებიც სათავეს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში იღებენ. აღნიშნულ სკოლებს მიუძღვით მნიშვნელოვანი წვლილი არამხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების, როგორც ეკონომიკური აზრის განვითარების მიმართულებით, არამედ მთლიანად ეკონომიკური თეორიის განვითარების კუთხითაც.

შეკითხვაზე თუ რა არის თავისუფლება, შესაძლებელია იმდენი მოსაზრება არსებობდეს რამდენი რესპოდენტიც გამოიკითხება, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ მათ შორის მხოლოდ და მხოლოდ ერთი პასუხი იქნება ჭეშმარიტი.

ნელსონ მანდელა (Nelson Mandela, 1918-2013), ანტი-აპერტიდის მოძრაობის აქტივისტი, სამხრეთ აფრიკის ეროვნული კონგრესის ლიდერი და შემდგომში პრეზიდენტი საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგნში „გრძელი გზა თავისუფლებისკენ“ (Long Walk to Freedom, 1994) წერს, რომ თავისუფლება არ ნიშნავს ადამიანისთვის ბორკილების მოხსნას, ეს არის ცხოვრების პრინციპი, რომელიც უპირველეს ყოვლისა „ურთიერთ-თავისუფლების“ პატივისცემას გულისხმობს (Mandela, 1994). აღნიშნულ პოსტულატს თუ ჩავუღრმავდებით, დავინახავთ რომ ის არა მხოლოდ პიროვნულ (ან ინდივიდუალურ) არამედ ეკონომიკურ თავისუფლებასაც ეხმიანება.

ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დასაწყისშივე გავმიჯნოთ ეკონომიკური თავისუფლება პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლებისგან.

ეკონომიკური თავისუფლება ძირეულად განსხვავდება პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლებისგან. პოლიტიკური თავისუფლება უფრო მეტად მოიცავს ისეთი პოლიტიკური პროცესების მართვას, როგორცაა მაგალითად არჩევნები ანდა პოლიტიკური პარტიების ფორმირება. როდესაც სახეზეა პოლიტიკური თავისუფლების მაღალი ხარისხი, ინდივიდები არ არიან შეზღუდული ხმის მიცემისა თუ ნებისმიერი პოლიტიკური დაჯგუფების ლობირების დროს, ასევე არჩევნები ხასიათდება მაღალი გამჭვირვალობითა და კონკურენციით, დემოკრატიული და სამართლიანი პრინციპების სრული დაცვით. რაც შეეხება საზოგადოებრივ თავისუფლებას, იგი მოიცავს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას. არც ერთი ინდივიდი არ უნდა იყოს შეზღუდული საკუთარი რწმენის, რელიგიური თუ სექსუალური შეხედულებების გამო, მათ უნდა ჰქონდეთ სამართლიანი სასამართლოს უფლება და შეეძლოთ თავისუფლად გამოხატონ პირადი შეხედულებები და მოსაზრებები (Gwartney et al. 1999).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლებები ფარავენ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს, მათ მაინც საერთო

საწყისები აქვთ ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად. მაგალითად, მოქალაქის მიერ ხმის მიცემის თავისუფლება მოდის მისი პირადი არჩევანის თავისუფლებიდან. ასევე, პოლიტიკურ პარტიებს შორის მრავალი ალტერნატივის ქონა გამოხატავს სწორედ თავისუფალი კონკურენციის საჭიროებას ერთის მხრივ და კონკურენციაში თავისუფლად შესვლის უფლებას მეორეს მხრივ.

სამართლიანი სასამართლოს არსებობა გამოწვეულია მიუკერძოებელი სამართლებრივი და საკანონმდებლო სისტემის საჭიროებით, რაც წარმოადგენს უპირობოდ ყველაზე მთავარ დასაყრდენს ინდივიდისა და მისი საკუთრების დასაცავად ნებისმიერი აგრესიის დროს. ამდენად, გამოდის რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თავისუფლებებს აქვთ ეკონომიკური თავისუფლების მსგავსი საწყისები, რაც ბუნებრივი და აბსოლუტურად მისაღებია.

თუმცადა, მეორეს მხრივ სავსებით შესაძლებელია, რომ ქვეყანას ჰქონდეს მაღალი პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი და ამავდროულად მოახდინოს ეკონომიკური თავისუფლების შემზღვეველი აქტივობები. ასევე, ისიც შესაძლებელია, რომ ქვეყანას ჰქონდეს მაღალი ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი, თუმცა ადამიანების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში იყოს ძლიერ შეზღუდული. ორივე შემთხვევის მაგალითები საკმაოდ მრავლად გვხვდება თანამედროვე მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, ბევრი გონივრული მიზეზია, რაც გვაფიქრებინებს, რომ პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლება ეკონომიკურ თავისუფლებასთან არის გაერთიანებული. როდესაც ინდივიდები არიან თავისუფალნი იმის არჩევანში თუ როგორ გამოიმუშაონ საარსებო რესურსები, სავარაუდოდ და უმეტეს შემთხვევაში მათ ექნებათ იმის უფლებაც, რომ აირჩიონ სასურველი პოლიტიკოსები. შესაბამისად, თუკი ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლება იზრდება, დიდწილად მოსალოდნელია რომ გაიზრდება პოლიტიკური და საზოგადოებრივი თავისუფლებაც.

თავისუფლება გაცილებით მეტი შინაარსის მატარებელია ვიდრე უბრალოდ მოქმედების თავისუფლება - როგორც ეს ხშირად აღქმულია. თავისუფლება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს საზოგადოების ყველა წევრისათვის თანაბარი

შესაძლებლობების შექმნას, იქნება ეს განათლების, სოციალური თუ სხვა საჭიროებების დაკმაყოფილება.

ექვგარეშეა, რომ თავისუფლება ნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მის ჩამდენს სიამოვნებას გვრის ანდა მისი მოქმედების სურვილს აკმაყოფილებს, იქნება ეს აზროვნების თავისუფლება, რწმენის, სიტყვის, გადაადგილების, შეკრებისა თუ სხვა ნებისმიერი რამ. ეს ყველაფერი კი თავისუფლების საზღვრებშია მხოლოდ იმ მომენტამდე, როდესაც იგი არ დაარღვევს სხვა ადამიანის ზუსტად ანალოგიურ უფლებას.

ეკონომიკური თავისუფლების თეორიული საფუძვლების განხილვამდე, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ისეთი ცნებები, როგორებიცაა **კაპიტალიზმი, ლიბერალიზმი და ეკონომიკური თავისუფლება.**

თავისი შინაარსით, კაპიტალიზმი გულისხმობს ეკონომიკურ წყობას, რომელიც უპირველეს ყოვლისა ეფუძნება წარმოების ფაქტორების კერძო საკუთრებაში არსებობას. მეორეს მხრივ, ლიბერალიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ და მორალურ იდეოლოგიას, რომლის ქვაკუთხედსაც ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლება წარმოადგენს. მაშინ, როდესაც მემარცხენე (მაგ. სოციალისტური) იდეოლოგია სახელმწიფოს აყენებს ეკონომიკური პროცესების ცენტრში, მემარჯვენე იდეოლოგია პირიქით, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ნებისმიერ ჩარევას ბაზარზე.

რაც შეეხება ეკონომიკურ თავისუფლებას, შეიძლება ითქვას რომ იგი აერთიანებს ორივე ცნებას, რომელიც ზემოთ აღვწერეთ, დაკონკრეტებულს ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ჭრილში. ნათელია, რომ ნებისმიერი ადამიანის ეკონომიკური თავისუფლება ერთის მხრივ მოდის სუბიექტის ინდივიდუალური თავისუფლებიდან და მეორეს მხრივ იმ გარემოს თავისუფლებიდან, სადაც ის არსებობს.

ეკონომიკური თავისუფლების ზოგადი განმარტება მოიცავს წარმოების, ვაჭრობისა და მოხმარების თავისუფლებას თუკი ეს უკანასკნელი არაა დაკავშირებული ძალის გამოყენებასთან, თაღლითობასა და მოპარვასთან.

ცხადია, რომ სამივე ზემოთნახსენებ ტერმინს გააჩნია თანაკვეთა, თუმცა მათი აღრევა მაინც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ამდენად, ჩვენი სურვილია, ვაჩვენოთ

ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციის განვითარება დროში, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ავხსნათ თანამედროვე ეკონომიკური თავისუფლების იდეა დასაწყისიდან დღემდე, მისი ევოლუციური განვითარების ეტაპები და მათი მნიშვნელოვნება.

ეკონომიკური თავისუფლების თეორიული საფუძვლების განხილვა აუცილებლად უნდა დავიწყოთ კლასიკური ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლების მიერ გაჟღერებული მოსაზრებებით. ზოგადად, კლასიკურ ეკონომიკურ სკოლას უკავშირებენ მე-18 და მე-19 საუკუნეების დიდ ბრიტანეთს, რომელსაც წარმოადგენდნენ ისეთი გამორჩეული მოაზროვნეები როგორებიც იყვნენ ადამ სმიტი, ჟან-ბატისტ სეი, დავიდ რიკარდო, ჯონ სტიუარტ მილი და სხვანი. აღნიშნული სკოლის იდეოლოგია ეფუძნება შერეული ეკონომიკის პრინციპებს და დამყარებულია ბუნებრივ, თვით-რეგულირებად ადამიანისეულ სტიმულებზე.

მას შემდეგ, რაც გამოიცა ადამ სმიტის ცნობილი ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (Smith, 1776), ეკონომისტები ცდილობენ ახსნან თუ რა გარემოებები იწვევს ეკონომიკურ ზრდას. თუკი სმიტი წერდა ეკონომიკური პოლიტიკის, მასშტაბის ეკონომიისა თუ თავისუფალი ვაჭრობის აუცილებლობის შესახებ, თანამედროვე ზრდის თეორიები ეფუძნება სოლოუს მოდელს (Solow, 1956), რომელიც განიხილავს წარმოების ფაქტორებს - სამუშაო ძალას, კაპიტალსა და ტექნოლოგიებს, როგორც ეკონომიკური ზრდის წყაროს, რომელიც შემდგომ კიდევ უფრო განავითარეს ლუკასმა და რომერმა (შესაბამისად 1988 და 1990). მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა გავლენას მოახდენს გამოშვებაზე წარმოების ფაქტორები, ასევე ნათელი გახდა, რომ მხოლოდ მათი რაოდენობის ზრდა თავისთავად არ ნიშნავს ეკონომიკურ ზრდას. თანამედროვე მსოფლიო უბრუნდება მდგომარეობას, სადაც ინტერესის საგანს უფრო მეტად ინსტიტუციური ჩარჩო და ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს.

ადამ სმიტი, კლასიკური ეკონომიკური სკოლის ფუძემდებელი და ფილოსოფოსი, ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, განიხილავს იმ საბაზისო ელემენტებს, რომელთაც უნდა ეფუძნებოდეს ღია

ბაზარი: კერძო საკუთრების უფლება, კონკურენცია და სახელმწიფოს მინიმალური ინტერვენცია. სწორედ ამ ნაშრომში განიხილავდა სმიტი, რომ თითოეული ადამიანი მოქმედებს რა მხოლოდ პირადი ინტერესებით, ცდილობს საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზაციას, შესაბამისად ამ სწრაფვის შეზღუდვა უარყოფით შედეგებამდე და რესურსების არაეფექტიან განაწილებამდე მიგვიყვანს. აქედან დაიბადა ე.წ. „უხილავი ხელის“ კონცეფცია, რომელსაც თითოეული ინდივიდის საკუთარ თავზე ზრუნვის შედეგად მთლიანად საზოგადოებრივი სიკეთის ამალღებისკენ მივყავართ.

ადამ სმიტის „უხილავი ხელის“ კონცეფცია შემდგომში მოგვევლინა, როგორც ეკონომიკური თავისუფლების იდეის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწყისი.

ეკონომიკური თავისუფლების სმიტისეული განმარტება, რომელიც სამ უმთავრეს ასპექტს აერთიანებს კერძო საკუთრების, კონკურენციისა და სახელმწიფოს მინიმალური ინტერვენციის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გახდა ერთგვარი ათვლის წერტილი ეკონომიკური თავისუფლების აზრის ევოლუციური ფორმირების გზაზე.

კლასიკური ეკონომიკური სკოლის შემდგომი მემკვიდრეები უკვე გახდნენ დავიდ რიკარდო (David Ricardo, 1772-1823), ჯონ სტიუარტ მილი (John Stuart Mill, 1806-1873), ჟან ბატისტ სეი (Jean-Baptiste Say, 1767-1832) და სხვანი, რომელთაც დამატებით განავითარეს ადამ სმიტისეული წანამძღვრები.

მაგალითად, დავიდ რიკარდო, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომში „On the Principles of Political Economy and Taxation“ (19 აპრილი, 1817) განიხილავს ეკონომიკის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთა გარეშეც თანამედროვე თავისუფლების იდეა ვერ იარსებებდა. ამ პუბლიკაციით, იგი ღიად გამოვიდა იმდროინდელი ბრიტანული მთავრობის პროტექციონისტული იდეების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მდგომარეობდა ე.წ. „მარცვლეულის კანონების“ (Corn Laws) განწესებით. აღნიშნული კანონები მოიცავდნენ სავაჭრო ბარიერების დაწესებას იმპორტირებულ საკვებ პროდუქტებსა და მარცვლეულზე დიდ ბრიტანეთში 1815-1846 წლებში. ამით რიკარდო ხაზს უსვამს საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვნებას და ამბობს, რომ თავისუფალი საგარეო ვაჭრობა გვეხმარება

საკუთარ ქვეყანაში წარმოებული (x) საქონლის ფიქსირებული რაოდენობის სანაცვლოდ მივიღოთ სხვა ქვეყანაში წარმოებული (y) საქონლის ფიქსირებული რაოდენობა, რომელიც აღემატება საკუთარ ქვეყანაში წარმოებული (y) საქონლის რაოდენობას, რომელსაც მივიღებდით ქვეყნის შიგნით (x) საქონლის რეალიზაციით. შედეგად კი, თავისუფალ საერთაშორისო ვაჭრობას მივყვართ კეთილდღეობის ამალგებამდე.

რიკარდოს წვლილი თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობის წინ წამოწევის კუთხით ეკონომიკური თავისუფლების იდეის გაფართოებაში ძალიან დიდია. ამასთან, დავიდ რიკარდო ეხმიანება ადამიანის ავტონომიურ თავისუფლებასაც და წერს, რომ თითოეული ინდივიდი თავისუფალია „დაასაქმოს“ საკუთარი კაპიტალი იქ, სადაც ის მოისურვებს, და ეს ადგილი სხვა თანაბარ პირობებში ყოველთვის იქნება იქ, სადაც მისთვის ყველაზე მომგებიანია. საკუთარ კაპიტალში კი დავიდ რიკარდო გულისხმობს როგორც კერძო საკუთრებას, ასევე თვით ინდივიდს, რომელიც თავისუფალია, მეპატრონეა საკუთარივე სამუშაო ძალის.

აღნიშნული წანამძღვარი არის ერთგვარი გაგრძელება, სმიტისეული „საკუთრების უფლების“ კონცეფციისა და იგი ეკონომიკური თავისუფლების განმარტების ერთდროულად ორ უმთავრეს ასპექტს ეხმიანება. პირველი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებული ქონება წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მისი განკარგვის შესაძლებლობის მოკლება ინდივიდისთვის, თუკი აღნიშნული ქმედება არ ზღუდავს სხვა ინდივიდის ანალოგიურ უფლებას, სხვა თანაბარ პირობებში ირაციონალური და არაეფექტიანია. მეორე კი მოიაზრებს ჩვენს არჩევანს განვკარგოთ საკუთარი სამუშაო ძალა პირადი ინტერესებისა და სურვილების მიხედვით.

ამავე ნაშრომში, რიკარდო განიხილავს გადასახადების გავლენას მთლიანად ეკონომიკურ სტიმულებზე. მაგალითად გადასახადი ხელფასზე, სახლზე, ოქროზე და სხვა. იგი წერს, რომ გადასახადები ამახინჯებენ ადამიანების ინდივიდუალურ სტიმულებს და ხელს უშლიან რესურსების ეფექტიან ალოკაციას. ვინაიდან, გადასახადი წარმოადგენს სახელმწიფო ინტერვენციის კონკრეტულ სახეს ეკონომიკურ აქტივობებში, აღნიშნული პოსტულატი არის ერთგვარი გამეორება და

წინ წამოწევა სმიტისეული შენიშვნისა სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევაზე ქვეყნის ეკონომიკაში.

ზემოაღნიშნულთან ერთად, დავიდ რიკარდოს კონტრიბუცია მეტად დიდია საზოგადოებრივი თავისუფლებისთვის ბრძოლაშიც, რაც გამოიხატებოდა დემოკრატიული რეფორმების ინიცირებაში, როდესაც იგი აქტიურად უჭერდა მხარს, და ხაზს უსვამდა კერძო საკუთრების განმტკიცების მნიშვნელოვნებას თავისუფალ საზოგადოებაში, ასევე პრესისა და ზოგადად სიტყვის თავისუფლებას.

დავიდ რიკარდოს შემდგომი მემკვიდრე, ეკონომიკური თავისუფლების იდეის ევოლუციაში იყო ჯონ სტიუარტ მილი, ბრიტანელი ფილოსოფოსი, პოლიტიკონომისტი და კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მილი საკუთარ ნაშრომში „On Liberty“ (1859), აყალიბებს ეკონომიკური თავისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს პოსტულატს, რომელსაც დღევანდელი ე.წ. „მემარჯვენე“ საზოგადოების დიდი ნაწილი ძირითად არგუმენტად მიიჩნევს პიროვნული თავისუფლების შემზღვეველი ქმედებების საწინააღმდეგოდ: თითოეულ ინდივიდს გააჩნია უფლება აკეთოს ნებისმიერი რამ, რაც მას სურს, თუკი მისი ეს მოქმედება სხვა ინდივიდის ანალოგიურ უფლებას არ ზღუდავს ან არ აზარალებს.

მილის აღნიშნული წანამძღვარი ერთმნიშვნელოვნად პასუხობს თავისუფლების იდეის უმთავრეს ამოცანებს და მას აუცილებლად გამოვიყენებთ, როგორც ეკონომიკური თავისუფლების განმარტების ქვაკუთხედს.

ზემოთნახსენებ ნაშრომში, იგი განიხილავს თავისუფლების არსს დროის დიდ შუალედში, უძველესი რომაული, ბერძნული თუ ანგლო-საქსური ფესვებიდან. მილი აღნიშნავს, რომ მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით, თავისუფლება წარმოადგენს პოლიტიკური ტირანიისგან დამცავ ინსტრუმენტს, თუმცა აგრეთვე სვამს შეკითხვას თუ რა უნდა იყოს ის თავისუფლების ზომა, რომელსაც მიაჩნებდა ნებისმიერ ინდივიდს. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი კი შემდგომი განხილვის საგანი იქნება ჩვენს ნაშრომში.

ამდენად, მილის მიერ განსაზღვრული თავისუფლების იდეა, უფრო მეტად ფართოა ვიდრე მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლება და აერთიანებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თავისუფლებებსაც.

კლასიკური ეკონომიკური სკოლისა და მისი გამორჩეული მოაზროვნეების განხილვის შემდეგ ძალიან საინტერესოა ვაჩვენოთ თავისუფლების იდეის შემდგომი განვითარება ავსტრიული ე.წ. ჰეტეროდოქსული ეკონომიკური სკოლის⁸ წარმომადგენლების მიერ.

აღნიშნული კი აუცილებლად უნდა დავიწყოთ ფრიდრიხ აუგუსტ ვონ ჰაიეკით (Friedrich August von Hayek, 1899-1992), იგი გახლდათ ანგლო-ავსტრიელი ეკონომისტი და 1974 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელიც ცნობილი იყო მისი კლასიკური ლიბერტარიანული შეხედულებების გამო. ჰაიეკის გამორჩეული ნაშრომებია „გზა ბატონყმობისკენ“ (Road to Serfdom, 1944) და „თავისუფლების კონსტიტუცია“ (Constitution of Liberty, 1960).

ჰაიეკი წერდა თავისუფლების სიღრმისეულ საწყისებზე, რომელთა თეორიული ანალიზი მეტად სასარგებლო იქნება ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც წინ წამოსწია თანასწორობა თავისუფლებასთან მიმართებით და ხაზი გაუსვა მათ ე.წ. შეუთავსებლობას.

საკუთარ ნაშრომში „თავისუფლების კონსტიტუცია“, იგი წერს რომ, ვინაიდან ყველა ადამიანი განსხვავებულია, მათ მიმართ თანასწორი დამოკიდებულება შედეგად უთანასწორობას გამოიწვევს. ერთადერთი გზა, რომ ისინი თანასწორ მდგომარეობაში ჩავაყენოთ იქნება ის, რომ ყველას სხვადასხვაგვარად მოვექცეთ. შესაბამისად, თანასწორობა გაგებული კანონის გადმოსახედიდან და მატერიალური თანასწორობა ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და ორივეს მიღწევა ერთდროულად შეუძლებელია (Hayek, 1960).

ჰაიეკი თვლიდა, რომ თავისუფლება არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ თითოეულ ინდივიდს გააჩნია როგორც შესაძლებლობა ასევე არჩევანის თავისუფლება, არამედ

⁸ ავსტრიული ეკონომიკური სკოლა განეკუთვნება ჰეტეროდოქსულ ეკონომიკურ სკოლებს, რომელიც გულისხმობს ერთი ქოლგის ქვეშ სხვადასხვა ეკონომიკური იდეოლოგიის მატარებელი მეცნიერების გაერთიანებას.

ის გულისხმობს რომ თითოეული ჩვენგანი საკუთარი ქცევის შედეგად მიღებულ შედეგზე სრულიად პასუხისმგებელია, მიუხედავად იმისა, იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი. თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთგადაჯაჭვული ცნებებია და მათი გამოიჯვანა არ არის მართებული. ამდენად, ანგარიშვალდებულების კომპონენტის გაჩენა, როგორც ინდივიდუალური თავისუფლების გვერდითი მოვლენისა, ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ ჰაიეკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტრიბუციად (Hayek, 1960).

ჰაიეკი არ ამტკიცებდა, რომ თავისუფალი ადამიანები, თავისუფალი ბაზრის პირობებში არ უშვებენ შეცდომებს, მისთვის უბრალოდ არ იყო ეს საკმარისი არგუმენტი იმისა, რომ ვინმე იძულებით, მათივე ნების საწინააღმდეგოდ ჩაერიოს ნებისმიერი სუბიექტის ინდივიდუალურ ავტონომიაში თუნდაც კეთილი განზრახვით (Hayek, 1960).

ამდენად, მივდივართ არანაკლებ მძიმე და გადაუწყვეტელ საკითხამდე, რომელიც ეხება სახელმწიფოსა და მათი სხვადასხვა მმართველობის სისტემებს. ჰაიეკი სვამს შეკითხვას, თუ რა განსხვავებაა ტოტალიტარულ და თავისუფალ ქვეყნებს შორის? ტოტალიტარულმა წყობამ ყოველთვის ნათლად იცის ის, თუ როგორ ან რა მეთოდებით სურს დასახული შედეგების მიღწევა, მაშინ როდესაც თავისუფალი საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ წარსულ გამოცდილებასა და თავისუფლების იდეაზე დაყრდნობით ცდილობს გადაჭრის გზების ძიებას (Hayek, 1960).

მისი დასკვნა მარტივია: იძულება, წინასწარ განზრახული, გააზრებული ბოროტებაა რამეთუ ის უგულებელყოფს ადამიანს როგორც მოაზროვნე და ღირებულებების მქონე ინდივიდს და იყენებს მას როგორც ინსტრუმენტს ამა თუ იმ შედეგის მისაღწევად (Hayek, 1960).

ფრიდრიხ ჰაიეკის არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაშრომია „გზა ბატონყმობისკენ“, სადაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავისუფალი საზოგადოების მნიშვნელობასა და არჩევანის თავისუფლებას.

ეს უკანასკნელი, კონკურენტულ გარემოში გულისხმობს, რომ თუკი რომელიმე ადამიანი უარს ამბობს ჩვენი სურვილის დაკმაყოფილებაზე ჩვენ გვაქვს

ალტერნატივა მივმართოთ სხვას. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ აღმოვჩნდებით მონოპოლისტის წინაშე, ეს ნიშნავს რომ ჩვენი კმაყოფილება მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ეს უკანასკნელი კი ხშირად გამოიყენება მთავრობის როლის და ძალაუფლების განსაზღვრის ანალიზის დროს. ჩვენი შემდგომი მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი სწორედ მთავრობის როლის განსაზღვრაა, სადაც, ხსენებულ პოსტულატს კიდევ უფრო განვავითარებთ (Hayek, 1944).

ამდენად, შეგვიძლია შევაჯამოთ ფრიდრიხ ჰაიეკის ღრმა ფილოსოფიური მსჯელობა თავისუფლების იდეის გარშემო. მან პირველად დაგვანახა პასუხისმგებლობის კომპონენტის განსაკუთრებული მნიშვნელოვნება ინდივიდუალური თავისუფლების დონეზე. საკუთარ „თავისუფლების კონსტიტუციაში“ ჰაიეკი მივიდა ადამიანის პიროვნული თავისუფლების ყველაზე ღრმა წერტილებამდე, საიდანაც მოგვცა შესაძლებლობა მისი დასკვნები უკვე ავსახოთ ჩვენი ნაშრომის ეკონომიკური თავისუფლების განსაზღვრებაში.

თავიდანვე, ჩვენს მიზანს წარმოადგენს, ეკონომიკური თავისუფლების იდეის განვითარების ჩვენება დროში, სწორედ ამიტომ დავიწყეთ კლასიკური ეკონომიკური სკოლის განხილვით მე-18 საუკუნიდან და მოვიწვევთ ოცდამეერთე საუკუნის გამორჩეულ მოაზროვნეებამდე.

მილტონ ფრიდმანი (Milton Friedman, 1912-2006), ამერიკელი ეკონომისტი, ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელი და 1976 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების იდეის ერთ-ერთ მთავარ დამცველს, რომლის ნაშრომებიც იქცა ეკონომიკური თავისუფლების განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. იგი წერდა პოლიტიკური, ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი თავისუფლების მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომლებსაც აუცილებლად განვიხილავთ ჩვენს ნაშრომში.

ფრიდმანის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, პრაქტიკულ ნაშრომში, „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ (Capitalism and Freedom, 1962), რომელიც მეორე მსოფლიო ომიდან დაახლოვებით ორი ათწლეულის შემდგომ გამოქვეყნდა, იგი წერს, რომ ეკონომიკური თავისუფლება წარმოადგენს პოლიტიკური თავისუფლების

წინაპირობას. ამდენად, ამ ნაშრომით ფრიდმანი იწყებს თავისუფლების იდეის ყველა არსებული წინაპირობის თანაკვეთების ანალიზს.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში იგი ასევე განიხილავს თუ როგორ შეუძლია თავისუფალ ბაზარს დაიცვას ყოველი ჩვენგანი, რა შედეგები მოაქვს ინტერვენციას, და აღწერს დამოკიდებულებას თავისუფლებასა და თანასწორობას შორის, რომელიც მანამდე ფრიდრიხ ვონ ჰაიეკმა დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ ფრიდმანის მხრიდან ხდება სახელმწიფოს მოქმედებების სტიმულების ახსნა. მისი აზრით, ეს უკანასკნელი ყოველთვის ცდილობს მოქალაქეები დაიცვას მრავალი სხვადასხვა სახის „საფრთხისგან“, რის გამოც ხშირად ვერ ხედავს ე.წ. „უხილავ ხელს“, რომელიც ოპერირებს თავისუფალ საზოგადოებაში - საქონლის, სამუშაო ძალისა თუ ინფორმაციის გავრცელების გზით. ეს გზა კი ინდივიდუალური თავისუფლების გაცილებით დიდ დაცვას სთავაზობს საზოგადოებას ვიდრე თვით სახელმწიფო (Friedman, 1962).

სწორედ ბოლოსნახსენები პოსტულატით ეწინააღმდეგებოდა ფრიდმანი მე-20 საუკუნის ინტელექტუალებს, რომლებიც საპირისპიროს ქადაგებდნენ, ვითომდა ნებისმიერი ინდივიდი დაუცველი და მოწყვლადია თუკი მას სახელმწიფო არ იცავს. ეს მოსაზრება წარმოიშვა სწორედ „დიდი დეპრესიის“ შემდგომ, რომელიც აღქმული იყო როგორც თავისუფალი ბაზრის ჩავარდნა და რომელსაც ფრიდმანი უწოდებდა დიდწილად სწორედ მთავრობის ჩავარდნას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ფრიდმანის ნაშრომი “არჩევანის თავისუფლება” (ნაშრომი გამოქვეყნდა 1980 წელს), სადაც ავტორი წერს კონკურენციისა და არჩევანის მრავალფეროვნების საჭიროების შესახებ. ამ პერიოდში კი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ე.წ. პროფკავშირების გაერთიანებები. მას მოჰყავს მაგალითი, რომ პროფკავშირები როდესაც აღწევენ უფრო მაღალ ხელფასებს საკუთარი წევრებისათვის სამუშაო ძალის მიწოდების შეზღუდვის ხარჯზე, ეს შედარებით მაღალი ანაზღაურება უზრუნველყოფილია პროფკავშირებს მიღმა დარჩენილი კვალიფიციური მუშახელის შესაძლებლობების ხელოვნური ჩახშობით. თუმცა, მეორეს მხრივ, როდესაც დასაქმებული აღწევს უფრო მაღალ ხელფასს თავისუფალი ბაზრის პირობებში, ეს ნიშნავს, რომ საუკეთესო კომპანიები იბრძვიან საუკეთესო

თანამშრომლებისათვის და ამის გამო სთავაზობენ უფრო მაღალ ანაზღაურებას, ეს ანაზღაურება კი არ ზღუდავს ბაზრის არც ერთ სუბიექტს. სწორედ ამ გზით ახდენს თავისუფალი ბაზრის სისტემა საკუთარი ნაყოფის განაწილებას ადამიანებს შორის. ზემოაღწერილი მაგალითის მეშვეობით, ფრიდმანი გამოყოფს სამუშაო ძალის თავისუფლების კომპონენტს როგორც ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების ფუნდამენტურ ელემენტს, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების საწინდარია (Friedman, 1980).

საგულისხმოა, რომ ფრიდრიხ ვონ ჰაიეკის მსგავსად, მილტონ ფრიდმანიც უსვამდა ხაზს თავისუფლებასა და თანასწორობას შორის წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას. ამავე ნაშრომში იგი წერს, რომ საზოგადოება, რომელიც აყენებს თანასწორობას თავისუფლებაზე მაღლა, საბოლოო ჯამში ვერ მიიღებს ვერც თანასწორობას და ვერც თავისუფლებას. თუკი ძალის გამოყენებით შევეცდებით რომ მივალწიოთ თანასწორობას, მაშინ დავანგრევთ თავისუფლებას. ეს კი დასრულდება იმით, რომ ძალაუფლება, რომელიც გამიზნული იყო „კეთილი მიზნებისთვის“ აღმოჩნდება იმ ადამიანების ხელში, რომლებიც მას საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებენ. ამის საპირწონედ კი, საზოგადოება, რომელიც ამჯობინებს თავისუფლებას და მას დააყენებს ყველა ღირებულებაზე უფრო მაღლა, მიიღებს თავისუფლებასაც და თანასწორობის უფრო მაღალ ხარისხსაც (Friedman, 1980).

ამდენად, სწორედ ასე გამოიყურება ეკონომიკური თავისუფლების, და მთლიანად თავისუფლების იდეის ევოლუცია მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე. თუმცაღა, არანაკლებ საინტერესოა, განვიხილოთ ბოლო სამი ათწლეულის გამორჩეული მეცნიერების ნაშრომები რომლებიც გვაძლევენ ეკონომიკური თავისუფლების შესახებ თანამედროვე ხედვების გააზრების შესაძლებლობას.

ჯეიმს გვარტნი და რობერტ ლოუსონი გვთავაზობენ ეკონომიკური თავისუფლების შემდეგ განმარტებას: ინდივიდი შესაძლებელია მიჩნეულ იქნას როგორც ეკონომიკურად თავისუფალი, თუკი მას გააჩნია ორი ძირითადი უფლება 1) კერძო საკუთრებას, რომელსაც ის იღებს მითვისების, თაღლითობის ან/და

ნებისმიერი ძალის გამოყენების გარეშე დაცულია სხვა ადამიანების მიერ მისი ხელყოფისგან და 2) მას შეუძლია გამოიყენოს, გაასხვისოს, გაყიდოს ან/და გაცვალოს კერძო საკუთრება საკუთარი შეხედულებისამებრ თუკი მისი ეს ქმედება არ ზღუდავს სხვა ადამიანების მსგავს უფლებებს (Gwartney, Lawson, 2001).

ზემოაღნიშნული განმარტება თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეკონომიკური თავისუფლების ერთ-ერთ კლასიკურ დეფინიციად, რომელიც იქცა ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობისა და იდეის განხილვის მთავარ წყაროდ თანამედროვე მსოფლიოში.

ჯეიმს გვარტნი და რობერტ ლოუსონი საკუთარ პუბლიკაციაში „ეკონომიკური თავისუფლების კონცეფცია და მისი გაზომვა“ (Concept and Measurement of Economic Freedom, 2002) წერენ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ძირითად ინგრედიენტებს წარმოადგენენ თავისუფალი არჩევანი, ნებაყოფლობითი გაცვლა, კონკურენცია, იგივე შეჯიბრის თავისუფლება, ასევე ინდივიდებისა და კერძო საკუთრების დაცვა. აღნიშნული დეფინიციით, გვარტნი და ლოუსონი ამყარებენ იმ ეკონომისტთა მოსაზრებებს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. თუმცადა, ისინი მკაფიოდ უსვამენ ხაზს, რომ ინდივიდის მოქმედების თავისუფლება არის უმთავრესი ეკონომიკური თავისუფლებისთვის, რამეთუ სწორედ ეს უფლება განსაზღვრავს სუბიექტის გადაწყვეტილებას რას მიუძღვნას საკუთარი დრო, ძალისხმევა და უნარ-ჩვევები. გარდა ამისა, მედლის მეორე მხარეა, რომ არც ერთ ჩვენგანს არ უნდა შეეძლოს სხვა ადამიანების დროისა და უნარების ექსპლოატაცია მათი ნების საწინააღმდეგოდ (Gwartney, Lawson, 2002).

ფრედერიკ კარლსონი და სუსანა ლუნდსტორმი საკუთარ ნაშრომში „ეკონომიკური თავისუფლება და ზრდა: ეფექტების ანალიზი“ (Carlsson, Lundström 2001) წერენ, რომ ეკონომიკური თავისუფლება არ გამორიცხავს სახელმწიფოს ყველანაირ ინტერვენციას. ლიბერტარიანულ საზოგადოებაშიც კი, მინიმალური სახით მაინც არსებობს სახელმწიფო თუნდაც იმ მიზნით, რომ დაიცვას საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფლება. ამ შემთხვევაში, ისინი ზუსტად იაზრებენ მთავრობის როლს ეკონომიკურ პროცესებში, რომელიც უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ყოფის ხელისშემწყობი,

ეფექტიანი სამართლებრივი ჩარჩო პირობებით, რათა თითოეული ინდივიდის უფლება იყოს დაცული.

აღსანიშნავია ჰერბერტ გრუბელის პრაქტიკული შრომები ეკონომიკური თავისუფლების გარშემო. მის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში, *Determinants of Economic Freedom* (Grubel, 2015) იგი აყენებს მთავრ პოსტულატს, რომ ეკონომიკური თავისუფლების დონე ქვეყნაში წარმოადგენს დებატების შედეგს ორი განსხვავებული პოლუსის მქონე პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომელთაგან ერთი ცდილობს ამომრჩევლის ხმების ყიდვას კონკრეტული ჯგუფებისთვის სუბსიდიების გაცემით, რეგულაციების მეშვეობით მათი მფარველობითა და სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლების მინიჭებით. მეორეს მხრივ კი არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას იმის შესახებ, თუ რამდენად ძვირია ზემოხსენებული ჯგუფებისთვის „ხელსაყრელი“ პირობების შექმნა მმართველი პოლიტიკური გუნდის მხრიდან. ჰერბერტ გრუბელი აღნიშნავს, რომ წარმატებულად ფუნქციონირებად დემოკრატიებში ეკონომიკური თავისუფლების შემზღვეველი პოლიტიკის მომხმრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ხდება ე.წ. წონასწორული ეკონომიკური თავისუფლების მიღწევა, რომელიც დამოკიდებულია ქვეყნის ისტორიაზე, კულტურასა და ინსტიტუტებზე. აღნიშნული ნაშრომი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვამბობთ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე არ არის და ვერ იქნება საერთო სხვადასხვა ქვეყნებისთვის და რომ ის ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად განისაზღვრება სწორედ ზემოხსენებული დეტერმინანტების შესაბამისად.

კრისტინა ნუსტრომი საკუთარ ნაშრომში *Institutions of economic freedom and entrepreneurship: evidence from panel data* (Nyström, 2008) საუბრობს მეწარმეობის მზარდ როლზე, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური გახდა კაპიტალიზმის პოპულარიზაციასთან ერთად. იგი წერს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუტები თუკი დაკავშირებული არიან ეკონომიკურ ზრდასთან მაკრო დონეზე, შესაძლებელია თუ არა მსგავსი კავშირის მოძებნა მიკრო დონეზეც და პარალელის გავლება მეწარმეობასთან, ანუ რამდენად უწყობს ხელს ეკონომიკური

თავისუფლების მაღალი დონე მეწარმეობის განვითარებას. მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ საზომად აღიარებულია თვითდასაქმების დონე. სწორედ ამ პარამეტრებზე დაყრდნობით კვლევა გვეუბნება რომ ეკონომიკური თავისუფლების ისეთ ფუნდამენტურ ფაქტორებსა და ინსტიტუტებს შორის, როგორც არის მცირე მთავრობა, საკანონმდებლო ჩარჩო პირობები და დაცული კერძო საკუთრება დადებით გავლენას ახდენს თვით-დასაქმებაზე. ცხადია, ჩვენი კვლევის ამოცანებს ასევე წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების სიკეთეების დანახვა მიკრო დონეზეც. კავშირს სამეწარმეო აქტივობებსა და ეკონომიკურ თავისუფლებასა შორის მომდევნო თავებში კიდევ დავუბრუნდებით.

კრისტინა ნუსტრომის გარდა, კავშირზე ეკონომიკურ თავისუფლებასა და სამეწარმეო აქტივობებს შორის ინფორმაცია გვხვდება კრისტინა ბიორნსკოვის ნაშრომში - ეკონომიკური თავისუფლება და სამეწარმეო აქტივობა: სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე (Bjørnskov, 2008). აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი ემპირიული ანალიზის საფუძველზე, რომელიც 29 ქვეყნის მონაცემებს ეყრდნობა, კრისტინა ბიორნსკოვი ასკვნის, რომ მთავრობის ზომა, მონეტარული პოლიტიკა და ზოგადად ფინანსური ბაზრის გარემო, წარმოადგენენ ძლიერ დეტერმინანტებს მეწარმეობის წახალისების კუთხით. ცხადია, ამ მოსაზრებას ვიზიარებთ ჩვენც, ვინაიდან სამეწარმეო აქტივობების წახალისებისთვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს გამართული ფინანსური სისტემა, სადაც ხელმისაწვდომია ჯანსაღი ვალუტა.

ჯეიმს ოლადიპო ალაბედე საკუთარ ნაშრომში - Economic Freedom and Tax Revenue Performance in Sub-Saharan Africa (Alabede, 2018), აღნიშნავს ორ ფუნდამენტურ მიგნებას. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა რეგიონის 42 ქვეყანა 2005-2012 წლებში. კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია ეკონომიკური თავისუფლების დონე, მით უფრო დიდია გადასახადებისა და ამ ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის თანაფარდობა იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ეკონომიკური თავისუფლება შედარებით დაბალ დონეზე ნარჩუნდება. ემპირიული დადასტურება იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლება ახდენს დადებით გავლენას ქვეყნის ფისკალურ სიჯანსაღეზე ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვან თეორიულ

წანამძრვარს წარმოადგენს, რომელსაც კვლევის პრაქტიკულ ნაწილში კიდევ დავუბრუნდებით.

ეკონომიკური თავისუფლების კვლევის პრაქტიკაში, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მისი გავლენა მთლიანად ცხოვრების დონეზე. ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მოწინავე ქვეყნებისთვისაც კი შემოსავლების უთანაბრობაა. ეკონომიკური თავისუფლებისა და შემოსავლების უთანაბრობის კავშირს აღწერენ იოჰან გრააფლანდი და ბიორნ ლუისი ნაშრომში - Economic freedom, income inequality and life satisfaction in OECD countries (Graafland et al. 2018).

ეკონომიკური თავისუფლების თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებებს შემდგომ თავებში კიდევ დავუბრუნდებით, როდესაც გავანალიზებთ ეკონომიკური თავისუფლების პრაქტიკულ გავლენებს სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ადამიანთა კეთილდღეობის ინდიკატორებზე.

შესაბამისად, მას შემდეგ, რაც ვაჩვენეთ ეკონომიკური თავისუფლების იდეის ევოლუცია ადამ სმიტიდან დღემდე, გვაქვს შესაძლებლობა შევაჯამოთ და ჩამოვაყალიბოთ მათი ანალიზის მიხედვით მიღებული შედეგები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური თავისუფლების ფუნდამენტური საწყისი არის კერძო საკუთრების უფლება.

თუმცა, ცალკე აღებული დაცული კერძო საკუთრება, ცხადია, საკმარისი არ არის. დღევანდელი მოცემულობით აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს, შესაბამისად რთულია ვისაუბროთ მის ყველა კომპონენტსა და ასპექტზე. ამის მიუხედავად, მაინც შეგვიძლია გამოვყოთ მათ შორის ძირითადი, საკვანძო ელემენტები, რომლებსაც განიხილავდნენ სხვადასხვა ეპოქის გამორჩეული მოაზროვნეები.

იმისათვის, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ საკუთარი უფლებების დაცულობის განცდა, ამისათვის აუცილებელია სამართლიანი სასამართლო სისტემა. სწორედ ეს უკანსკნელი შეგვიძლია მივიჩნიოთ სუბიექტის ინდივიდუალური თავისუფლებისა თუ კერძო საკუთრების დაცვის გარანტიად. ამდენად, მივდივართ სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობასა და კორუფციისგან თავისუფლებასთან, რაც ადამიანებს აძლევს გონივრულ რწმუნებას იმისა, რომ ყველა მოქმედებს თანაბარ

პირობებში. არ უნდა დაგვავიწყდეს ბიზნესისა და სამუშაო ძალის თავისუფლებაც, რათა ინდივიდები საკუთარი სურვილით, მინიმალური დროისა და რესურსების დანახარჯებით ახორციელებდნენ ბიზნეს აქტივობებს ისევე, როგორც მხოლოდ საკუთარ შეხედულებებზე და სურვილებზე დაყრდნობით წყვეტდნენ თუ სად, რა ანაზღაურების სანაცვლოდ და რამდენი ხნით იმუშაონ.

ამ უკანსკნელი პოსტულატით, ეკონომიკური თავისუფლების განმარტებას დაემატა სამუშაო ძალის კომპონენტიც, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანის უფლებას, განკარგოს საკუთარი ცოდნა, უნარ-ჩვევები და დრო პირადი განსჯის საფუძველზე და გახლავთ სუბიექტის ინდივიდუალური თავისუფლების ხელშეუხებელი ელემენტი. იქ, სადაც თავისუფალი საბაზრო პრინციპები განსაზღვრავენ ადამიანთა ქმედებებს, ინდივიდები თვითონ წყვეტენ საკუთარი დრო დაუთმონ მუშაობას თუ დასვენებას, საკუთარი შემოსავლების რა ნაწილი მოიხმარონ და რა ნაწილი დაზოგონ, სახელმწიფო აბსოლუტურად გამორიცხულია ინდივიდების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან. თუმცადა, მეორეს მხრივ, არ უნდა გამოგვრჩეს ჰაიეკის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებლობის კომპონენტი, რომ ნებისმიერი ინდივიდის წარმატება დამოკიდებულია მისსავე მონდომებასა და ძალისხმევაზე, უნარსა და ინიციატივაზე, ზუსტად ისევე, როგორც მისი წარუმატებლობა.

1.2 ეკონომიკური თავისუფლების გაზომვის თავისებურებანი

წინამდებარე ქვეთავში განვიხილეთ მთლიანად თავისუფლების და კერძოდ ეკონომიკური თავისუფლების იდეის მთავარი მიზნები, ფუნდამენტური ელემენტები და მათი ხელშემწყობი თუ ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორები.

განსაკუთრებით ბოლო წლებში, ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება იმ შესაძლო მიზეზშედეგობრივი კავშირების ჩვენება, რომელიც არსებობს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის (Barro, 1994; Scully and Slottje, 1991; De Vanssay and Spindler, 1994; de Haan and Sierman, 1998; Carlsson and Lundström 2002; Altman 2008).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური თავისუფლების შესწავლა ჩვენს მიზანს წარმოადგენს იმიტომ, რომ დავინახოთ, გავზომოთ და შევაფასოთ იმ საზოგადოებრივი სიკეთის მოცულობა, რომელსაც ეს უკანსკნელი უზრუნველყოფს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი, გვჭირდება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის გაზომვა.

მსოფლიოში არსებობენ სხვადასხვა საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციები, რომლებიც იკვლევენ ეკონომიკურ თავისუფლებას ან მის რომელიმე სფეროს. ასეთები არიან მაგალითად მსოფლიო ბანკი, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიოში ბიზნესის კეთების ინდექსს⁹, თუმცა აღნიშნული ინდექსი მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების ერთ ვიწრო მიმართულებას მიმოიხილავს. იგივე შეიძლება ითქვას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე¹⁰.

თუმცა, ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლება თავისი ბუნებიდან გამომდინარე მრავალგანზომილებიანი ინდიკატორია, ჩვენ გვჭირდება ეკონომიკური თავისუფლების ისეთი საზომი, რომელშიც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მასზე მოქმედი ყველა ელემენტი და შესაბამისად მისი შედეგებიც უფრო რეალისტური იქნება.

ამისათვის კი შევარჩიეთ ეკონომიკური თავისუფლების ორი მთავარი ინდექსი, რომელთაგან ერთი ქვეყნდება ფრეიზერის ინსტიტუტის მიერ¹¹, ხოლო მეორე კი ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის მიერ¹².

ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ამ ქვე-თავში განვიხილავთ ორივე მათგანის გამოთვლის თავისებურებებს, რაც მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ამოვარჩიოთ ჩვენთვის სასურველი ინდექსი შემდგომში, ემპირიული ანალიზის სრულყოფილად ჩასატარებლად.

⁹ მსოფლიო ბანკი, ბიზნესის კეთებების ინდექსი - <https://www.doingbusiness.org/en/doingbusiness>

¹⁰ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი - <https://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2019>

¹¹ ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - <https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom>

¹² ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - <https://www.heritage.org/index/>

1.2.1 ფრეზერის ინსტიტუტისა და ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ანალიზი

ფრეზერის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეფუძნება ხუთი ძირითადი სფეროს თავისუფლებას (იხ. ცხრილი 1.1). განვიხილოთ თითოეული მათგანი ფრეზერის ინსტიტუტის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

ცხრილი 1.1 ფრეზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტები

ფრეზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი				
მთავრობის ზომა	სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები	ჯანსაღი ვალუტა	თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა	რეგულაციები

წყარო: ფრეზერის ინსტიტუტი - <https://www.fraserinstitute.org/economic-freedom/map?geozone=world&page=map>

1. მთავრობის ზომა;

2. სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები;
3. ჯანსაღი ვალუტა;
4. თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა;
5. რეგულაციები.

აღნიშნული ხუთი კატეგორია აერთიანებს ოცდაათხ სხვადასხვა კომპონენტს, რომელთა შორისაც ზოგიერთი მათგანი ჩაშლილია დამატებით ქვე-კომპონენტებად. ჯამურად, ინდექსი მოიცავს ორმოცდაორ ცვლადს, რომლებიც ქვეყნდება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ (მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების პროექტი, გლობალური კონკურენტუნარიანობის რეპორტი და სხვა). ინდექსის შემადგენელი თითოეული კომპონენტი და ქვე-კომპონენტი შეფასებულია 0-10 ქულათა შკალაზე. როდესაც კატეგორიის შიგნით სახეზეა ქვეკომპონენტების ერთობლიობა, ამ შემთხვევაში კომპონენტის შეფასების მისაღებად ხდება ქვე-კომპონენტებში მიღებული შედეგების გასაშუალოება. საბოლოო ინდექსის მაჩვენებლის მისაღებად კი ხდება მსხვილი კატეგორიების საშუალოს გამოთვლა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მთავრობის ზომა - მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს, რომელთაგან 'დ. ზღვრული საგადასახადო განაკვეთი' დამატებით ჩაშლილია ორ ქვე-კომპონენტად.

- ა. მთავრობის მოხმარება;
- ბ. ტრანსფერები და სუბსიდიები;
- გ. სახელმწიფო საწარმოები და ინვესტიციები;
- დ. ზღვრული საგადასახადო განაკვეთი;

დ.1. ზღვრული საშემოსავლო საგადასახადო განაკვეთი;

დ.2. ზღვრული შემოსავალი და სახელფასო საგადასახადო განაკვეთი.

აღნიშნული კატეგორია უჩვენებს თუ რამდენად ენდობა საზოგადოება რესურსების ალოკაციის პოლიტიკურ პროცესს. როდესაც მთავრობების ხარჯვა იზრდება ინდივიდების, შინამეურნეობების თუ ბიზნესების მიერ ფულის ხარჯვასთან შედარებით, როგორც წესი მთავრობის გადაწყვეტილების მიღება ანაცვლებს პირად, პერსონალურ არჩევანს და ეკონომიკური თავისუფლება მცირდება. სწორედ ზემოაღნიშნული ა. და ბ. კომპონენტები გვიჩვენებენ ამას.

მთავრობის მოხმარების წილი მთლიან მოხმარებაში და სუბსიდიებისა და ტრანსფერების წილი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით წარმოადგენენ მთავრობის ზომის ინდიკატორებს. ამდენად, როდესაც სახელმწიფო მოხმარების წილი ჯამურად აჭარბებს სხვა დანარჩენებისას, პოლიტიკური არჩევანი ანაცვლებს პერსონალურ არჩევანს. ასევე, როდესაც მთავრობა გადასახადს აკისრებს საზოგადოების ნაწილს იმისათვის რომ ტრანსფერი გასცეს სხვებისთვის, ამით ისინი ამცირებენ ინდივიდების თავისუფლებას შეინარჩუნონ და განკარგონ საკუთარი შრომის ნაყოფი.¹³

რაც შეეხება სახელმწიფო საწარმოების და ინვესტიციების კომპონენტს, ის ზომავს მასშტაბს თუ რამდენად მეტად იყენებს ქვეყანა კერძო ინვესტიციებსა და საწარმოებს ვიდრე, სახელმწიფო ინვესტიციებსა და სახელმწიფო ფირმებს/კომპანიებს პირდაპირი რესურსების სახით. მთავრობა და მის მფლობელობაში არსებული საწარმოები მოქმედებენ კერძო სექტორისგან განსხვავებული წესებითა და სტიმულებით. ისინი არც შემოსავლების გენერირების ნაწილში არიან დამოკიდებულნი მოხმარებელზე და არც კაპიტალის მოზიდვის ნაწილში ინვესტორებზე. უფრო მეტიც, ამგვარი კომპანიები უმეტესად ოპერირებენ ჩაკეტილ, დაცულ ბაზრებზე. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაც უფრო დიდია სახელმწიფო საწარმოების გამოშვება (წარმოებული საქონელი და მომსახურება) მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით, მით უფრო მცირდება ეკონომიკური თავისუფლება.

მთავრობის ზომის კატეგორიის მეოთხე კომპონენტი - ზღვრული საგადასახადო განაკვეთი - ეფუძნება ორ ქვეკომპონენტს, ზღვრულ საშემოსავლო საგადასახადო განაკვეთსა და ზღვრულ სახელფასო საგადასახადო განაკვეთს. ამ ორი კომპონენტის საშუალოთი გამოითვლება მთლიანად ზღვრული საგადასახადო განაკვეთის კომპონენტი.

ზემონახსენები ოთხივე კომპონენტის გაერთიანებით იზომება ქვეყანაში პირადი არჩევანისა და ბაზრის სიძლიერე სახელმწიფო ბიუჯეტთან და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. ამდენად, ქვეყნები უფრო დაბალი სახელმწიფო

¹³ ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგია - <https://www.fraserinstitute.org/economic-freedom/approach>

ხარჯებით, მცირე მთავრობის ზომითა და დაბალი ზღვრული გადასახადებით უფრო მაღალ პოზიციებს იკავებენ ეკონომიკური თავისუფლების კლასიფიკაციაში.

მეორე კატეგორიას წარმოადგენს **სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები**, რომელიც მოიცავს ცხრა სხვადასხვა ქვე-კომპონენტს:

- ა. სასამართლოს თავისუფლება;
- ბ. მიუკერძოებელი მოსამართლეები;
- გ. საკუთრების უფლების დაცვა;
- დ. სამხედრო ჩარევა კანონის აღსრულებასა და პოლიტიკაში;
- ე. საკანონმდებლო სისტემის სამართლიანობა;
- ვ. კონტრაქტების სამართლებრივი აღსრულება;
- ზ. რეგულაციების ხარჯი კერძო საკუთრების გაყიდვისას;
- თ. პოლიციის მიმართ ნდობა;
- ი. კრიმინალის ზიანი ბიზნესზე.

ინდივიდებისა და მათ მიერ კანონიერი გზებით მოპოვებული საკუთრების დაცვა ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია არამხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების, არამედ მთლიანად ცივილიზებული საზოგადოებისათვის. მთავრობის უმთავრესი ფუნქცია, სწორედ ამის აღსრულებაა. სამართლებრივი სისტემის თანხვედრა ეკონომიკურ თავისუფლებასთან ხდება მაშინ, როდესაც გვაქვს გამართული სამართლებრივი ნორმები, კერძო საკუთრების დაცვა, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო და კანონის უპირობო უზენაესობა.

დაცული კერძო საკუთრება წარმოადგენს არა მხოლოდ ეკონომიკური თავისუფლების მყარ დასაყრდენს, არამედ ხელს უწყობს ბაზრის ეფექტიან ოპერირებას. გაცვლის თავისუფლება, ფატალურად სუსტდება თუკი ინდივიდებს არ აქვთ დაცული კერძო საკუთრება და დაგროვილი სიმდიდრე. ნათელია, რომ როდესაც ინდივიდები თვლიან, რომ მათ მიერ დადებული კონტრაქტები არ აღსრულდება და შესაბამისად მათი საწარმოო ძალისხმევა იქნება დაუცველი, ეს დაამახინჯებს ამ ადამიანების სტიმულებს ჩაერთონ ამა თუ იმ ეკონომიკურ საქმიანობაში. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური

თავისუფლების ინდექსის ხუთი კატეგორიიდან, ეს ყველაზე მეტად არის დაკავშირებული რესურსების ეფექტიან ალოკაციასთან.

ჯანსაღი ფულის კატეგორია მოიცავს ოთხ კომპონენტს, რომელთა შორისაცაა:

- ა. ფულის მასის ზრდა;
- ბ. ინფლაციის სტანდარტული გადახრა;
- გ. ბოლო წლის ინფლაციის მაჩვენებელი;
- დ. უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშის ფლობის უფლება.

ფული წარმოადგენს გაცვლის საშუალებას. სტაბილური ვალუტის არქონა ძირს უთხრის ვაჭრობის განვითარებას. მილტონ ფრიდმანი საკუთარ ნაშრომში „ინფლაციის მიზეზები და გარემოებები“ წერდა, რომ ინფლაცია მონეტარული ფენომენია, როდესაც ბევრი ფული ცოტა საქონლის ძიებაშია (Friedman, 1963). ინფლაციის მაღალი და მერყევი მაჩვენებელი ამახინჯებს ფასებს, რაც იწვევს ცვლილებებს გრძელვადიან კონტრაქტებში და ართულებს დაგეგმვის პროცესს როგორც ინდივიდების ასევე ბიზნეს სექტორისთვის.

გარდა ამისა, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს ინფლაციური პროცესები, მნიშვნელოვანია ინდივიდებს შეეძლოთ სხვა ალტერნატიული უცხოური ვალუტების გამოყენება.

ფრეხერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მეოთხე კატეგორიას წარმოადგენს **თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა**. იგი თავის მხრივ მოიცავს 4 ქვეკომპონენტს, რომლებიც კიდევ 1 დონით დაბლა იშლებიან. ესენია:

ა. ტარიფები;

ა.1. ვაჭრობასთან დაკავშირებული გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი (მთლიანად სავაჭრო სექტორის პროცენტული წილი);

ა.2. ტარიფების საშუალო განაკვეთი;

ა.3. ტარიფების განაკვეთის სტანდარტული გადახრა;

ბ. ვაჭრობასთან დაკავშირებული ბარიერები

ბ.1. არასატარიფო ბარიერები;

ბ.2. იმპორტ-ექსპორტის ხარჯი;

გ. „შავი ბაზრის“ გაცვლითი კურსი;

დ. ადამიანებისა და კაპიტალის მოძრაობის კონტროლები;

- დ.1. უცხოური მფლობელობა/შეზღუდვები ინვესტიციებზე
- დ.2. კაპიტალის კონტროლი;
- დ.3. უცხოელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში შემოსავლის თავისუფლება.

ამ ჯგუფში მოქცეული კომპონენტების მიზანია გაზომონ იმ სხვადასხვა შეზღუდვებისა და ბარიერების ეფექტი, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო გაცვლაზე. სხვა თანაბარ პირობებში დაბალი ტარიფები, ეფექტიანი საბაჟო პროცედურები, თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა და ადამიანური და ფიზიკური კაპიტალის გადაადგილების მინიმალური შეზღუდვები ზრდის ეკონომიკურ თავისუფლებას.

დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც გვაქვს ტექნოლოგიური პროგრესი, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის შედარებით დაბალი ხარჯი, თავისუფალი გაცვლა წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების უმნიშვნელოვანეს ინგრედიენტს. მრავალი სახის საქონელი და მომსახურება უკვე ან სრულად იწარმოება ქვეყნებს გარეთ, ანდაც მისი ძირითადი მაკომპლექტებელია საზღვარგარეთიდან იმპორტირებული. ამდენად, თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს ცხოვრების დონის არსებით ზრდას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მრავალი ქვეყანა მიმართავს სავაჭრო შეზღუდვების სხვადასხვა სახეობებს. ტარიფები და ქვოტები, ვალუტის კონვერტაციაზე არსებული შეზღუდვები, ბიუროკრატიული დაბრკოლებები საბაჟოზე, სწორედ ამგვარი ბარიერების სახეობებია, რომლებიც ზღუდავენ საერთაშორისო ვაჭრობას.

ბოლო და ყველაზე კომპლექსური კატეგორია ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში გახლავთ რეგულაციები. იგი მოიცავს სამ კომპონენტსა და თხუთმეტ ქვეკომპონენტს.

ა. საკრედიტო ბაზრის რეგულაციები;

- ა.1. ბანკების მფლობელობა;
- ა.2. კერძო სექტორის დაკრედიტება;
- ა.3. საპროცენტო განაკვეთების კონტროლი / უარყოფითი საპროცენტო განაკვეთები;

ბ. სამუშაო ძალის ბაზრის რეგულაციები;

- ბ.1. დაქირავების შეზღუდვები და მინიმალური ხელფასის ზღვარი;
- ბ.2. დაქირავებისა და გათავისუფლების შეზღუდვები;
- ბ.3. ცენტრალიზებული კოლექტიური მოლაპარაკებები;
- ბ.4. სამუშაო საათების რეგულირება;
- ბ.5. თანამშრომლის განაცდურის დადგენილი ხარჯი;
- ბ.6. სავალდებულო სამხედრო სამსახური;

გ. ბიზნესის რეგულაციები;

- გ.1. ადმინისტრაციული მოთხოვნები;
- გ.2. ბიუროკრატიული ხარჯები;
- გ.3. ბიზნესის დაწყება;
- გ.4. დამატებითი ხარჯები, ქრთამები, ფავორიტიზმი;
- გ.5. ლიცენზირების შეზღუდვები;
- გ.6. საგადასახადო შესაბამისობის ხარჯი.

როდესაც რეგულაციები ხელს უშლიან ბაზარზე შეღწევას და ერევიან თავისუფალ გაცვლაში, ისინი ამცირებენ ეკონომიკურ თავისუფლებას. ეს უკანასკნელი ჯგუფი, სწორედ ამგვარ რეგულაციურ შეზღუდვებს ეხება, რომელიც ზღუდავს გაცვლას საკრედიტო, სამუშაო ძალისა თუ საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე. პირველი კომპონენტი (ა - ჯგუფი) ასახავს პირობებს საშინაო საკრედიტო ბაზარზე. ა.1. კი გვიჩვენებს თუ რამდენადაა საბანკო ინდუსტრია კერძო სექტორის ხელში. ა.2. და ა.3. ააშკარავენ რამდენად არსებობს კერძო სექტორში დაკრედიტებაზე ხელმისაწვდომობა და არსებობს თუ არა საპროცენტო განაკვეთების კონტროლი ამ ბაზრის შიგნით.

ბევრი ტიპის შეზღუდვა არსებობს სამუშაო ძალის ბაზარზე, რომელიც არღვევს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ეკონომიკურ თავისუფლებას. მათ შორის უფრო მეტად გავრცელებულია მინიმალური ხელფასის შეზღუდვები, გაცდენებზე რეგულაციები, ცენტრალიზებული სახელფასო სისტემა, სავალდებულო სამხედრო სამსახური და სხვა.

რაც შეეხება ბიზნესის რეგულაციების ქვე-კომპონენტებს, ისინი ახდენენ მასშტაბს იდენტიფიცირებას, თუ რამდენად უშლიან ხელს შეზღუდვები და ბიუროკრატიული პროცედურები ბაზარზე შესვლას.

ჰერთიოჯ ფაუნდეიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ეფუძნება ეკონომიკური და სამეწარმეო გარემოს ოთხ ძირითად ასპექტს, რომელსაც როგორც წესი ეხება სახელმწიფო:

1. კანონის უზენაესობა;
2. მთავრობის ზომა;
3. რეგულაციების ეფექტიანობა;
4. ღია ბაზარი.

ამ ოთხი კატეგორიის შეფასებისას, ინდექსი ითვალისწინებს ეკონომიკური თავისუფლების თორმეტ სხვადასხვა კომპონენტს, რომელთაგან თითოეული შეფასებულია 0-100 ქულიან შკალაზე. ყოველი კომპონენტის შედეგი, რომელიც ხშირ შემთხვევაში დამხმარე ქვე-კომპონენტებისა და ფაქტორებისგან შედგება, ერთიანდება და ენიჭება თანაბარი წონები, რის შემდეგაც საბოლოო ინდექსის მაჩვენებელი წარმოადგენს თორმეტივე კომპონენტის შეწონილ საშუალოს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

კანონის უზენაესობა - მოიცავს სამ ფაქტორს:

- ა) საკუთრების უფლება
- ბ) სასამართლოს ეფექტურობა
- გ) მთავრობის ერთიანობა

საკუთრების უფლება¹⁴ - აფასებს თუ რამდენად აძლევს ქვეყნის საკანონმდებლო ჩარჩო ნებისმიერ ინდივიდს უფლებას მოიპოვოს, შეინარჩუნოს თუ გამოიყენოს კერძო საკუთრება, რასაც უნდა იცავდნენ ნათლად ჩამოყალიბებული კანონები და სახელმწიფო, რომელიც მას ადასრულებს ეფექტიანად. იგი ეფუძნება სხვადასხვა კვლევებსა და დამოუკიდებელ შეფასებებს, რომლებიც გვამლევს რაოდენობრივ საზომს, რათა შევაფასოთ თუ რამდენად იცავენ კანონები ჯერძო საკუთრების

¹⁴ საკუთრების უფლების კომპონენტის შეფასება ხდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის, მსოფლიო ბანკის, ბიზნესის კეთედების ინდექსისა და კრედენდო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული რისკის შეფასების ანგარიშის მიხედვით.

უფლებას და ასევე რამდენად არის ეს კანონები დაცული და აღსრულებული. გარდა ამისა, ეს კომპონენტი აფასებს სახელმწიფოს მხრიდან თქვენი კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის ალბათობას.

რაც უფრო ეფექტურია კერძო საკუთრების დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო, მით მეტია ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებელიც. საკუთრების უფლების კომპონენტი ეფუძნება ხუთ ქვე-კომპონენტს, რომლებიც აღებულია მსოფლიო ბანკის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და კრედენდო ჯგუფის ანგარიშებიდან:

1. ფიზიკური საკუთრების უფლება;
2. ინტელექტუალური საკუთრების უფლება;
3. ინვესტორების დაცვის ძალა;
4. ექსპროპრიაციის რისკი;
5. მიწის ადმინისტრირების ხარისხი.

თითოეული ქვე-კომპონენტი გენერირდება შესაბამისი რიცხვითი მონაცემებიდან, რომლებიც ნორმალიზებულია შესადარისობისთვის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{Sub.factor Score } i = 100 \times (\text{Sub.factorMax} - \text{Sub.factor}_i) / (\text{Sub.factorMax} - \text{Sub.factorMin})$$

სადაც, Sub.factor i წარმოადგენს i ქვეყნის შესაბამის მონაცემს; Sub.factorMax და Sub.factorMin წარმოადგენს ამ მონაცემის ზედა და ქვედა ზღვრებს გენერალურ ერთობლიობაში; ხოლო Sub.factor Score i კი წარმოადგენს უკვე დაანგარიშებულ i მონაცემს ამ ქვეყნისათვის.

სასამართლოს ეფექტიანობა¹⁵ - გამართული საკანონმდებლო ჩარჩო წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას მოქალაქეების უფლებების დასაცავად ხელისუფლებისა თუ კერძო სუბიექტების არაკანონიერი ქმედებების წინააღმდეგ. სწორედ გამართულმა, სამართლიანმა და ეფექტიანმა სასამართლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს, რომ კანონის უზენაესობა იყოს დაცული და თითოეული კანონდარღვევის წინააღმდეგ შესაბამისი ზომები იქნას მიღებული. აღნიშნული

¹⁵ სასამართლოს ეფექტურობის კომპონენტის შეფასება ხდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშსა და მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსზე დაყრდნობით.

კომპონენტის ქულა გამოიყვანება შემდეგი ქვე-კომპონენტების შეწონილი საშუალოდან:

- სასამართლოს დამოუკიდებლობა;
- სასამართლო პროცესების ხარისხი;
- ფავორიტიზმი გადაწყვეტილებების მიღებისას სახელისუფლებო წარმომადგენლების მიერ.

თითოეული ქვე-კომპონენტი მოდის რიცხვითი მონაცემებიდან, რომლებიც ნორმალიზებულია შესადარისობისთვის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{Sub-factor Score } i = 100 \times (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factor } i) / (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factorMin})$$

სადაც, Sub-factor Score i წარმოადგენს i ქვეყნის მაჩვენებელს, ხოლო Sub-factorMax და Sub-factorMin კი უმაღლეს და უმცირეს მაჩვენებლებს შესაბამის მონაცემთა ერთობლიობაში.

მთავრობის ერთიანობა¹⁶ - კორუფცია ანგრევს ეკონომიკურ თავისუფლებას, რამეთუ ჩნდება დაუცველობა ინდივიდებს შორის და ხდება ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში. ამ შემთხვევაში, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებში დამკვიდრებული სისტემური კორუფცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეფუძნება ისეთ პრაქტიკას, როგორცაა მექრთამეობა, გამომძალველობა, ნეპოტიზმი, კრონიზმი, პატრონაჟი თუ სახელმწიფო ქონების გაფლანგვა. სწორედ მთავრობის მთლიანობის სიმწირე, რომელიც გამოწვეულია ამგვარი პრაქტიკის არსებობით ამცირებს საზოგადოების ნდობას და ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას ეკონომიკური აქტივობების გაძვირებით.

აღნიშნული კომპონენტის ქულა გამოიყვანება შემდეგი ქვე-კომპონენტების შეწონილი საშუალოდან:

- საზოგადოების ნდობა პოლიტიკოსების მიმართ;
- არაკანონიერი გადახდები და ქრთამები;
- სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების გამჭვირვალობა;

¹⁶ მთავრობის ერთიანობის კომპონენტის შეფასება ხდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშზე, მსოფლიო სამართლიანობის პროექტის, კანონის უზენაესობის ინდექსზე, საერთაშორისო გამჭვირვალობის, კორუფციის აღქმის ინდექსზე და თრეის ინტერნეიშენალის The Trace Matrix-ზე დაყრდნობით.

- კორუფციის არარსებობა;
- კორუფციის აღქმა;
- სახელმწიფო და საჯარო სერვისების გამჭვირვალობა.

თითოეული ქვე-კომპონენტი მოდის რიცხვითი მონაცემებიდან, რომლებიც ნორმალიზებულია შესადარისობისთვის შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{Sub-factor Score } i = 100 \times (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factor } i) / (\text{Sub-factorMax} - \text{Sub-factorMin})$$

სადაც, Sub-factor Score i წარმოადგენს i ქვეყნის მაჩვენებელს, ხოლო Sub-factorMax და Sub-factorMin კი უმაღლეს და უმცირეს მაჩვენებლებს შესაბამის მონაცემთა ერთობლიობაში.

მთავრობის ზომა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. საგადასახადო ტვირთი;
2. სახელმწიფო ხარჯები;
3. ფისკალური სიჯანსაღე.

საგადასახადო ტვირთი¹⁷ - ინდექსის მეთოდოლოგიის შესაბამისად ეს არის საზომი რომელიც გვიჩვენებს ზღვრულ საგადასახადო ტვირთს პერსონალურ და კორპორატიულ შემოსავალზე, ასევე მთლიანად საგადასახადო ტვირთს (რომელიც მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს, დაწესებულს ხელისუფლების მიერ ნებისმიერ დონეზე), როგორც პროცენტულ წილს მთლიან სამამულო პროდუქტში. აღნიშნული კომპონენტის ქულა გამოიყვანება შემდეგი სამი ქვე-კომპონენტისგან:

- უმაღლესი ზღვრული საგადასახადო განაკვეთი ინდივიდუალურ შემოსავალზე;

¹⁷ საგადასახადო ტვირთის კომპონენტის შეფასება ხდება დელოიტის, საერთაშორისო საგადასახადო და ბიზნესის სახელმძღვანელოს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, წევრი ქვეყნების ანგარიშის, ფრაისვოთერჰაუსკუპერსის (PwC) გლობალური საგადასახადო შეჯამებისა და სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტების ინფორმაციაზე დაყრდნობით (მოცემული თანმიმდევრობით). ხოლო საგადასახადო ტვირთის კომპონენტის შეფასება კი ხდება ევროსტატის, აფრიკის განვითარების ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აზიის განვითარების ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.

- უმაღლესი ზღვრული საგადასახადო განაკვეთი კორპორატიულ შემოსავალზე;
- მთლიანი საგადასახადო ტვირთი, როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი.

თითოეული ზემოაღნიშნული რიცხვითი ცვლადი თანაბრად არის შეწონილი კომპონენტის საბოლოო ქულაში 1/3-ის ექვივალენტური წილით.

საგადასახადო ტვირთის ქულა გამოითვლება ე.წ. კვადრატული დანახარჯების ფუნქციის (quadratic cost function) მეშვეობით, რომელიც ასახავს შემცირებად შემოსავლებს მაღალი საგადასახადო ტვირთის პირობებში.

თითოეული ქვე-კომპონენტის მაჩვენებელი გარდაიქმნება 100 ქულიან შკალაზე შემდეგი ფორმულის შესაბამისად:

$$\text{Tax Burden}_{ij} = 100 - \alpha (\text{Factor}_{ij})^2$$

სადაც Tax Burden_{ij} აღნიშნავს საგადასახადო ტვირთს i ქვეყანაში j ფაქტორისთვის; Factor_{ij} კი აღნიშნავს მაჩვენებელს (როგორც რიცხვის პროცენტი შკალაზე 0-100) i ქვეყანაში j ფაქტორისთვის; ხოლო α არის კოეფიციენტი რომელიც უდრის 0,03. თითოეული ქვე-კომპონენტის მინიმალური შეფასება შეიძლება იყოს 0.

სახელმწიფო ხარჯები¹⁸ - აღნიშნული კომპონენტი გვიჩვენებს იმ ტვირთს, რომელსაც იწვევს სახელმწიფო ხარჯები. ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც სახელმწიფოს მოხმარებას, ასევე ყველა ტიპის ტრანსფერებსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა პროგრამების აღსრულებასთან. ცალსახა პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორია სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური დონე არ არსებობს. იგი მერყეობს ქვეყნიდან ქვეყანამდე და დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა ეკონომიკური განვითარების დონე, კულტურა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სხვა. გარკვეულწილად, სახელმწიფო ხარჯები გარდაიქმნება ხოლმე გარდაუვალ ტვირთად, რამეთუ საჯარო სექტორის ზომისა და მოცულობის ზრდას რიგ შემთხვევებში მივყავართ რესურსების არაეფექტიან განაწილებასთან და ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებასთან. ზოგადად, ჭარბი სახელმწიფო

¹⁸ სახელმწიფო ხარჯების კომპონენტის შეფასება ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და მონაცემთა განვითარების ორგანიზაციის, ევროსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და აფრიკის განვითარების ბანკის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ხარჯები, იწვევს რა ქრონიკულ ბიუჯეტის დეფიციტს და ახდენს მის დაფინანსებას სახელმწიფო ვალით წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ხელისშემშლელ ფაქტორს ეკონომიკური დინამიზმისთვის.

ეკონომიკური თავისუფლების მეთოდოლოგიის მიხედვით, ნულოვანი სახელმწიფო ხარჯები წარმოადგენს ინდექსის ერთგვარ ბენჩმარკს (საბაზისო მაჩვენებელს). ამდენად, სხვადასხვა ეკონომიკურად ჩამორჩენილმა ქვეყნებმა, რომელთაც აქვთ მცირე სახელმწიფო ხარჯები უბრალოდ იმის გამო, რომ რესურსები არ გააჩნიათ სახელმწიფო ხარჯებისთვის იღებენ ხელოვნურად (არაბუნებრივად) მაღალ შეფასებებს ამ კომპონენტში.

სახელმწიფო ხარჯების შეფასების მასშტაბი არის არაწრფივი, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა რომელსაც მინიმალური სახელმწიფო ხარჯები აქვს, მცირედით „ჯარიმდება“ შეფასების ნაწილში, მაშინ როდესაც თუ ეს ხარჯები გადააჭარბებს მთლიანი სამამულო პროდუქტის 30%-ს შედეგი გაუარესდება კვადრატული სტილით, რაც ნიშნავს იმას რომ ხარჯების გაორმაგება, ოთხჯერ შეამცირებს ინდექსის მაჩვენებელს და ა.შ. მხოლოდ განსაკუთრებულად მაღალი ხარჯები მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში იღებენ ნულოვან შეფასებებს (დაახლოვებით 58%>).

ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ხარჯების კომპონენტის გამოსათვლელი ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება:

$$GE_i = 100 - \alpha (Expenditures_i)^2$$

სადაც GE_i წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯების ქულას შესაბამის ქვეყანაში; $Expenditures_i$ წარმოადგენს საშუალო მთლიან სახელმწიფო ხარჯებს ყველა დონეზე როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის წილი ბოლო სამი წლისთვის. აღნიშნული კომპონენტის მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს ნული.

უმეტეს შემთხვევებში, ინდექსი იყენებს ზოგადად სახელმწიფო ხარჯების მონაცემებს რომელიც მოიცავს ხარჯებს როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეებზე.

ფისკალური სიჯანსაღე¹⁹ - ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა სახელმწიფო ვალის მატებასთან ერთად არღვევს ქვეყნის ფისკალურ სიჯანსაღეს. ხოლო ამ უკანასკნელის გაუარესება კი პირველ რიგში ასოცირდება ქვეყნის მაკროეკონომიკურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ განუსაზღვრელობასთან.

ზოგადად, ვალი წარმოადგენს დროის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში დაგროვილი დეფიციტების ჯამს. თეორიაში, სახელმწიფო ხარჯების ვალით დაფინანსებას შესაძლებელია ჰქონდეს პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე თუნდაც მწარმოებლურობის ზრდის გავლენით. თუმცადა, სახელმწიფო ვალის ზრდა რომელიც ხმარდება მთავრობის მოხმარების დაკმაყოფილებას ანდა სუბსიდირებას, ხშირად ძირს უთხრის პროდუქტიულობას და ხელს უწყობს სტაგნაციური პროცესების განვითარებას.

ფისკალური სიჯანსაღის კომპონენტის შეფასება ხდება ორი ქვე-კომპონენტის მეწონვით:

- ა) ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოდ როგორც წილი მთლიან სამამულო პროდუქტში უკანასკნელი სამი წლისათვის (80% წონით მთლიან კომპონენტში);
- ბ) სახელმწიფო ვალი როგორც წილი მთლიან სამამულო პროდუქტში (20% წონით მთლიან კომპონენტში).

ფისკალური სიჯანსაღის გამოთვლა ხდება შემდეგი განტოლების დახმარებით:

$$\text{Sub-factor Score}_i = 100 - \alpha (\text{Sub-factor}_i)^2$$

სადაც, $\text{Sub-factor Score}_i$ წარმოადგენს დეფიციტს (ან ვალის ქულას) i ქვეყნისათვის. Sub-factor_i კი შეადგენს ფაქტორის ღირებულებას როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის ნაწილს. α გამოსახავს კოეფიციენტს რომელიც აკონტროლებს ვარიაციას ქულებს შორის. კომპონენტის მინიმალური შეფასება შეიძლება იყოს ნულის ტოლი.

უმეტეს შემთხვევებში, ინდექსი იყენებს სახელმწიფო დეფიციტისა და ვალის მონაცემებს სახელმწიფოს ყველა დონეზე.

¹⁹ ფისკალური სიჯანსაღის კომპონენტის შეფასება ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, აზიის განვითარების ბანკის, აფრიკის განვითარების ბანკისა და ქვეყნების სამთავრობო უწყებების ოფიციალურ ანგარიშებს.

რეგულაციების ეფექტიანობა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ბიზნესის თავისუფლება;
2. სამუშაო ძალის თავისუფლება;
3. მონეტარული თავისუფლება.

ბიზნესის თავისუფლება²⁰ - ბიზნესის თავისუფლების კომპონენტი ზომავს თუ რამდენად უშლის ხელს რეგულაციური და ინფრასტრუქტურული გარემო ბიზნეს ოპერაციების ეფექტიან ფუნქციონირებას. რაოდენობრივი ქულა მიიღება სხვადასხვა ფაქტორების ანალიზით, რომელიც მოიცავს ბიზნესის დაწყების, ოპერირებისა და დახურვის სიმარტივეს. აღნიშნული კომპონენტის ქულა იზომება 0-100 ბალიან შკალაზე, სადაც 100 აღნიშნავს სრულყოფილად თავისუფალ ბიზნეს გარემოს. კომპონენტის საბოლოო შეფასება გამომდინარეობს 13 ქვე-კომპონენტისგან, რომელთაგან თითოეული შეიწონება თანაბრად. აღნიშნული კომპონენტის წყაროა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსი.

1. ბიზნესის დაწყება - პროცედურების რაოდენობა;
2. ბიზნესის დაწყება - დრო (დღეების რაოდენობა);
3. ბიზნესის დაწყება - ხარჯი, როგორც წილი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებში;
4. ბიზნესის დაწყება - მინიმალური კაპიტალი, როგორც წილი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებში;
5. ლიცენზიის მოპოვება - პროცედურების რაოდენობა;
6. ლიცენზიის მოპოვება - დრო (დღეების რაოდენობა);
7. ლიცენზიის მოპოვება - ხარჯი, როგორც წილი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებში;
8. ბიზნესის დახურვა - დრო (წლების რაოდენობა);
9. ბიზნესის დახურვა - ხარჯი (ქონების პროცენტული წილი);

²⁰ ბიზნესის თავისუფლების კომპონენტის შეფასება ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, ბიზნესის კეთების ინდექსს, ეკონომისტის, ქვეყნების კომერციის რეპორტს, აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტისა და შეფასებული ქვეყნების სამთავრობო უწყებების ოფიციალურ გამოცემებს.

10. ბიზნესის დახურვა - აღდგენის სიჩქარე (ცენტების ოდენობა თითოეულ დოლარზე);
11. ელექტრო ენერგიაზე ხელმისაწვდომობა - პროცედურების რაოდენობა;
12. ელექტრო ენერგიაზე ხელმისაწვდომობა - დრო (დღეების რაოდენობა);
13. ელექტრო ენერგიაზე ხელმისაწვდომობა - ხარჯი, როგორც წილი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლებში.

ზემოაღწერილი თითოეული ქვე-კომპონენტი გადაიყვანება 0-100 ქულიან შკალაზე, საიდანაც დაიანგარიშება უკვე საშუალო არითმეტიკული. შედეგი კი გამოსახავს ქვეყნის ბიზნესის თავისუფლების შეფასებას სხვა ქვეყნებთან შედარებით.

თითოეული ქვე-კომპონენტის კონვერტაცია 0-100 ქულიან შკალაზე ხდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{Sub-factor Score}_i = 50 \times (\text{Sub-factor}_{\text{Average}} / \text{Sub-factor}_i)$$

სამუშაო ძალის თავისუფლება²¹ - წარმოადგენს რაოდენობრივ საზომს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ასპექტებს ამა თუ იმ ქვეყნის სამუშაო ძალის ბაზრის საკანონმდებლო და რეგულაციების ჩარჩოდან. მათ შორის არის მინიმალური ხელფასის რეგულირება, გათავისუფლების შესახებ კანონი, კონტრაქტის გაწყვეტის მოთხოვნები, გაზომვადი შეზღუდვები ადამიანების დაქირავებასა და ნამუშევარ საათებზე, ასევე, სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე, როგორც დასაქმების შესაძლებლობების აღმნიშვნელი საზომი სამუშაო ძალის ბაზარზე.

შვიდი რაოდენობრივი ქვე-კომპონენტის თანაბრად შეწონილი საშუალო გვაძლევს სამუშაო ძალის თავისუფლების მაჩვენებელს:

- მინიმალური ხელფასის შეფარდება საშუალო დამატებულ ღირებულებასთან ერთ მუშაკზე;
- დაბრკოლებები დამატებითი მუშახელის დაქირავებაზე;
- ნამუშევარი საათების სიხისტე;
- ზედმეტი ან არასაჭირო მუშახელის გათავისუფლების სირთულეები;

²¹ სამუშაო ძალის თავისუფლების კომპონენტის შეფასება ეყრდნობა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკურ მონაცემებს და მსოფლიო ბანკის მსოფლიო განვითარების ინდიკატორებს.

- კანონმდებლობით დადგენილი შეტყობინების პერიოდი;
- გათავისუფლების სავალდებულო გადასახადი;
- სამუშაო ძალის ჩართულობის დონე.

სამუშაო ძალის თავისუფლების შეფასებისას თითოეული კომპონენტი კონვერტირდება 0-100 ქულიან შკალაზე შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{Sub-factor Score}_i = 50 \times (\text{Sub-factor}_{\text{Average}} / \text{Sub-factor}_i)$$

სადაც, i ქვეყნის მონაცემები დათვლილია მსოფლიოს საშუალოსთან მიმართებით და შემდეგ მრავლდება 50-ზე. ამის შემდეგ შვიდი ქვე-კომპონენტის საშუალოს დაანგარიშება გვაძლევს საბოლოო ქულას თითოეული ქვეყნისათვის.

კომპონენტების 5/7 ალებულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ინდექსის რეპორტიდან, სამუშაო ძალის თავისუფლების კომპონენტი შეფასებულია სამუშაო ძალის მოქნილობის მიხედვით რომელიც ემყარება ხარისხობრივ ინფორმაციას სხვადასხვა სანდო, საერთაშორისოდ აღიარებული წყაროებიდან.

მონეტარული თავისუფლება²² - აერთიანებს ფასების სტაბილურობის საზომს ფასების კონტროლის შეფასებასთან. ინფლაციაც და ფასების კონტროლიც ამახინჯებს ბაზრის მოქმედებებს. ფასების სტაბილურობა მიკროეკონომიკური ინტერვენციების გარეშე წარმოადგენს თავისუფალი ბაზრის იდეალურ მდგომარეობას.

მონეტარული თავისუფლების კომპონენტის შეფასება ეფუძნება ორ ქვე-კომპონენტს:

- ა) უკანასკნელი სამი წლის საშუალო შეწონილი ინფლაცია;
- ბ) ფასების კონტროლი.

ინფლაციის საშუალო შეწონილი ტემპი ბოლო სამი წლისათვის წარმოადგენს ძირითად ინგრედიენტს ფორმულაში, რომელიც მონეტარული თავისუფლების შეფასებას ემსახურება. ფასების კონტროლის დონე კი შემდგომ არის დამატებული როგორც საჯარიმო გამოქვითვა (მაქსიმუმ 20 ქულამდე საბაზისო შეფასების

²² მონეტარული თავისუფლების კომპონენტის შეფასება ეყრდნობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებს, ეკონომისტის პერიოდულ გამოცემებსა და მსოფლიო ბანკის ქვეყნების შესახებ ანგარიშებს. ასევე სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო უწყებების ოფიციალურ გამოცემებს.

ქულიდან). ორი განტოლება, რომელიც გამოიყენება ინფლაციის დონისა გადასაკონვერტირებლად მონეტარული თავისუფლების საბოლოო შეფასებაში შემდეგია:

$$\text{Weighted Avg. Inflation}_i = \theta_1 \text{Inflation}_{it} + \theta_2 \text{Inflation}_{it-1} + \theta_3 \text{Inflation}_{it-2}$$
$$\text{Monetary Freedom}_i = 100 - \alpha \sqrt{\text{Weighted Avg. Inflation}_i} - \text{PC penalty}_i$$

სადაც, $\theta_1 - \theta_3$ წარმოადგენს სამ ციფრს რომელთა ჯამიც უტოლდება 1-ს და არიან ექსპონენციალურად მცირე თანმიმდევრობით. Inflation_{it} არის i ქვეყნის ინფლაციის წლიური, აბსოლუტური მაჩვენებელი t წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით. A წარმოადგენს კოეფიციენტს რომელიც შედეგების ვარიაციის სტაბილიზაციას ახდენს. რაც შეეხება ფასების კონტროლის ჯარიმას, ეს არის 0-20 შკალაზე წარმოდგენილი საჯარიმო სანქცია რომელიც გამომდინარეობს ფასების კონტროლის დონიდან.

კვადრატული ფესვის გამოყენება, ამ შემთხვევაში, გვებმარება უკეთ დავინახოთ განსხვავება იმ ქვეყნებს შორის რომელთაც ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი აქვთ. ასევე, ეს მათემატიკური აპარატი იძლევა ცალსახა გრადაციის შესაძლებლობას ერთნაირად უარყოფითად წარმოაჩინოს ჰიპერინფლაცია, იქნება ეს 100%-იანი თუ 10 000%-იანი.

ღია ბაზარი - აღნიშნული კატეგორია აერთიანებს შემდეგ სამ კომპონენტს:

1. ვაჭრობის თავისუფლება;
2. ინვესტიციების თავისუფლება;
3. ფინანსური თავისუფლება.

ვაჭრობის თავისუფლება²³ - წარმოადგენს კომპლექსურ საზომს იმ სატარიფო თუ არასატარიფო ბარიერებისა, რომლებიც გავლენას ახდენენ ამა თუ იმ საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე. აღნიშნული კოეფიციენტი ეყრდნობა ორ ძირითად ქვე-კომპონენტს:

²³ ვაჭრობის თავისუფლების კომპონენტის შეფასება ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, მსოფლიო განვითარების ინდიკატორებს, მსოფლიოს ვაჭრობის ორგანიზაციის, სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვას, აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის, მსოფლიო ბანკის, ეკონომისტის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ოფიციალურ მონაცემებს.

ა) ვაჭრობის სატარიფო ბარიერების საშუალო შეწონილი განაკვეთი;

ბ) არასატარიფო ბარიერები.

ხშირად, გარკვეული საქონლის იმპორტირებისას ამა თუ იმ ქვეყანაში ვაწყდებით სხვადასხვა სატარიფო ბარიერებს. საშუალო შეწონილი ტარიფი მიუსადაგებს თითოეულ საქონლის ტიპის საიმპორტო ტარიფს შესაბამის წონას მისივე წილიდან გამომდინარე მთლიან იმპორტში. საშუალო შეწონილი ტარიფები წარმოადგენს წმინდა რაოდენობრივ საზომს ვაჭრობის თავისუფლების დასადგენად და ეფუძნება შემდეგ ფორმულას:

$$\text{Trade Freedom}_i = 100(\text{Tariff}_{\max} - \text{Tariff}_i) / (\text{Tariff}_{\max} - \text{Tariff}_{\min}) - \text{NTB}_i$$

სადაც, Trade Freedom_i წარმოადგენს ვაჭრობის თავისუფლებას i ქვეყნისათვის; Tariff_{\max} და Tariff_{\min} გვიჩვენებს სატარიფო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრებს (პროცენტული მაჩვენებელი); Tariff_i გამოხატავს საშუალო შეწონილი ტარიფის განაკვეთს (პროცენტული მაჩვენებელი) i ქვეყნისათვის; მინიმალური ტარიფი წარმოადგენს 0 პროცენტს ხოლო ზედა ზღვარი კი 50 პროცენტამდე მოიაზრება. NTB_i წარმოადგენს ერთგვარ ჯარიმას რომელიც გამოხატავს არასატარიფო ბარიერებს და მისი ქულა გამოიქვითება ინდექსის შეფასებიდან. საჯარიმო ქულის მოცულობა განისაზღვრება 5, 10, 15 ან 20 ქულით შემდეგი შეფასებების მიხედვით:

- -20 ქულა - არასატარიფო ბარიერები გამოიყენება მასობრივად ბევრი ტიპის საქონელსა და მომსახურებაზე რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს საერთაშორისო ვაჭრობას.
- -15 ქულა - არასატარიფო ბარიერები ვრცელდება ბევრი ტიპის საქონელსა და მომსახურებაზე ძირითადად აბრკოლებს საერთაშორისო ვაჭრობის პოტენციალს.
- -10 ქულა - არასატარიფო ბარიერები გამოიყენება გარკვეული საქონლისა და მომსახურების პროტექციონიზმისათვის და აბრკოლებს საერთაშორისო ვაჭრობას.
- -5 ქულა - არასატარიფო ბარიერები უმნიშვნელოა და ვრცელდება მცირე რაოდენობის საქონელსა და მომსახურებაზე და აქვს მცირე, ფიქსირებული გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე.

- 0 ქულა - არასატარიფო ბარიერები არ გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობის შესაზღვრად.
- არასატარიფო ბარიერების გავლენის შესაფასებლად ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკაზე, ინდექსი ითვალისწინებს როგორც ხარისხობრივ ასევე რაოდენობრივ ინფორმაციას. ამკრძალავი კანონები, რომლებიც აფერხებენ ვაჭრობას განსხვავდება და საკმაოდ მრავალი სახისაა, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო კომპლექსურს და რთულს ხდის მათი გავლენის ხარისხის შეფასებას. ის კატეგორიები, რომლებიც არასატარიფო ბარიერების გავლენის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგია:
 - რაოდენობრივი შეზღუდვები - ქვოტები იმპორტზე; ექსპორტის შეზღუდვა; ექსპორტის ნებაყოფლობითი კონტროლი; იმპორტ-ექსპორტის ემბარგო და აკრძალვა; გარიგება;
 - ფასისმიერი შეზღუდვები - ანტიდემპინგური მოქმედებები; გამათანაბრებელი საბაჟო გადასახდელები; სასაზღვრო საგადასახადო რეგულირება; ცვლადი ტარიფები და გადასახდელები.
 - რეგულაციური შეზღუდვები - ლიცენზირება; ადგილობრი მდგომარეობა და შერეული მოთხოვნები; სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები; უსაფრთხოება და ინდუსტრიული სტანდარტების რეგულირება; შეფუთვის, ეტიკეტირებისა და სავაჭრო ნიშნის რეგულირება; რეკლამისა და მედიის რეგულაციები.
 - საბაჟოს შეზღუდვები - წინასწარი სადეპოზიტო მოთხოვნები; საბაჟოს შეფასების პროცედურები; საბაჟოს კლასიფიკაციის პროცედურები, ბაჟისგან გათავისუფლების პროცედურები.
 - პირდაპირი სახელმწიფო ინტერვენცია - სუბსიდიები და სხვა დახმარებები; სახელმწიფოს ინდუსტრიული შეზღუდვები; სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კვლევა და სხვა ტექნოლოგიური შეზღუდვები; კონკურენციის შეზღუდვები; სახელმწიფო შესყიდვების შეზღუდვები; სახელმწიფო ვაჭრობა, სამთავრობო მონოპოლიები და ექსკლუზიური ფრანშიზები.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ თანმიმდევრულობა ვაჭრობის თავისუფლების შეფასებისას, ინდექსი ემყარება უახლეს რეპორტებს. თუკი გამოჩნდება რაიმე სხვა განახლება ასევე სანდო წყაროს მიერ და ეს შედეგი არსებითად განსხვავდება უკვე დაფიქსირებული შედეგისაგან, ხდება განახლება და ფაქტის მითითება. ამ ინფორმაციის სრულყოფილ წყაროს წარმოადგენს მსოფლიო ბანკი. როდესაც საშუალო შეწონილი ტარიფი არ არის ხელმისაწვდომი, ინდექსი იყენებს ქვეყნის საშუალო ტარიფების დონეს.

ინვესტიციების თავისუფლება²⁴ - ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყანაში, არ უნდა არსებობდეს რაიმე ტიპის შეზღუდვა კაპიტალის საინვესტიციო ნაკადებზე. ფირმებსა და ინდივიდებს უნდა შეეძლოთ საკუთარი რესურსების გადაადგილება როგორც სხვადასხვა საქმიანობის ტიპებს შორის, ასევე გეოგრაფიულად ქვეყნის შიგნით და გარეთ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

პრაქტიკაში კი, როგორც წესი გარკვეული ინდუსტრიები ექცევიან მრავალი შეზღუდვების ქვეშ ინვესტიციების განხორციელებისას. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანას გააჩნია სხვადასხვა წესები და პროცედურები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე სხვადასხვა აკრძალვები გადარიცხვებზე, ტრანსფერებზე და კაპიტალის ტრანზაქციებზე. ასევე, არის შემთხვევები როდესაც კონკრეტული ინდუსტრიის კარი დახურულია უცხოური ინვესტიციებისათვის.

ინდექსი აფასებს სხვადასხვა რეგულაციურ შეზღუდვებს, რომლებიც ეხება ინვესტიციების განხორციელებას. ქვემოთ მითითებულია თითოეული მათგანი, შესაბამისი ქულების გათვალისწინებით, რომელიც გამოიქვითება მაქსიმალური 100 ქულიანი შეფასებიდან. შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 0 ქულას.

საინვესტიციო აკრძალვები იყოფა შვიდ შინაარსობრივ მიმართულებად, რომლებიც ჩაშლილია ქვე მიმართულებების მიხედვით (იხ. ცხრილი 1.2).

ცხრილი 1.2 ინვესტიციების თავისუფლების კატეგორიის შეფასება ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით

²⁴ ინვესტიციების თავისუფლების კომპონენტის შეფასება ეყრდნობა შესაფასებელი ქვეყნების მთავრობების ოფიციალურ გამოცემებს, აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის, ეკონომისტის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და მონაცემთა განვითარების ორგანიზაციის ოფიციალურ მონაცემებს.

სამამულო ქვეყნის დამოკიდებულება უცხოელი ინვესტორების მიმართ:	
არ ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის იგივე პირობების შექმნა, როგორც ადგილობრივი ინვესტორებისთვის და ადგილი აქვს წინასწარ შემოწმებას.	-25 ქულა
გარკვეულწილად ხდება უცხოელი ინვესტორების მიმართ იგივე პირობების შექმნა, როგორც ადგილობრივი ინვესტორებისთვის და ნაწილობრივ ადგილი აქვს წინასწარ შემოწმებას.	-15 ქულა
სახელმწიფო თითქმის თანაბრად უდგება ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს.	-5 ქულა
კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ:	
ადგილი არ აქვს გამჭვირვალობას და გვხვდება ბიუროკრატიული დაბრკოლებები.	-20 ქულა
საინვესტიციო პოლიტიკის არაეფექტიანი იმპლემენტაცია და ბიუროკრატია.	-10 ქულა
ზოგიერთი საინვესტიციო კანონი თუ დამკვიდრებული პრაქტიკა არ არის გამჭვირვალე ან არაეფექტიანადაა დანერგილი.	-5 ქულა
შეზღუდვები მიწის ფლობაზე:	
ყველა ტიპის უძრავი ქონების შესყიდვა აკრძალულია.	-15 ქულა
უცხოელებს არ შეუძლიათ უძრავი ქონების შესყიდვა.	-10 ქულა
არსებობს გარკვეული შეზღუდვები უძრავი ქონების შესყიდვაზე.	-5 ქულა
სექტორული საინვესტიციო შეზღუდვები:	
ბევრი სხვადასხვა სექტორი ჩაკეტილია ინვესტიციებისათვის.	-20 ქულა
ზოგიერთი სექტორი ჩაკეტილია ინვესტიციებისთვის.	-10 ქულა
მაქსიმუმ ორი სექტორია ჩაკეტილი ინვესტიციებისთვის.	-5 ქულა
ინვესტიციების ექსპროპრიაცია სამართლიანი კომპენსაციის გარეშე:	
როგორც წესი ხდება, გასაჩივრების შესაძლებლობის გარეშე.	-25 ქულა
როგორც წესი ხდება, თუმცა იშვიათად შესაძლებელია გასაჩივრებაც.	-15 ქულა

იშვიათად ხდება.	-5 ქულა
უცხოური გაცვლის კონტროლი:	
უცხოელებს ან რეზიდენტებს არ აქვთ წვდომა.	-25 ქულა
წვდომა აქვთ, მაგრამ შეზღუდულად.	-15 ქულა
წვდომა არის, თუმცა არსებობს უმნიშვნელო შეზღუდვები.	-5 ქულა
კაპიტალის კონტროლი:	
მოგების გატანა აკრძალულია, ყველა ტრანზაქცია საჭიროებს მთავრობისგან თანხმობას.	-20 ქულა
კაპიტალის მოძრაობა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ საჭიროებს თანხმობს და არსებობს გარკვეული შეზღუდვები.	-15 ქულა
კაპიტალის მოძრაობა უმეტესად დაშვებულია მცირეოდენი შეზღუდვებით.	-5 ქულა

წყარო: ჰერითიჯ ფაუნდეიშენი. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია. <https://www.heritage.org/index/download>

ასევე, 20 ქულამდე დაჯარიმება შეიძლება გამოიწვიოს უსაფრთხოების პრობლემებმა, ძირითადი საინვესტიციო ინფრასტრუქტურის უქონლობამ, ანდა სხვა სახელმწიფო პოლიტიკამ რომელიც არაპირდაპირ ზღუდავს ინვესტიციების პროცესს და ინვესტიციების თავისუფლებას.

ფინანსური თავისუფლება²⁵ - არის ერთგვარი ინდიკატორი თუ რამდენად ეფექტიანია საბანკო სექტორი და რამდენად დამოუკიდებელია მთლიანად ფინანსური სექტორი სახელმწიფო კონტროლისა და ჩარევისაგან. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები როგორცაა სადაზღვევო კომპანიები და კაპიტალის ბაზრები ამცირებს კონკურენციას და ზოგადად კრედიტებზე ხელმისაწვდომობას.

იდეალური საბანკო/საფინანსო გარემო ხასიათდება სახელმწიფოს მინიმალური ჩარევით, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის ლიმიტირებული

²⁵ ფინანსური განვითარების კომპონენტის შეფასება ეყრდნობა ეკონომისტის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და მონაცემთა განვითარების ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის ოფიციალურ გამოცემებს.

ზედამხედველობითა და კონტროლით სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების იძულებითა და თაღლითობის პრევენციით. კრედიტების ალოკაცია ხდება საბაზრო პირობებით და სახელმწიფო არ ფლობს ფინანსურ ინსტიტუტებს. საფინანსო ინსტიტუტები კი უწევენ სხვადასხვა ტიპის ფინანსურ მომსახურებას დაინტერესებულ ინდივიდებსა და კომპანიებს. ბანკებს თავისუფლად შეუძლიათ კრედიტების გაცემა და დეპოზიტების მიღება, ასევე უცხოური ვალუტით ოპერაციების განხორციელება. უცხოური ფინანსური ინსტიტუტები მოქმედებენ თავისუფლად და მათ მიმართ მოქმედებს ზუსტად იგივე პრაქტიკა როგორც ადგილობრივი კომპანიების მიმართ.

ინდექსის ამ კატეგორიის შესაფასებლად ყურადღება ექცევა 5 ძირითად კომპონენტს:

- სახელმწიფო რეგულაციების მასშტაბი ფინანსურ მომსახურებებზე;
- სახელმწიფო ინტერვენციის ხარისხი ბანკებში და ფინანსური კომპანიების პირდაპირი და არაპირდაპირი მესაკუთრეობა;
- სახელმწიფოს გავლენა კრედიტების ალოკაციაზე;
- ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების მასშტაბი;
- უცხოური კონკურენციის მიმართ მიმღებლობა.

სწორედ ეს ხუთი კომპონენტი გვებმარება შევაფასოთ ეკონომიკის მასშტაბით ფინანსური თავისუფლების ხარისხი და ეფექტური და ადვილი ხელმისაწვდომობა ფინანსურ სახსრებზე როგორც ინდივიდების ასევე ფირმებისთვისაც. მთლიანი შეფასება გაიზომება შკალაზე 0-100, საიდანაც შეზღუდვების ხარისხის შესაბამისად ხდება საჯარიმო ქულების გამოკლება (იხ. ცხრილი 1.3).

ცხრილი 1.3 ფინანსური თავისუფლების კატეგორიის შეფასება ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით

ქულა	აღწერა
90 ქულა	მინიმალური სახელმწიფო ჩარევა: ფინანსური ინსტიტუტების რეგულირება მინიმალურია, თუმცა შესაძლებელია მცირედით გასცდეს საკონტრაქტო ვალდებულებებისა და თაღლითობის

	რისკის თავიდან აცილებას.
80 ქულა	ნომინალური სახელმწიფო ჩარევა: სახელმწიფო ფლობს ფინანსური ინსტიტუტების ძალიან მცირე წილს მთლიანად სექტორთან მიმართებაში. ფინანსური ინსტიტუტები თითქმის არ განიცდიან რაიმე შეზღუდვებს ფინანსური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.
70 ქულა	ლიმიტირებული სახელმწიფო ჩარევა: კრედიტების ალოკაციაზე გავლენას ახდენს სახელმწიფო კრედიტების კერძო ალოკაცია არ განიცდის რაიმე ტიპის შეზღუდვებს. სახელმწიფოს მიერ ფინანსური ინსტიტუტების ფლობა მატერიალურია. უცხოური ფინანსური ინსტიტუტები განიცდიან მცირე რაოდენობის რეგულირებას.
60 ქულა	მოდულირებული სახელმწიფო ინტერვენცია: საბანკო და ფინანსური რეგულაციები ატარებენ შემზღუდველ ნიშნებს. სახელმწიფო ფლობს და აკონტროლებს ფინანსური ინსტიტუტების დიდ ნაწილს მთლიან სექტორის მასშტაბით. ფინანსური ინსტიტუტების მიერ სხვადასხვა ფინანსური სერვისების შეთავაზება გარკვეულწილად აკრძალვებს ექვემდებარება.
50 ქულა	არსებითი სახელმწიფო ინტერვენცია: კრედიტების ალოკაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო ხოლო კერძო ალოკაცია კი აწყდება მნიშვნელოვან ბარიერებს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ ფინანსური სერვისების შეთავაზება ექვემდებარება მნიშვნელოვან აკრძალვებს. უცხოური ფინანსური ინსტიტუტები განიცდიან გარკვეულ აკრძალვებს.
40 ქულა	ძლიერი სახელმწიფო ინტერვენცია: ცენტრალური ბანკი მოქცეულია სახელმწიფო გავლენის ქვეშ, მის მიერ ფინანსური ინსტიტუტების კონტროლი არის მოუქნელი ხოლო მისი უნარი კონტრაქტების აღსრულების უზრუნველყოფისა და თაღლითობის

	რისკის პრევენციის თვალსაზრისით სუსტია. სახელმწიფო ფლობს და აკონტროლებს მთლიანად ფინანსური სექტორის არსებითად დიდ ნაწილს.
30 ქულა	საყოველთაო სახელმწიფო ინტერვენცია: კრედიტების ალოკაცია საყოველთაოდ ხდება სახელმწიფო გავლენით. სახელმწიფო ფლობს და აკონტროლებს ანდა წარმოდგენილია დომინანტურ პოზიციაში მთლიანად ფინანსურ სექტორში. ფინანსური ინსტიტუტები მკაცრად კონტროლდებიან და ბანკის ფორმირება დაკავშირებულია მრავალ ბარიერთან. უცხოური ფინანსური ინსტიტუტები განიცდიან მძიმე შეზღუდვებს.
20 ქულა	მძიმე სახელმწიფო ინტერვენცია: ცენტრალური ბანკი არ არის დამოუკიდებელი ხოლო მისი საზედამხედველო პოლიტიკა რეპრესიულია. უცხოური ფინანსური ინსტიტუტები არიან მძიმედ შეზღუდული.
10 ქულა	თითქმის რეპრესიული: კრედიტების ალოკაციას აკონტროლებს სახელმწიფო. ბანკის შექმნა აკრძალულია. უცხოური საფინანსო ინსტიტუტები აკრძალულია.
0 ქულა	რეპრესიული: კერძო ფინანსური ინსტიტუტები არ/ვერ არსებობენ.

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია. <https://www.heritage.org/index/download>

1.3 სადისერტაციო კვლევაში გამოსაყენებელი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შერჩევა

ეკონომიკური თავისუფლება, მისი იდეიდან და შინაარსიდან გამომდინარე მეტად კომპლექსური და მრავალმხრივია, რომელიც არ გამომდინარეობს ერთი, რომელიმე ფაქტორიდან. უფრო მეტიც, როგორც ფრეზერისა და ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების ანალიზში გვიჩვენა, იგი ეფუძნება ათობით განსხვავებულ კომპონენტს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ორ დონეზეა ჩაშლილი. შესაბამისად, სწორედ ეს ართულებს მის რიცხობრივად გაზომვას. მათი გამოყენების მთავარი კრიტერიუმი არის ის, რომ ისინი ექვემდებარებიან შეფასებას, ანუ ყოველი მათგანი არის გაზომვადი და ობიექტურად შეფასებადი, ამის გარეშე აზრს მოკლებული იქნებოდა მათი ნებისმიერი ფორმით გამოყენება საერთო შეფასების გამოყვანისას.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მიერ აღწერილ კომპონენტებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთა შეფასებაც გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ასეთი ფაქტორები დაკავშირებულია რეგულაციების ეფექტიანობასთან, ანდა ეფექტიან საკანონმდებლო სისტემასთან. ამის გამო, ზოგიერთ ქვე-კომპონენტში ინდექსი ეყრდნობა ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც. საბოლოო ჯამში კი, მისი კონსისტენცია გვაძლევს გონივრულ რწმუნებას დასკვნისათვის, რომ ინდექსის არც ერთ კომპონენტს, ცალკე აღებულს არ შეუძლია შექმნას ეკონომიკური თავისუფლების ილუზია, რაც ერთი-ორად ზრდის სანდოობას მათ მიმართ.

მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არის მოწყობილი სრულიად ლიბერტარიანული ანდა სრულიად სოციალისტური იდეების მიხედვით, თუმცა ამ იდეების გავლენის ხარისხი თითოეულ სახელმწიფოზე განსხვავებულია. ყველაზე თავისუფალ და რეპრესირებულ ქვეყნებს შორის განსხვავების დანახვა მარტივია, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული შემთხვევების გარდა, როგორ ვადგენთ

ქვეყანა უმეტესად თავისუფალია თუ არა? ანდა როგორ გავაკეთებთ არჩევანს ორ ქვეყანას შორის, რომელია მათ შორის უფრო მეტად თავისუფალი?

სწორედ ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გვჭირდება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, თუმცა სირთულეებს აქაც ვხვდებით. მაგალითად რა კომპონენტები უნდა იქნას გათვალისწინებული მასში და რა წონა უნდა მიენიჭოს თითოეულ მათგანს? იდეალურ შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერვენციის ყველა ფორმა უნდა იყოს გაერთიანებული, ხოლო თითოეული მათგანის წონა დამოკიდებული უნდა იყოს თუ რამდენად ზღუდავენ ისინი ადამიანთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს.

რეალურ სამყაროში ძალიან რთულია გავზომოთ თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის რეგულაცია ადამიანთა თავისუფლებაზე. ამ შემთხვევაში, გადასახადების მიერ გამოწვეული ეფექტი შედარებით ყველაზე ადვილად გაზომვადია, თუმცა სრულყოფილ სურათს აქაც ვერ ვიღებთ, ვინაიდან გარდა იმისა რომ ადამიანები თანხას უხდიან მთავრობას, ეს გავლენას ახდენს მათ ქცევასა და გადაწყვეტილებებზე.


როგორც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების განხილვისას დავინახეთ, ეკონომიკური თავისუფლება არ არის ერთგანზომილებიანი ფაქტორი. მასში თავს იყრის კომპლექსური და მრავალმხრივი ინფორმაცია, რაც ხშირად ართულებს მისი გავლენების სრულყოფილი ეფექტის ჩვენებას.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის აღქმისას შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სახელმწიფოს მინიმალური ინტერვენცია ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს გვექნება სახელმწიფოს დომინანტური როლი ეკონომიკურ თუ სხვა ტიპის აქტივობებში.

როგორც ქვეთავის დასაწყისში აღვნიშნეთ, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შესწავლა ემსახურებოდა მთავარ მიზანს, რომ ერთის მხრივ აგვეხსნა ეკონომიკური თავისუფლების მრავალგანზომილებიანი ბუნება და მასზე მოქმედი ფაქტორები, ხოლო მეორეს მხრივ ანალიზის საფუძველზე შეგვეჩია ჩვენი კვლევისთვის უფრო მეტად მისაღები ინდექსი. სწორედ ამ მიზნით, წინა ქვეთავებში აღწერილი ორივე ინდექსის მეთოდოლოგიის საფუძველზე მოვახდინოთ ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისა და ჰერიტიჯ ფაუნდემენტის

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შედარება იმ კატეგორიების დონეზე, რომელსაც ისინი ფარავენ. (იხ. დიაგრამა 1.1)

დიაგრამა 1.1 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების შედარება



წყარო: ფრეზერის ინსტიტუტი - <https://www.fraserinstitute.org/economic-freedom/approach>;

ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - <https://www.heritage.org/index/download>

პირდაპირი თანაკვეთა დიაგრამაზე მოცემულ ინდექსებს მხოლოდ მთავრობის ზომის კატეგორია გააჩნიათ, თუმცა განსხვავებულია აღნიშნული კატეგორიის ქვეშ გაერთიანებული კომპონენტები. მოვახდინოთ მათი შედარება (იხ. ცხრილი 1.4).

მაგალითად ზღვრული საგადასახადო განაკვეთი მოიცავს ორ ქვეკომპონენტს, 1) ზღვრული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი და 2) ზღვრული შემოსავალი და

სახელფასო საგადასახადო განაკვეთი, მაშინ როდესაც ჰერიტიჯის ინდექსის მიხედვით, საგადასახადო ტვირთის ქვეშ ერთიანდება უმაღლესი ზღვრული საგადასახადო განაკვეთი ინდივიდუალურ შემოსავალზე, კორპორატიულ შემოსავალზე და ასევე მთლიანი საგადასახადო ტვირთი, როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი.

ცხრილი 1.4 მთავრობის ზომის კატეგორიის შედარება ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისა და ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს შორის

მთავრობის ზომა - ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	მთავრობის ზომა - ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით
მთავრობის მოხმარება	საგადასახადო ტვირთი
ტრანსფერები და სუბსიდიები	სახელმწიფო ხარჯები
სახელმწიფო საწარმოები და ინვესტიციები	ფისკალური სიჯანსაღე
ზღვრული საგადასახადო განაკვეთი	

წყარო: ფრეზერის ინსტიტუტი - <https://www.fraserinstitute.org/economic-freedom/approach>;

ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - <https://www.heritage.org/index/download>

განვიხილოთ შემდეგი კომპონენტის შედარება, რომელიც წარმოდგენილია ჰერიტიჯის მხარეს, ეს არის - სახელმწიფო ხარჯები. პრინციპში, აღნიშნული კომპონენტი მოიცავს არა მხოლოდ ტრანსფერებსა და სუბსიდიებს, არამედ სახელმწიფო მოხმარების სრულ სპექტრს, რაც გამოყოფილია ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მხარეს. თუმცა, ამასთან დამატებით, ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი დამატებით განიხილავს ფისკალური სიჯანსაღის კომპონენტს, რომელიც გვიჩვენებს ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის წილს მთლიან სამამულო პროდუქტში.

ცხადია, ამ ვითარებაში, ჩვენ ვიხრებით ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისკენ ვინაიდან მის მიერ წარმოდგენილი შეფასება უფრო ზუსტად ასახავს მთავრობის ზომას.

შემდეგი კატეგორია, რომელსაც შევადარებთ, ეს არის კანონის უზენაესობა ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიდან. აღნიშნული კატეგორია მოიცავს, ფრეზერის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კატეგორიას - სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები. თუმცა, ამასთან ერთად, ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ითვალისწინებს მთავრობის ერთიანობის კომპონენტს, რომელიც დაკავშირებულია ისეთ ქვე-კომპონენტებთან, როგორცაა კორუფცია, სახელმწიფო სერვისებისა და სახელმწიფო პოლიტიკის გამჭვირვალობა და სხვა. აღნიშნულ კატეგორიაშიც, ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გამოირჩევა კომპლექსურობით, რამეთუ განიხილავს როგორც კორუფციას, ასევე სახელმწიფო პოლიტიკისა და სერვისების გამჭვირვალობას, უკანონო გადახდებს, ქრთამებს და სხვა.

ასევე, დიდია თანაკვეთა რეგულაციებისა და რეგულაციების ეფექტიანობას შორის ორივე ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ ინდექსებში. ფრეზერის ინსტიტუტი, აღნიშნულ კომპონენტში აერთიანებს საკრედიტო ბაზრის რეგულაციებს, შრომის ბაზრის რეგულაციებსა და ბიზნესის რეგულაციებს. მეორეს მხრივ, ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში ვხვდებით ბიზნესის თავისუფლების, სამუშაო ძალის თავისუფლებისა და მონეტარული თავისუფლების კომპონენტებს. ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის საკრედიტო ბაზრის რეგულაციების გაფართოვებული ვარიანტი კი წარმოდგენილია ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის სხვა, ფინანსური თავისუფლების კატეგორიაში, რომელიც ღია ბაზრის კატეგორიის ქვეშ გვხვდება და უფრო ვრცლად განიხილავს ფინანსური სექტორის დამოუკიდებლობის ხარისხს. ასევე, ჯანსაღი ვალუტა, რომელიც ფრეზერის ინსტიტუტს ცალკე აქვს გამოყოფილი, ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში გვხვდება სწორედ აღნიშნულ კატეგორიაში, მონეტარული თავისუფლების კომპონენტის ქვეშ.

უკანასკნელი კატეგორიები, რომელსაც ერთმანეთს შევადარებთ არის ღია ბაზარი და თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა. ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, აქ აერთიანებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ტარიფები, ვაჭრობასთან დაკავშირებული ბარიერები, ე.წ. „შავი ბაზრის“ გაცვლითი კურსი და ადამიანებისა და კაპიტალის მობილობის კონტროლი. მეორეს მხრივ, ჰერთიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ღია ბაზრის კატეგორიაში ერთიანდება ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება და ზემოთ აღნიშნული ფინანსური თავისუფლება. აღნიშნული კომპონენტები შემდეგ კიდევ რამდენიმე დონეზეა ჩაშლილი და მოიცავს ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ბარიერებს, სამამულო ქვეყნის დამოკიდებულებას უცხოელი ინვესტორების მიმართ, საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს ინვესტიციების შესახებ, შეზღუდვებს მიწის ფლობაზე, სექტორულ საინვესტიციო შეზღუდვებს, კაპიტალის კონტროლს, სახელმწიფო რეგულაციების მასშტაბს ფინანსურ მომსახურებაზე, სახელმწიფოს გავლენას კრედიტების ალოკაციაზე და სხვა. (აღნიშნული ფაქტორები დეტალურად წინა თავში გვაქვს უკვე განხილული).

როგორც არაერთხელ დავასაბუთეთ, ეკონომიკური თავისუფლება მისი ბუნებიდან გამომდინარე მრავალგანზომილებიანი ცვლადია, შესაბამისად ინდექსი, რომელსაც ავირჩევთ უნდა მოიცავდეს ყველა შესაძლო რაოდენობრივ და ხარისხობრივ პარამეტრს, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური თავისუფლების არსებობასთან. სანამ შევაჯამებდეთ ჩვენ მიერ განხილულ მახასიათებლებს თითოეული ინდექსის მიხედვით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ყველა კომპონენტი ორივე ინდექსში თანაბარი წონით ხასიათდება, შესაბამისად ჩვენს გადაწყვეტილებას განსაზღვრავს არა ის ფაქტი, თუ რომელი ინდექსი აერთიანებს მეტ ფაქტორს, არამედ ის თუ რომელი ცვლადი აღწერს ეკონომიკური თავისუფლების შინაარს უფრო ზუსტად.

მოვახდინოთ შემაჯამებელი არგუმენტაცია. მთავრობის ზომის დაანგარიშებისას (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საგადასახადო ტვირთს, სახელმწიფო ხარჯებს და მთლიანად ფისკალური პოლიტიკის სიჯანსაღეს), უპირატესობას ვანიჭებთ ჰერთიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს.

მაგალითად, აღნიშნული კატეგორიის ქვე-კომპონენტის „საგადასახადო ტვირთი“ გამოთვლისას, ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი ეფუძნება არა მხოლოდ ზღვრულ საშემოსავლო გადასახადს, ზღვრულ შემოსავალსა და სახელფასო საგადასახადო განაკვეთს, არამედ ითვალისწინებს საგადასახადო განაკვეთს როგორც ინდივიდუალურ, ასევე კორპორატიულ შემოსავალზე და ამასთან ერთად ასახავს მთლიან საგადასახადო ტვირთს მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით. ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ხარჯების კომპონენტი დიდწილად თანხვედრაშია ორივე ინდექსის მიხედვით, თუმცა ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი დამატებით მოიცავს ფისკალური სიჯანსაღის ქვე-კომპონენტს, რომელიც იზომება ბიუჯეტის დეფიციტის წილისა და სახელმწიფო ვალის წილის გამოვლენით მთლიან სამამულო პროდუქტში. ასევე, შეგვიძლია ხაზი გავუსვათ ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გამოყენების მიზანშეწონილობას იმ მიზეზით, რომ ფრეზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი არ ითვალისწინებს კანონის უზენაესობის (ან სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები) კატეგორიის ისეთ ქვე-კომპონენტებს, როგორც არის კორუფცია მისი აბსოლუტური მნიშვნელობით და არა ცალკეულად სექტორულ ჭრილში (მაგალითად მხოლოდ ბიზნესის ან კონკრეტული სახელმწიფო სერვისების მიღების) ან/და სახელმწიფო სერვისებისა და პოლიტიკის გამჭვირვალობა.

მიუხედავად იმისა, რომ ფრეზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მეტად კომპლექსური და მრავალმხრივია, იგი უგულებელყოფს გარკვეულ ფაქტორებს, რომლებიც ვფიქრობთ რომ მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების სრულყოფილთან მიახლოებულად გასაზომად. ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ემპირიული ანალიზის განხორციელებისას ფოკუსირება მოვახდინოთ ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსზე.

თავი II - ეკონომიკური თავისუფლების გაანგარიშების თავისებურებები და კავშირი სოციალურ პარამეტრებთან

2.1 ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ანალიზი და საქართველოს ტრანსფორმაცია

ეკონომიკური თავისუფლების ანალიზი წარმოუდგენელია შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩო პირობების გააზრების გარეშე. თუკი ნებისმიერი ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა დაეყრდნობა ეკონომიკურ თავისუფლებას, მაშინ აუცილებელია, ამ ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა პასუხობდეს ეკონომიკური თავისუფლების იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც წინა თავებში განვიხილეთ.

დუგლას სესილ ნორტის განმარტებით, ინსტიტუტები, წარმოადგენენ ადამიანების მიერ შექმნილ წესებს, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ურთიერთობებს (North, 1991). ინსტიტუციურ ეკონომიკსში აღნიშნული განმარტება მიჩნეულია ინსტიტუტების ერთ-ერთ ყველაზე კლასიკურ დეფინიციად. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ანალიზისას სწორედ ამ განმარტებიდან ამოვალთ.

ამდენად, ჩვენი ამოცანაა შევაჯამოთ ის „წესები“, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკური თავისუფლების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას.

როგორც უკვე განვიხილეთ, ეკონომიკური თავისუფლების ათვლის წერტილია საკუთრების უფლება, შესაბამისად მისი დაცვა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ

გამოყენების, გასხვისებისა თუ დაპატრონებისაგან წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუციური ჩარჩოს ქვაკუთხედს. შერეული ეკონომიკის პირობებში, დაცული კერძო საკუთრება უზიძგებს მოქალაქეებს ჩაებას სხვადასხვა სამეწარმეო საქმიანობაში, დააგროვონ ქონება და მიიღონ გრძელვადიანი გადაწყვეტილებები რამეთუ იციან, რომ მათი საკუთრება დაცულია უსამართლო ექსპროპრიაციისა და მითვისებისაგან. საკუთრების უფლების ეფექტიან დაცვას უზრუნველყოფს:

- ა) ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზა;**
- ბ) სამართლიანი სასამართლო სისტემა;**
- გ) უსაფრთხოების მაღალი სტანდარტი.**

პირველი ორი პირობიდან ერთ-ერთის დარღვევაც კი უკვე აზრს აკარგინებს მთავარი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. რაც შეეხება უსაფრთხოებას, შეიძლება ითქვას, რომ დიდწილად ის გამომდინარეობს ა) და ბ) პუნქტებიდან, თუმცა შესაძლებელია, მათგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ფაქტორების გავლენითაც მოხდეს ქვეყანაში უსაფრთხოების საერთო დონის შემცირება.

განხილვის შემდგომი ნაწილი დაეთმობა რეგულაციების ეფექტიანობას. იმისათვის, რომ ადგილი ჰქონდეს ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხს, მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკის კერძო სექტორი იყოს მაქსიმალურად თავისუფალი ბიზნესის კეთებაში. არსებობს არაერთი ინდექსი, რომელიც ბიზნესის კეთების სიოლეს აფასებს ქვეყნების მიხედვით, რომელთა შორისაც პრაქტიკაში ფართოდ არის მიღებული მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ბიზნესის კეთების ინდექსი. მისი საიმედოობა კი გამომდინარეობს იმ მეთოდოლოგიიდან, რამელსაც ამ ინდექსის გაანგარიშების წესი ეყრდნობა. იდეურად, იგი აერთიანებს მოქმედებათა სრულ სპექტრს ბიზნესის დაწყებიდან, ბიზნესის დახურვამდე აუცილებელი პროცედურების გავლის, დახარჯული დროისა თუ ფინანსური ხარჯის გათვალისწინებით.

რეგულაციების ეფექტიანობის განხილვა ეკონომიკური თავისუფლების ჭრილში აზრს კარგავს თუკი ის არ პასუხობს თანამედროვე მსოფლიოში სამუშაო ძალის ზოგად გამოწვევებს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების

გათვალისწინება, როგორებიცაა მინიმალური ხელფასები, დამატებითი მუშახელის დაქირავების დაბრკოლებები, სამუშაო საათების კონტროლი, მუშახელის გათავისუფლების შეზღუდვები, სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი და სხვა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აქვეყნებს შრომის ბაზრის სხვადასხვა ინდიკატორებს, რომლებიც ზემოაღნიშნული შეზღუდვების ანალიზის შესაძლებლობას გვაძლევს.

ბიზნესის კეთება მოითხოვს სტაბილურ, მდგრად მონეტარულ სისტემას. ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა პასუხობდეს ფასების სტაბილურობისა და სანდო ვალუტის შექმნისა და შენარჩუნების გამოწვევებს.

ზოგადად, ფასებითა და ინფლაციით ხელოვნური მანიპულირება გრძელვადიან პერიოდში ამახინჯებს საბაზრო სტიმულებს. მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის, სახელმწიფოს მხრიდან ხდება უფლებამოსილების დელეგირება ცენტრალურ ბანკზე, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოებაზე და შესაბამისად წარმოადგენს ფასების სტაბილურობის უმთავრეს კოორდინატორს ქვეყნის მასშტაბით. ბაზრის თითოეულ სუბიექტს სჭირდება სანდო ვალუტა როგორც გაცვლის საშუალება, ღირებულების საზომი თუ დაგროვების საშუალება, რათა გრძელვადიან პერიოდში შეძლონ საკუთარი ეკონომიკური აქტივობების დაგეგმვა. თანამედროვე მსოფლიოში, ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ერთიანდება ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის მხარდაჭერისა და დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის გარშემო.

მთავრობები არცთუ იშვიათად მიმართავენ, შეზღუდვების დაწესებას მათი მოქალაქეებისათვის რათა გაართულონ ანდა აკრძალონ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმა. აღნიშნული, ხშირად გამოხატულია სხვადასხვა ტიპის ტარიფების, გადასახადების, ქვოტებისა თუ ბიუროკრატიული ბარიერების ფორმით. ცხადია, მსგავს ქმედებებს გააჩნია შესაბამისი გავლენა ფასებზე ზრდის მიმართულებით. თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდავი მოქმედებები სხვა თანაბარ პირობებში ამცირებს ეკონომიკურ თავისუფლებას. იმისათვის, რომ შევაფასოთ რამდენად არის შეზღუდული ამა თუ იმ ქვეყნის ვაჭრობის თავისუფლება აუცილებელია მისი გამიჯვნა ორ ქვეკატეგორიად: ა) სატარიფო და ბ) არასატარიფო შინაარსის

შეზღუდვები. ვაჭრობის ბარიერების შესაფასებლად ფართოდ გამოიყენება ე.წ. ვაჭრობის პირობების ინდექსი²⁶ (terms of trade index), რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული მსოფლიო განვითარების ინდიკატორების ნუსხაშია. ასევე, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული ვაჭრობის პოლიტიკის მიმოხილვა.

თანამედროვე მსოფლიოს პროგრესული ნაწილი პრაქტიკულად წარმოუდგენელია მდგრადი ფინანსური სექტორის გარეშე. შესაბამისად, ეკონომიკური თავისუფლების ინსტიტუციურ ანალიზში მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. როგორც წესი, სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების სახელმწიფო მფლობელობაში არსებობა ამცირებს კონკურენციას და ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას. თუკი განვიხილავთ საუკეთესო გარემოს ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონის ხელშესაწყობად, მაშინ ამგვარ გარემოში სახელმწიფო სრულიად გამორიცხული უნდა იყოს ფინანსურ სექტორში ჩარევისგან, ცენტრალურ ბანკს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანად შესრულებისათვის, რათა დაიცვას ბაზარი თაღლითობის რისკისგან და ხელი შეუწყოს კონტრაქტების აღსრულებას მხარეებს შორის. გარდა ამისა, თავისუფალ ფინანსურ გარემოში კომერციული ბანკები დაბრკოლებების გარეშე იღებენ დეპოზიტებს და გასცემენ სესხებს, ასევე შეზღუდვების გარეშე ახორციელებენ ოპერაციებს უცხოური ვალუტით (Kim et al., 2020).

ფინანსური ბაზრები ხელს უწყობენ ფულადი რესურსებისა და ზოგადად კაპიტალის დისტრიბუციას დამზოგველებსა და მსესხებლებს შორის. თუმცა, მეორეს მხრივ მნიშვნელოვანია რამდენად იზღუდება ინვესტიციები ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ბიუროკრატიული თუ საკონონმდებლო რეგულაციებით. ღია და თავისუფალი საინვესტიციო გარემო ქმნის ეკონომიკური აქტივობების წამახალისებელ სტიმულებს, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ მწარმოებლურობისა თუ სამუშაო ადგილების ზრდასთან. ეფექტიანი საინვესტიციო გარემო უპირველეს

²⁶ ვაჭრობის ბარიერების ინდექსი - <http://datatopics.worldbank.org/world-development-indicators/themes/economy.html>

ყოვლისა უნდა ხასიათდებოდეს გამჭვირვალობითა და თანასწორობით, რაც გულისხმობს ყველანაირი ტიპის კომპანიებისათვის იდენტური საინვესტიციო კლიმატის შექმნას, იქნება ეს ადგილობრივი თუ უცხოური, მსხვილი თუ შედარებით მცირე მასშტაბის. იქ სადაც, ინდივიდები/კომპანიები თავისუფლად და დამოუკიდებლად წყვეტენ სად განახორციელონ ინვესტიცია, კაპიტალის მოძრაობა ხდება იმ სექტორებში, სადაც ის ყველაზე დიდი სარგებლის მომტანი იქნება. სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც ზღუდავს ამგვარ არჩევანს ამცირებს თავისუფლებას, როგორც ინვესტორის თვალთახედვით, ასევე კაპიტალის მაძიებლის თვალთახედვითაც.

სახელმწიფოს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ ინსტიტუტს საზოგადოების მხრიდან ენიჭება ექსკლუზიური უფლებამოსილება რეგულაციების დაწესებაში. ცხადია, ქვეყნების მიხედვით, მათი ძალაუფლების ხარისხი განსხვავდება და დამოკიდებულია ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხზე. ერთ-ერთი ინდიკატორი იმისა, თუ რამდენად ერევა მთავრობა ქვეყნის ეკონომიკაში არის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მარტივად გვიჩვენებს მთავრობის ზომას. ნებისმიერი ქვეყნის მთავარი ფისკალური დოკუმენტი ცხადად გვიჩვენებს იმ სფეროებს, სადაც სახელმწიფო გეგმავს რომ მოახდინოს ინტერვენცია. ხშირად, სახელმწიფო ხარჯების ზრდას მივყავართ ბიუჯეტის დეფიციტამდე, რაც წარმოადგენს წინაპირობას სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სესხის აღებისა და შესაბამისად ვალის ტვირთიც იზრდება.

მას შემდეგ რაც აღწერეთ ეკონომიკური თავისუფლების ხელშემწყობი ინსტიტუციური გარემო, საინტერესოა მოვახდინოთ დამოუკიდებელი საქართველოს ევოლუციის ჩვენება ამ გზაზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ.

მრავალი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რა მოვლენებმა შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის რღვევას. ფაქტების კონსტანტაციას თუკი მოვახდენთ, შევნიშნავთ, რომ 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა რესპუბლიკების მასშტაბით თავი იჩინა ეკონომიკურმა პრობლემებმა, რამაც ბიძგი მისცა არაერთ ქვეყანას ეზრუნა საკუთარ დამოუკიდებლობაზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო იყო, რომელმაც 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა დამოუკიდებლობა (პაპავა, 1995).

თუმცა, 70 წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის ქუდის ქვეშ არსებობამ გამოიწვია სახელმწიფო ინსტიტუტების სრული დეგრადაცია, რამაც მეტად გაართულა საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია ცენტრალიზებულად გეგმური მეურნეობიდან შერეულ ეკონომიკაზე. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1960-1990 წლებში მერყეობდა სამოცდასამი წლიდან სამოცდაათ წლამდე²⁷. ამდენად, ადამიანთა დიდმა ნაწილმა საკუთარი ცხოვრება სრულად საბჭოთა საქართველო გაატარა, რომლის განმავლობაშიც საზოგადოებამ შეისისხლხორცა ისეთი პრინციპები და ყოველდღიური ცხოვრების მამოძრავებელი ელემენტები, რომლებიც შეუთავსებელია შერეულ ეკონომიკასთან.

როგორც უკვე განვიხილეთ, ეკონომიკური თავისუფლება წარმოდგენელია კერძო საკუთრების უფლების გარეშე, საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკა კი წარმოდგენელი იყო კერძო საკუთრებით. იმდროინდელი ხელისუფლება ფლობდა წვერი ქვეყნების აქტივების 100%-ს, შესაბამისად ტერმინი კერძო საკუთრება უბრალოდ გაუჩინარდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, აღმოჩნდა არაერთი გამოწვევის წინაშე, რაც უპირველეს ყოვლისა უკავშირდებოდა სტაგფლაციურ პროცესებს. უკვე 1992 წლიდან ქვეყანაში დაიწყო ე.წ. პრივატიზაციის პირველი ტალღა, რომელიც მიმართული იყო იმისკენ, რომ სახელმწიფო გათავისუფლებულიყო ისეთი საწარმოების მართვისგან, რომელთა ეფექტურ ადმინისტრირებას ის ვერ უზრუნველყოფდა. თუმცა მაღალი კრიმინოგენული მაჩვენებლისა და კორუფციის ფონზე, აღნიშნული პროცესი ჩანასახშივე განწირული იყო წარუმატებლობისათვის. სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებები, ძალის გამოყენებით ცდილობდნენ მოქალაქეების ქონებაზე დაპატრონებას, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა სამოქალაქო ომით გამოწვეული არეულობის დონე (ჰაპავა, 2013).

ფასების სტაბილურობა, ჯანსაღი ვალუტა, ეს ის ელემენტებია, რომლებიც განვიხილეთ როგორც ეკონომიკური თავისუფლების ერთ-ერთი პრერეკვიზიტი და ვთქვით, რომ მათზე ზრუნვის უფლებამოსილება დელეგირებულია ქვეყნის

²⁷ <https://data.worldbank.org/indicator/SP.DYN.LE00.IN?locations=GE>

ცენტრალურ ბანკზე. თუმცა დამოუკიდებლობის აღდგენის საწყის პერიოდში არ არსებობდა არათუ ცენტრალური ბანკი ანდა ეროვნული ვალუტა, არამედ ფასწარმოქმნაც კი ცენტრალიზებულად, სახელმწიფოს მიერ ხდებოდა. ამდენად, ქვეყანა პირველ რიგში საჭიროებდა რეფორმას ფასწარმოქმნაში. ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია, რომ ცენტრალიზებული ფასწარმოქმნის პირობებში შეუძლებელია საბაზრო სტიმულების რეალიზაცია. შესაბამისად 1991 წლის გაზაფხულიდან, ზოგიერთი სახეობის საქონელზე პირველად დაწესდა თავისუფალი ფასწარმოქმნა. თუმცა გადაუჭრელი რჩებოდა ეროვნული ვალუტის საკითხი. 1991-1992 წლებში ეროვნული ვალუტის ფუნქციას რუსული რუბლი ითავსებდა, რაც მეტად სერიოზულ ბერკეტს აძლევდა რუსეთის ხელისუფლებას საქართველოზე გავლენის შესანარჩუნებლად. ცხადი იყო, რომ რუსული რუბლის შემოდინება გარკვეულ მომენტში ვერ უპასუხებდა ქვეყანაში მოთხოვნას ვალუტაზე. საბოლოოდ 1993 წელს საქართველოს მთავრობამ შემოიღო დროებითი ვალუტა, ქართული კუპონი, რომლითაც ჩაანაცვლა რუსული რუბლი (თუმცა, არაფორმალურად რუსული რუბლი კვლავ რჩებოდა მიმოქცევაში). რეალურად, კუპონი აღმოჩნდა ინსტრუმენტი იმდროინდელი ხელისუფლების ხელში, ფულის ბეჭდვით გადაეფარა სახელმწიფო ვალი. მონეტარული პრობლემების გამწვავება საბოლოო ჯამში გადაიზარდა ჰიპერინფლაციურ პროცესებში (პაპავა, 2015).

ზემოაღნიშნული პრობლემების ფონზე, შეუძლებელი იყო მძლავრი ფინანსური სექტორის ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობდა კაპიტალის მობილიზებას და დისტრიბუციას ქვეყნის შიგნით. შესაბამისად, იზღუდებოდა წვდომა ინვესტიციებზე. მიუხედავად იმისა, რომ იყო გარკვეული მცდელობები ბანკების შექმნისა, მაღალი განუსაზღვრელობა, კრიმინალი და ზედამხედველობის ბერკეტების არარსებობა, ფაქტობრივად ანულებდა მათი წარმატების ალბათობას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელი იყო რესურსების მოძიება, კაპიტალზე წვდომა ფაქტობრივად არავის ჰქონდა გარდა ხელისუფლების წარმომადგენლებისა, რომლებიც კორუფციულ გარიგებებს დებდნენ სხვადასხვა მხარეებთან. შესაბამისად, ქვეყანამ დაიწყო შერეული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების ფორმირება ნულიდან.

ზოგადად, ნებისმიერი ინდექსისა თუ კვლევის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის საიმედოობის დაცვა. ვინაიდან, 1991 წლამდე საქართველო არ არსებობდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ხშირად რთულია მოვიძიოთ სანდო სტატისტიკური მონაცემები ამ პერიოდამდე.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ საქართველოს არსებული ინსტიტუციური განვითარების სიტუაციური ანალიზი, დავეყრდნობით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ერთ-ერთ კატეგორიას - ინსტიტუტები. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენ მიერ განხილული ეკონომიკური თავისუფლების ხელშემწყობი ინსტიტუციური კლიმატის ძირითადი ინდიკატორები გაერთიანებულია ზემოაღნიშნულ ინდექსში. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი მოიცავს 4 დამოუკიდებელ კატეგორიასა და 12 განსხვავებულ კომპონენტს.²⁸ ჩვენი ანალიზისთვის საინტერესოა პირველი კატეგორიის - ხელშემწყობი გარემოს ფორმირება - პირველი კომპონენტი: ინსტიტუტები. თავის მხრივ ინსტიტუტები იშლება 8 განსხვავებულ ქვე-კატეგორიად:

- 1) უსაფრთხოება;
- 2) სოციალური კაპიტალი;
- 3) კონტროლები და ბალანსები;
- 4) საჯარო სექტორის ქცევა;
- 5) გამჭვირვალობა;
- 6) საკუთრების უფლების დაცვა;
- 7) კორპორაციული მართვა;
- 8) მთავრობის მომავალი ორიენტაცია.

აღნიშნული ქვე-კატეგორიები აერთიანებენ 26 ინდიკატორს (იხ. ცხრილი 2.1), რომელთაგანაც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უსაფრთხოების, კონტროლებისა და ბალანსების, საჯარო სექტორის ქცევის, გამჭვირვალობისა და საკუთრების უფლების დაცვის ქვე-კატეგორიები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია

²⁸ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი - <http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2018/country-economy-profiles/#economy=GEO>

ინფლაციის შეფასების ინდიკატორი, რომელიც გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის განცალკევებულ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, კატეგორიაში გვხვდება.

ცხრილი 2.1 - ში მოცემულია ინფორმაცია ქვეკატეგორიებისა და ინდიკატორების მიხედვით, სადაც მითითებულია საქართველოს შეფასება 0-100 ქულიან შკალაზე და რეიტინგი მსოფლიოს 141 ეკონომიკას შორის 2019 წლის მდგომარეობით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში პირველად გამოქვეყნდა 2004 წელს, რაც ართულებს ინდიკატორების ჭრილში შევადგასოთ 1990-იანი წლების საქართველოს ინსტიტუციური გარემო, თუმცა ჩვენი მიზანი არ არის ვაჩვენოთ ინსტიტუციური ინდიკატორების განვითარება დროში, არამედ გვსურს მათი დახმარებით ვაჩვენოთ ეკონომიკური თავისუფლების ხელშემწყობი ინსტიტუტების განვითარების არსებული დონე.

ცხრილი 2.1 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის პირველი კატეგორიის „ხელშემწყობი გარემოს ფორმირების“ პირველი კომპონენტის „ინსტიტუტების“ ჩაშლა.

ინსტიტუტების ქვე-კატეგორია	ინდიკატორის დასახელება	შეფასება	რეიტინგი
უსაფრთხოება	1.01 - ორგანიზებული დანაშაული	76.7	25
	1.02 - მკვლევლობების სიხშირე	98.3	33
	1.03 - ტერორიზმის შემთხვევები	99.7	80
	1.04 - პოლიციის მიმართ ნდობა	70.7	36
	1.05 - სოციალური კაპიტალი	44.3	113
კონტროლები და ბალანსები	1.06 - ბიუჯეტის გამჭვირვალობა	82.0	5
	1.07 - სასამართლოს დამოუკიდებლობა	42.5	80
	1.08 - საკანონმდებლო სისტემის ეფექტიანობა რეგულაციებთან მიმართებით	44.6	54
	1.09 - პრესის თავისუფლება	71.0	49
საჯარო სექტორის ქცევა	1.10 - მთავრობის რეგულაციების ტვირთი	60.8	11
	1.11 - საკანონმდებლო სისტემის ეფექტიანობა დავების	39.0	90

	გადაჭრის მიზნით		
	1.12 - ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციის მისაწოდებლად	62.4	80
გამჭვირვალობა	1.13 - კორუფციის შემთხვევები	58.0	39
საკუთრების უფლებების დაცვა	1.14 - საკუთრების უფლება	62.5	48
	1.15 - ინტელექტუალური საკუთრების დაცვა	46.5	94
	1.16 - მიწის ადმინისტრირების ხარისხი	71.7	41
კორპორაციული მართვა	1.17 - აუდიტებისა და ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების სიძლიერე	56.6	88
	1.18 - ინტერესთა კონფლიქტის რეგულირება	80	12
	1.19 - კორპორაციის მფლობელთა მართვა	83.0	5
მთავრობის მომავალი ორიენტაცია	1.20 - მთავრობა უზრუნველყოფს პოლიტიკის სტაბილურობას	52.6	57
	1.21 - მთავრობის უკუ-რეაქცია ცვლილების მოთხოვნაზე	42.0	83
	1.22 - საკანონმდებლო ჩარჩოს უნარი ციფრულ ბიზნეს მოდელებზე მორგებისა	51.6	38
	1.23 - მთავრობის გრძელვადიანი ხედვა	42.4	86
	1.24 - ენერგო-ეფექტიანობის რეგულირება	50.7	N/A
	1.25 - განახლებადი ენერჯის რეგულირება	52.7	N/A
	1.26 - გარემოსთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ძალა	65.5	107

წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2019.

<https://www.weforum.org/reports?year=2019#filter>

მთლიანად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველო იკავებს 74-ე ადგილს კვლევაში განხილულ 141 ეკონომიკას შორის, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ჩვენთვის ამ ინდექსის გარკვეული კატეგორიებია განსაკუთრებით საინტერესო.

თუკი განვიხილავთ მხოლოდ ინსტიტუტების განვითარების კომპონენტს, ამ მხრივ საქართველო იკავებს 43-ე ადგილს მსოფლიოს 141 ეკონომიკას შორის. ინსტიტუტების კომპონენტის გაანგარიშების მეთოდოლოგია ეყრდნობა ქვეყანაში როგორც კერძო ასევე საჯარო ინსტიტუტების შეფასებას. საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ჩარჩოზე, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ ინდივიდები და მთლიანად კერძო სექტორი, პასუხისმგებელია სახელმწიფო. აღნიშნული გარემო არსებით გავლენას ახდენს კომპანიებისა თუ ფიზიკური პირების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. მეორეს მხრივ, ჯანსაღი კერძო ინსტიტუტები საჭიროა ეკონომიკის მდგრადი და გრძელვადიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ანალიზისთვის დავაკვირდეთ იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ზემოთ აღწერეთ როგორც აუცილებელი შემადგენელი ელემენტები ეკონომიკური თავისუფლების მაღალი დონის მისაღწევად.

კერძო საკუთრება წარმოადგენს ინსტიტუტების კატეგორიის ერთ-ერთ კომპონენტს, რომელიც გაზომილია შესაბამისი ინდიკატორის მიხედვით. ამ მხრივ, მსოფლიო რეიტინგში საქართველო იკავებს 52-ე ადგილს, რაზეც ვერ ვიტყვით რომ სასურველი მაჩვენებელია, თუმცა შეგვიძლია ავხსნათ გარკვეული გარემოებები. კერძო საკუთრების დაცვის თვალსაზრისით აღვნიშნეთ, რომ ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზა, სამართლიანი სასამართლო და უსაფრთხოება მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ინსტიტუტების პირველი ქვე-კატეგორია სწორედაც რომ უსაფრთხოებას ეთმობა. ამ ქვეკატეგორიის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 27-ე ადგილს იკავებს, რაც იმ კრიმინოგენული გარემოს ფონზე, რომელიც 20-30 წლის წინ არსებობდა, მნიშვნელოვანი გარღვევაა. რაც შეეხება საკანონმდებლო სისტემის ეფექტიანობას, ამ თვალსაზრისით ინდექსი განიხილავს ორ მიმართულებას. პირველი ეს არის საკანონმდებლო სისტემის ეფექტიანობა რეგულაციებთან მიმართებით, ხოლო მეორე საკანონმდებლო სისტემის ეფექტიანობა დავების გადაწყვეტის მიმართულებით. პირველ შემთხვევაში, ინდიკატორი გვიჩვენებს თუ რამდენად უწყობს ხელს საკანონმდებლო სისტემა ბიზნესს, რომ მოახდინოს გავლენა სახელმწიფო რეგულაციებზე. მეორე შემთხვევაში კი, ინდიკატორები აფასებენ თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს საკანონმდებლო ჩარჩო კომპანიებს შორის დავების

გადაწყვეტის კუთხით. საქართველოს პოზიცია პირველი ინდიკატორის მიხედვით ორმოცდამეთოთხმეტეა მსოფლიოში, ხოლო მეორე ინდიკატორის მიხედვით ოთხმოცდამეათე. შეიძლება, ითქვას, რომ მიუხედავად იმ პროგრესისა, რომელიც საკანონმდებლო სისტემამ განიცადა ადრეული 1990-იანი წლებიდან, კვლავ არაერთი გამოწვევა რჩება აქტუალური, ამდენად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მოკლევადიან პერიოდში შესწევს უნარი მოახდინოს ამ ინდიკატორების გაუმჯობესება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს ქვეყანაში.

საკანონმდებლო სისტემის ეფექტიანობასთან ერთად ვახსენეთ სამართლიანი სასამართლო სისტემაც. ინდიკატორი გვიჩვენებს თუ რამდენად დამოუკიდებელია სასამართლო, სახელმწიფო ზეგავლენისგან. ამ მხრივ, საქართველო იკავებს მეოთხმოცე ადგილს მსოფლიოში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სასამართლო სისტემის რეფორმის აუცილებლობას უმოკლეს პერიოდში. ამ კომპონენტის გაუმჯობესება კი ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ დადებით ეფექტს იქონიებს როგორც ქვეყნის ინსტიტუციურ განვითარებაზე ასევე ეკონომიკური თავისუფლების კიდევ უფრო გაღრმავებაზეც.

ცხრილი N 2.1-ის 1.10 ინდიკატორი - სახელმწიფო რეგულაციების ტვირთი, გვიჩვენებს თუ რამდენად დიდია სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციებით განპირობებული წნეხი ბიზნესზე და რამდენად უჭირს ბიზნესს გაუმკლავდეს სხვადასხვა ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს. სხვა სიტყვებით რომ აღვწეროთ, აღნიშნული კომპონენტი გვიჩვენებს თუ რამდენად მარტივია ბიზნესის კეთება ქვეყანაში. საგულისხმოა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პირველი რეფორმების შემდეგ, საქართველო ინარჩუნებს ერთ-ერთ წამყვან პოზიციას მსოფლიოში. ქვეყნის რეიტინგი საკვლევ 141 ეკონომიკას შორის კი შეადგენს მე-11 პოზიციას.

კორუფცია, ეს ის კატეგორიაა, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. ამდენად, მისი როლი შერეული ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებისას მეტად დიდია. ამ მხრივ, საქართველო იკავებს 39-ე ადგილს მსოფლიოში. იმ მძიმე მემკვიდრეობის

შემდეგ, რომელიც საქართველოს ხვდა წილად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ რომ პროგრესი თვალში საცემია, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მიღწეულით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ასევე, ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ფასების სტაბილურობისა და ინფლაციის პრობლემა.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი მიზანია არსებული ინსტიტუციური გარემოს შეფასება, თუმცა ამასთან გვაქვს შესაძლებლობა ვაჩვენოთ პროგრესი გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის პირველი გამოქვეყნებიდან დღემდე. პირველი ანგარიში, რომელიც 2006-2007 წელს გამოქვეყნდა²⁹ საქართველო ინსტიტუტების კატეგორიაში იკავებდა 78-ე ადგილს კვლევაში ჩართულ 125 ეკონომიკას შორის. შესაბამისად, ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველომ 25 საფეხურით წაიწია წინ და ამჟამად 43-ე პოზიციაზე იმყოფება.

რომ შევაჯამოთ, თუ ინსტიტუტები ხელს უწყობენ ნებაყოფლობით გაცვლას, იცავენ ინდივიდების საკუთრებას უკანონო ინტერვენციისგან იქნება ეს თაღლითობით, ძალის ჩარევითა თუ სხვა მიზეზებით გამოწვეული, ამბობენ რომ ისინი შესაბამისი და თანმიმდევრული არიან ეკონომიკური თავისუფლებისათვის. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იქნება სხვადასხვა საკანონმდებლო თუ მონეტარული ნორმატივების არსებობაც. პირველ შემთხვევაში, კანონები არ უნდა იძლეოდნენ ინტერპრეტაციის საშუალებას, რათა დაცული იყოს სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი. რაც შეეხება მონეტარული ნორმატივების არსებობას, ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჯანსაღი ვალუტის არსებობა ბაზარზე. ნებისმიერი ქმედება, რომელიც მოქალაქეებს შეუზღუდავს წვდომას ამ უკანსკნელზე, აუცილებელია რომ სახელმწიფოს მიერვე იყოს შეზღუდული. თუმცადა, ეკონომიკური თავისუფლება თავად მოითხოვს სახელმწიფოს გამორიცხვას ბევრი სხვადასხვა აქტივობიდან. ასეთად შეგვიძლია მოვიაზროთ ისეთი აქტივობები რომლებიც ერევიან ინდივიდუალურ არჩევანში, ნებაყოფლობით გაცვლასა თუ სამუშაო ძალის მობილობის თავისუფლებაში, ასევე ამა თუ იმ ბაზარზე შეღწევის თავისუფლებაში.

²⁹ http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2006-07.pdf

2.2 მთავრობის როლი ეკონომიკური თავისუფლების მისაღწევად

ცენტრალიზებულად გეგმური ეკონომიკური სისტემის კოლაფსმა ხელი შეუწყო ეკონომიკური თავისუფლების შესახებ იდეების გავრცელებას. ბოლო რამდენიმე ათწლეულია, რაც მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება გარკვეული ასპექტების მიმართულებით განუხრელად იზრდება. იმის ფონზე, რომ ბევრმა ქვეყანამ გააუქმა მრავლობითი სატარიფო ბარიერები, შეამსუბუქა საპროცენტო განაკვეთებისა და გაცვლითი კურსის კონტროლი, გაცილებით შეამცირა საგადასახადო ტვირთი, მაინც დარჩა ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტები, რომლებიც შერბილების საწინააღმდეგო მიმართულებით აგრძელებდნენ განვითარებას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია სახელმწიფო ხარჯები.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ მთავრობის როლი ქვეყნის ეკონომიკაში. ხშირად გვსმენია იმის შესახებ უნდა ერეოდეს თუ არა სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში ან თუ უნდა ერეოდეს რას უნდა წარმოადგენდეს მისი მოქმედების არეალი.

ცხადია, კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე, ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხი დადებითია, თუმცა ეს ფუნქცია უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკურ სტაბილურობას, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასაც ფისკალური მდგრადობა წარმოადგენს. ჯანსაღი მაკროეკონომიკური პოლიტიკა აღრმავებს ნდობას მთავრობის მიმართ და აძლიერებს პოლიტიკურ ინსტიტუტებს.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ აღადგინოს ანდა შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა, პოლიტიკის განმსაზღვრელები უნდა კონცენტრირდნენ მართვის ინსტიტუციური როლის გაძლიერებაზე. მთავრობას შეუძლია უზრუნველყოს ჯანსაღი გარემო ეკონომიკური აქტივობებისთვის, თუკი ის ერთმნიშვნელოვნად იქნება საკუთრების უფლების დამცველი, რომელიც აძლევს უბრალო მოქალაქეებს გონივრულ რწმუნებას, რომ თითოეული ეკონომიკური აგენტი, მიუხედავად იმისა თუ ტრანზაქციის რომელ მხარეს იდგება, იქნება ანგარიშვალდებული საკუთარ ქმედებებზე. ეს ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიან ალოკაციას ბაზრის

მონაწილეებზე სწორი სტიმულების გადაცემით. ცხადია, რომ ნებისმიერი ინდივიდი საკუთარ რესურსებს მიმართავს იმ სფეროებში, საიდანაც ის შემოსავლის ყველაზე მაღალ წყაროებს ელოდება.

ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ხარჯები და ბიუჯეტის დეფიციტი ავტომატურად იზრდება ეკონომიკური დაღმავლობის პერიოდში, ვინაიდან ამ დროს იზრდება ე.წ. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები და მცირდება საგადასახადო შემოსულობები, რასაც ავტომატურ სტაბილიზატორებს ვეძახით. ასეთ, დროს ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი იზიარებს პოზიციას, რომ ამგვარ დანახარჯებს შესაძლებელია ჰქონდეს სტაბილიზაციის ეფექტი ეკონომიკაზე, რამეთუ ეს ხდება ავტომატურად და არ მოითხოვს რაიმე სახის საკანონმდებლო ცვლილებებს, შესაბამისად ფულის ხარჯვა ეკონომიკაში ხდება ყველაზე უფრო საჭირო მომენტში. თუმცა, აღნიშნული პოსტულატი ნაკლებ-პოპულარულია მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე მეცნიერთა წრეებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ხარჯები წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს, რომელზე დაკვირვებაც სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, გვიჩვენებს ზრდად ტრენდს უკანსკნელი წლების განმავლობაში. ამდენად, იბადება ლოგიკური კითხვა, თუ რა გზით ახდენს გავლენას სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკურ ზრდაზე? მაგალითად, ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში, თომას ჰობსი წერდა, რომ ცხოვრება მთავრობის გარეშე იქნებოდა გაცილებით მოუწესრიგებელი და რომ კანონი და წესრიგი ცივილიზებული ცხოვრების აუცილებელი კომპონენტები არიან (Hobbes, 1651).

შერეული ეკონომიკის გადმოსახედიდან თუ შევხედავთ დაცული საკუთრების უფლებები, კონტრაქტების აღსრულების რაციონალური ბერკეტები და სტაბილური მონეტარული რეჟიმი სწორედ, რომ ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი ასპექტებია.

გარდა ამისა, ეკონომისტებს შორის ფართოდ არის დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთავრობის როლს უნდა წარმოადგენდეს ე.წ. „საზოგადოებრივი

საქონლის“ მიწოდება, რომლის წარმოებაც კერძო სექტორისთვის ხშირ შემთხვევაში არარენტაბელურია.

საბოლოო ჯამში კი, იქნება ეს საზოგადოებრივი საქონლის წარმოება, პოლიტიკური რენტის ძიება თუ სხვა რამ, მთავრობის ზომის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტი რესურსის ალოკაცია ხდება პოლიტიკური და არა საბაზრო ძალების ზეგავლენით. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გვინტერესებს ის, თუ რა ეფექტი ექნება მთავრობის ზომის პერმანენტულ ზრდას ეკონომიკურ განვითარებაზე. პირველ რიგში, მსგავსი ტიპის ხარჯების ზრდის დასაფინანსებლად საჭირო იქნება გადასახადების ზრდა ან დამატებითი სასესხო ვალდებულებების აღება, რასაც სხვა თანაბარ პირობებში გრძელვადიან პერიოდში მივყავართ უარყოფით შედეგებამდე. სახელმწიფო დასაქმებულების შემოსავლებიდან სულ უფრო და უფრო მეტ წილს აიღებს, ეს კი მათ სტიმულებს განახორციელონ ინვესტიციები, მიიღონ რისკი, გაზარდონ მოხმარება და სხვ. ამცირებს. ამდენად, მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ხარჯების პროდუქტიულობა მცირდება თუ არა, სტიმულების ჩამხშობი ეფექტი მაინც იარსებებს, რადგან რესურსების გადაადგილება ხდება კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში.

ყველაფერთან ერთად, მთავრობის ზომის ზრდა სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს უკუგების შემცირებას, რადგან რესურსების დაბანდება მოხდება სულ უფრო და უფრო დაბალპროდუქტიულ სფეროებში. აღნიშნული უფრო მეტად მძაფრდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო ერთვება კერძო საქონლის წარმოებისა თუ დისტრიბუციის ზედამხედველობაში. მსოფლიოს ისტორიაში თითქმის არ გვხვდება პრაქტიკული მაგალითი იმისა, რომ სახელმწიფო ახდენს რესურსების უფრო ეფექტიან ალოკაციას თავისუფალ ბაზართან მიმართებით.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პოლიტიკური პროცესები ყოველთვის უფრო ნაკლებად დინამიურია საბაზრო პროცესებთან შედარებით. მაგალითად, კონკურენციის პირობებში ინდივიდი ყოველთვის ცდილობს არ ამოვარდეს იმ რიტმიდან, რომელსაც თავისუფალი ბაზარი სთავაზობს კონკრეტულ ინდუსტრიას, რამეთუ „ჯილდოც“ და „სასჯელიც“ საკუთარი ქმედებების შედეგია. თუ არასწორ ნაბიჯს მივყავართ რესურსების ანდა შემოსავლის დაკარგვასთან ჩვენ მყისიერად

ვიწყებთ ახალი მოქმედებების შემუშავებას, რათა დავუბრუნდეთ ე.წ. სტატუს ქვოს. სახელმწიფოს შემთხვევაში კი მსგავსი შეცდომების გამოვლენისა და შესწორების პროცესი გაცილებით ნელა მიმდინარეობს სხვადასხვა ფაქტორების გამო (იქნება ეს ბიუროკრატია, ინდივიდუალური სტიმულების ნაკლებობა თუ სხვა).

თანამედროვე მსოფლიოში, სიმდიდრის შექმნისა და ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური ელემენტია ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციები, რომლებსაც კმნიან ინდივიდუალური მეწარმეები. ისინი იგონებენ ახალ წარმოების მეთოდებს, ინოვაციურ პროდუქტებს, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებსა და მიდგომებს, რასაც საბოლოო ჯამში მიყვავართ ეკონომიკურ განვითარებასთან (Kirzner 1973, 1997; Schumpeter 1962). ამ პროცესების ფასილიტატორია ნდობა, რომელიც ინდივიდებს გააჩნიათ ბაზრის მიმართ, რასაც ცხადია ნაკლებად აქვს ადგილი როდესაც სახელმწიფო ავიწროვებს თავისუფალ ბაზარს საკუთარი წილის ზრდის შედეგად.

თუმცა, მცირე მთავრობა თავისთავად არ ნიშნავს რომ ის წახალისებს ეკონომიკურ პროცესებს. თუკი მცირე მთავრობა ვერ შეძლებს, უზრუნველყოს კერძო საკუთრების ეფექტიანი დაცვა, სტაბილური მონეტარული პოლიტიკა, სამართლიანი სასამართლო სისტემისა და საკანონმდებლო ბაზის ფორმირება რომელიც ხელს შეუწყობს კონტრაქტების აღსრულებას, მაშინ არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ გვექონდეს ეკონომიკური აღმავლობის მოლოდინი.

აღნიშნულ წანამძღვარს ადასტურებს სხვადასხვა ღარიბ ქვეყნებზე დაკვირვება. მთავრობები, მიუხედავად მათი ზომისა, თუკი ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული საბაზისო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას, მიდრეკილნი იქნებიან ეკონომიკური ზრდის დაბალი ანდა უარყოფითი ტემპისკენ. ამდენად, საუბარი ემპირიულ კავშირზე ეკონომიკურ ზრდასა და მთავრობის ზომას შორის მიზანშეწონილია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ზრუნავს გამჭვირვალე და ეფექტიანი ჩარჩო პირობების შექმნაზე ეკონომიკური აგენტებისათვის.

გარდა ამისა, სახელმწიფო ხარჯების სიმცირე ვერ იქნება ეკონომიკური თავისუფლების ცალსახა ინდიკატორი მოწინავე ქვეყნებისთვისაც კი, იმ მარტივი მიზეზით, რომ არ ვიცით, რამდენად იქნება არაფისკალური წნეხი ქვეყნის

ეკონომიკაზე. შესაბამისად, ეკონომიკური თავისუფლების გზაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მცირე ზომის მთავრობა“ კარგ სასტარტო პირობებს გვაძლევს შემდგომი განვითარებისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ მთავრობის მნიშვნელობაზე ეკონომიკური თავისუფლების ჭრილში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არ ნიშნავს სახელმწიფოს აბსოლუტურ გამორიცხვას ამა თუ იმ ეკონომიკური აქტივობებიდან. პირიქით, მას გააჩნია განსაკუთრებული როლი აღმოფხვრას ბაზრის არასრულყოფილება ანუ გაუმკლავდეს იმას, რასაც ბაზარი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება დროის მოცემულ მომენტში, ანდა მას სჭირდება შედარებით დიდი დრო ამ არაეფექტიანობის აღმოსაფხვრელად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი მოქმედება, იქნება ეს სახელმწიფოს თუ ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფის მხრიდან, რომელიც ერევა ადამიანთა ინდივიდუალურ ავტონომიაში ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას, თუმცა როგორც უკვე ვთქვით მიზანი არ არის სახელმწიფოს აბსოლუტური ჩაურევლობა. მან უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და მოახდინოს მისი მართებული ინტერპრეტირება რათა დაიცვას თითოეული ადამიანის უფლება. (Friedman, M., 2002, 7-36)

თუკი მთლიანად ბაზარს, წარმოვიდგენთ, როგორც თამაშის რომელიმე სახეობას, ეკონომიკური თავისუფლების ჩამოყალიბების, განმტკიცებისა და განვითარების პროცესში მთავრობა ამ თამაშში იქნება, არა როგორც მისი რომელიმე მხარე, არამედ როგორც წესების განმსაზღვრელი სუბიექტი, რომელიც პასუხისმგებელია სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბებაზე. სახელმწიფოს მისია არ არის ჩაერიოს ორ მხარეს შორის მოლაპარაკებისა თუ ურთიერთობის წარმართვის პროცესში, იგი სრულიად აბსტრაგირებულია აღნიშნულ კონტექსტში. მთავრობის უმთავრესი ფუნქციაა უზრუნველყოს ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, სადაც თითოეული „მოთამაშის“ წარმატება დამოკიდებული იქნება საკუთარ ძალისხმევაზე, შესაძლებლობებსა და არჩევანზე, სადაც მან უნდა დაიცვას თითოეული მათგანი და არ დაუშვას, რომ რომელიმე მონაწილისთვის ერთი უფლების მინიჭებით იზღუდებოდეს სხვა მონაწილის ანალოგიური უფლება. ამისთვის კი

უმნიშვნელოვანესია გამართული და ეფექტიანი სამართლებრივი ნორმებისა და ჯანსაღი სასამართლო სისტემის არსებობა (Friedman, 1990).

ეკონომისტები და არა მხოლოდ ეკონომისტები ხშირად დავობენ იმაზე, თუ რა არის ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე. სად არის ზღვარი, რომლის მიღწევის შემდგომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლება მის ბუნებრივ დონეზეა ანდა ოქროს შუალედს ინარჩუნებს. ამ კითხვაზე, ცალსახა და კონკრეტული პასუხი არ არსებობს იმ მარტივი მიზეზით, რომ მსოფლიო ეკონომიკა ყოველდღიურად განიცდის ცვლილებებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც ხშირად ძალიან რთულია. თითოეული ქვეყანა, რომელსაც სურს გახდეს განვითარებული მსოფლიოს ნაწილი, ცდილობს ფეხი აუწყოს იმ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ ამა თუ იმ რეგიონში. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლების სასურველი დონე მიღწეულია და არ საჭიროებს განვითარებას. პირიქით, ის დროში პროგრესირებს მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად. ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ თუ სხვა თავისებურებებზე.

2.3 ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოსა და პოსტ-საბჭოთა რეგიონში (სიტუაციური ანალიზი)

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოვახდინოთ ეკონომიკური თავისუფლების სიტუაციური ანალიზი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ჭრილში, რათა შედეგები იყოს ყოვლისმომცველი და სამართლიანი.

ანალიზისთვის, გამოვიყენებთ ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. ვინაიდან, ჩვენთვის ყველაზე მთავარი საქართველო და პოსტ-საბჭოთა სივრცეა, ამიტომ რეგიონული დაყოფისას, პრაქტიკაში ფართოდ დამკვიდრებულ ხუთ რეგიონთან ერთად (ამერიკის რეგიონი, ევროპის რეგიონი, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი, სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი) ავიღებთ მეექვსე, პოსტ-საბჭოთა რეგიონს, დეტალურად გავანალიზებთ ეკონომიკური თავისუფლების განვითარების დონეს და გამოვაკლენთ თითოეული მათგანის თავისებურებებს.


მსოფლიოში, ეკონომიკური თავისუფლების არსებული დონის სიტუაციური ანალიზისთვის ავიღებთ თითოეული რეგიონის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის საშუალო მაჩვენებელს, მისი შემადგენელი 4 კატეგორიისა და 12 კომპონენტის დონეზე, რის შემდეგაც მოვახდენთ მათ შედარებას, როგორც რეგიონებს შორის, ასევე მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო იქნება იმ ქვეყნების ანალიზი, რომლებიც საქართველოს მსგავსად წარმოადგენდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

ეკონომიკური თავისუფლების დონე მეტად განსხვავებულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების მიხედვით, რომელთა შორისაც, საშუალოდ, თავისუფლების ყველაზე მაღალი ხარისხი ევროპის ქვეყნებს შორის გვხვდება (იხ. დიაგრამა 2.1) მაგალითისთვის, მთლიანად მსოფლიოს საშუალო, ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით შეადგენს 61.6 ქულას, მაშინ როდესაც ევროპის

საშუალო 69.8 ქულაა. მეორეს მხრივ შუა აღმოსავლეთისა და ჩრ. აფრიკის რეგიონი მცირედით აღემატება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს და შეადგენს 61.8 ქულას. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს სუბსაჰარული აფრიკის რეგიონს, რომელთა საშუალოც 55.1 ქულაა. აღნიშნულ რეგიონზე ოდნავ მაღალია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონსა და ამერიკის ორივე კონტინენტზე (შესაბამისად 61.1 და 60.0).

განვიხილოთ თითოეული რეგიონი ცალ-ცალკე. გარდა იმისა, რომ მოვახდენთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტების შედარებას, მნიშვნელოვანია ვაჩვენოთ თუ რა კავშირი არსებობს ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებს შორისაც.

დიაგრამა 2.1 ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოს რეგიონულ ჯრილში (2020 წელი)



წყარო: ჰერიტიჯი ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020


ამერიკის რეგიონი. ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, ამერიკის კონტინენტების რეგიონი (ჩრ. და სამხრ. ამერიკა) აერთიანებს 32

სუვერენულ სახელმწიფოს, რომელთა შორისაც გვხვდებიან როგორც განვითარებული ეკონომიკები (მაგ. აშშ, კანადა) ასევე უდიდესი განვითარების პოტენციალის მქონე ქვეყნებიც (მაგ. ლათინური ამერიკის ქვეყნები: ბრაზილია, არგენტინა, ჩილე და სხვ.). ჯამში, ამერიკის რეგიონის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 999 მილიონ ადამიანს.

ამ რეგიონის ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე 2.2.

თუკი გავანალიზებთ ზემოხსენებული რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების განვითარების ხარისხს, უმეტესად თავისუფალი ქვეყნების კატეგორიაში გვხვდება მხოლოდ 3 სამი სახელმწიფო (კანადა, ჩილე და აშშ), ხოლო რეპრესირებული კატეგორიაში 4 (სურინამი, ბოლივია, კუბა და ვენესუელა).

დიაგრამა 2.2 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ამერიკის რეგიონი, 2020 წელი)



წყარო: *ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020*

ამასთან, საინტერესოა შევადაროთ ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თითოეული კომპონენტის საშუალო მაჩვენებელი აღნიშნულ რეგიონში, მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ დავინახოთ თუ სად არის ყველაზე დიდი რესურსი ეკონომიკური თავისუფლების განმტკიცების გზაზე.

როგორც ცხრილი 2.2 - დან ჩანს, ამერიკის რეგიონის ქვეყნების გასაშუალოებული ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი კომპონენტების დონეზე, მხოლოდ 3 შემთხვევაში აჭარბებს მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს. ეს არის სახელმწიფო ხარჯები, ინვესტიციების თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება. დადებითი დინამიკა მთავრობის ზომის შეზღუდვასთან მიმართებაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ წინადადებულ ნაბიჯად, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს აღნიშნული კომპონენტის ერთგვარი ნაკლოვანებაც, რომ ღარიბი ქვეყნები ისედაც განიცდიან რესურსების დეფიციტს და შესაბამისად მათი სახელმწიფო ხარჯები შესაძლებელია ისედაც მცირე იყოს, მითუმეტეს, რომ ლათინური ამერიკის კონტინენტზე ამგვარი ქვეყნები მრავლად გვხვდება. გარდა ამისა, რეგიონი განაგრძობს წინსვლას ბაზრის თავისუფლების კატეგორიაში, რაც განსაკუთრებით გამოხატულია ინვესტიციებისა და ფინანსური თავისუფლების კომპონენტების კარგი შედეგებით.

ცხრილი 2.2 ამერიკის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან (2020 წელი)

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კატეგორია	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტი	რეგიონის საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.	მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.
ეკონომიკური თავისუფლება (სრული ინდექსი)		60.0	61.6
კანონის უზენაესობა	საკუთრების უფლება	51.6	57.3
	სასამართლოს	39.5	45.8

	ეფექტურობა		
	მთავრობის ერთიანობა	42.0	44.4
მთავრობის ზომა	საგადასახადო ტვირთი	77.0	77.3
	სახელმწიფო ხარჯები	69.7	66.2
	ფისკალური სიჯანსაღე	64.4	69.1
რეგულაციების ეფექტიანობა	ბიზნესის თავისუფლება	62.1	63.8
	სამუშაო ძალის თავისუფლება	57.6	59.6
	მონეტარული თავისუფლება	73.5	75.0
თავისუფალი ბაზარი	ვაჭრობის თავისუფლება	72.9	73.9
	ინვესტიციების თავისუფლება	61.1	57.7
	ფინანსური თავისუფლება	49.1	48.8

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020


მეორეს მხრივ, თვალსაჩინოა რეგიონის პრობლემები კანონის უზენაესობასა და რეგულაციების ეფექტიანობის კრილში, მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა საკუთრების უფლების, სასამართლოს ეფექტურობისა და მთავრობის ერთიანობის საკითხები. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული კომპონენტი.

საკუთრების უფლება მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ფიზიკური და ინტელექტუალური საკუთრების უფლება, ინვესტორების დაცვის ხარისხი, საკუთრების ექსპროპრიაციის რისკი და მიწების ადმინისტრირების ხარისხი. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ლათინურ ამერიკაში, სადაც რეპრესირებული და უმეტესად არათავისუფალი ეკონომიკების კონცენტრაცია ძალიან მაღალია. საკუთრების უფლების დაცულობის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს **სასამართლოს ეფექტურობა**, რაც აღნიშნული რეგიონის კიდევ ერთ, მნიშვნელოვან პრობლემაზე მიუთითებს. სასამართლოს ეფექტურობის მთავარი განმსაზღვრელია მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, ასევე ფავორიტიზმი გადაწყვეტილების მიღების პროცესში სახელისუფლებო წარმომადგენლების მიერ. ის ფაქტი, რომ რეგიონის უმეტეს ქვეყნებს შორის სახელისუფლებო შტოების ზეგავლენა განსაზღვრავს ინსტიტუტების მუშაობას და არა საერთო საკანონმდებლო ჩარჩო,

წარმოადგენს პრობლემის მთავარ საფუძველს. მთავრობის ერთიანობა არის ის მესამე, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც საკუთრების უფლებასა და სასამართლოს ეფექტურობასთან ერთად, წარმოადგენს ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის „კანონის უზენაესობის“ კომპონენტის შემადგენელ ნაწილს. ნეპოტიზმი, კორუფცია, ლობიზმი, მექრთამეობა, სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფო სერვისების გამჭვირვალობა, ეს ის კრიტერიუმებია, რომლითაც ფასდება მთავრობის ერთიანობის კომპონენტი. შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ მთავრობის ერთიანობის არარსებობა, ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს სასამართლო სისტემის მოშლისა და კერძო საკუთრების დაუცველობისთვის.

თითოეული რეგიონის ჭრილში, გვსურს ვაჩვენოთ მჭიდრო კორელაციური კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე (დიაგრამა 2.3).

დიაგრამა 2.3 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (2018 PPP*, მიმდინარე საერთაშორისო დოლარი) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ამერიკის რეგიონი, 2020 წელი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019; საერთაშორისო სავალუტო ფონდი „World Economic Outlook Database” 2018

* მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეებთან ერთად კეთილდღეობაც მატულობს მოსახლეობის ერთ სულზე.

რეგიონულ ჭრილში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესება 2020 წელს უმეტესად ცენტრალური ამერიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში შეინიშნებოდა. (იხ. ცხრილი 2.3)

ეკვადორის 4.4 ქულიანმა მატებამ, რეიტინგში უზრუნველყო მისი გადმონაცვლება რეპრესირებული ეკონომიკების კლასიფიკაციიდან უმეტესად არათავისუფალ ეკონომიკებს შორის. ასევე, კოლუმბია იმყოფება ზღვარზე გადაინაცვლას უმეტესად თავისუფალ ეკონომიკებს შორის.

ცხრილი 2.3 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (ამერიკის რეგიონი, 2020 წელი)

ქვეყანა	ინდექსის ზრდა (აბსოლუტური მაჩვენებელი)
ეკვადორი	+4.4
ბელიზი	+2.0
კოლუმბია	+1.9
ბრაზილია	+1.8
ბაჰამის კუნძულები	+1.6


წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, რომელშიც ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აერთიანებს 42 სახელმწიფოს, საერთო მოსახლეობით 4 მილიარდ ადამიანამდე. აღნიშნული რეგიონი, მისი მასშტაბიდან გამომდინარე წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ გენერატორს, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საშუალოდ 6.3%-ით იზრდება. საინტერესო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონთან მიმართებით არის ის, რომ აქ

უმუშევრობის დონე ყველაზე დაბალია (3.4%) და ასევე საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი (3.1%). მეორეს მხრივ, ამავე რეგიონში გვხვდება ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლით (14 050 აშშ დოლარი), რაც პრინციპში განპირობებულია მოსახლეობის დიდი ოდენობით.

დიაგრამა 2.4 გვიჩვენებს თუ როგორ ნაწილდებიან რეგიონის ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა 2.4 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, 2020 წელი)



წყარო: ჰერიტიჯი ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს ექვსი ყველაზე თავისუფალი ეკონომიკიდან, ოთხი აღნიშნულ რეგიონში გვხვდება (სინგაპური, ჰონგ-კონგი, ახალი ზელანდია და ავსტრალია). რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, მათი უმრავლესობა (19/42) წარმოადგენს „უმეტესად არათავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიას. ამერიკის რეგიონის მსგავსად, რეპრესირებული

ეკონომიკების კლასიფიკაციაში აქაც 4 ქვეყანა გვხვდება (თურქმენეთი, ტიმორ-ლესტე, კირიბატი და ჩრ. კორეა).

როგორც ცხრილი 2.4-დან ჩანს, რეგიონის ეკონომიკური თავისუფლების საშუალო მაჩვენებლები ინდექსის კომპონენტების დონეზე ჩამლილი 12-დან 7 შემთხვევაში აჭარბებს ან უტოლდება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს.

ცხრილი 2.4 აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან (2020 წელი)

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კატეგორია	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტი	რეგიონის საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.	მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.
ეკონომიკური თავისუფლება (სრული ინდექსი)		61.1	61.6
კანონის უზენაესობა	საკუთრების უფლება	58.5	57.3
	სასამართლოს ეფექტურობა	45.8	45.8
	მთავრობის ერთიანობა	42.4	44.4
მთავრობის ზომა	საგადასახადო ტვირთი	80.8	77.3
	სახელმწიფო ხარჯები	68.2	66.2
	ფისკალური სიჯანსაღე	72.6	69.1
რეგულაციების ეფექტიანობა	ბიზნესის თავისუფლება	66.9	63.8
	სამუშაო ძალის თავისუფლება	64.5	59.6
	მონეტარული თავისუფლება	73.9	75.0
თავისუფალი ბაზარი	ვაჭრობის თავისუფლება	72.1	73.9
	ინვესტიციების თავისუფლება	45.5	57.7
	ფინანსური თავისუფლება	42.6	48.8

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ყველაზე საკვანძო პრობლემას წარმოადგენს ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კლასიფიკაციის ბოლო კატეგორია „ღია ბაზარი“, რომელიც აერთიანებს ვაჭრობის თავისუფლების, ინვესტიციების თავისუფლებისა და ფინანსური თავისუფლების კომპონენტებს. ეს გახლავთ ერთადერთი კატეგორია, სადაც სამივე შემადგენელი კომპონენტის საშუალო მაჩვენებელი ჩამორჩება მსოფლიოს საშუალოს. მათ შორის, **ვაჭრობის თავისუფლება**, რომელიც ორ ფუნდამენტურ ფაქტორს ეყრდნობა, ვაჭრობის სატარიფო ბარიერების საშუალო შეწონილი განაკვეთი და არასატარიფო ბარიერები, წარმოადგენს ყველაზე ნაკლებ პრობლემას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისთვის, თუმცა ცალსახაა რომ რიგ ქვეყნებში იგი აღმოფხვრას საჭიროებს. განსაკუთრებით იგი აქტუალურია კონტინენტური აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ქვეყნების უმეტესობა უმეტესად არათავისუფალი ეკონომიკების კლასიფიკაციაში ერთიანდება. ყველაზე უფრო პრობლემური კომპონენტი, სადაც თავისუფლება განსაკუთრებულად შეზღუდულია, არის **ინვესტიციების თავისუფლება**, რომელიც მსოფლიოს საშუალოს 12.2 ქულით ჩამორჩება და შეგვიძლია ვთქვათ რომ რეპრესირებულია. გარდა ამისა, საშუალო მაჩვენებლებს შეძლებისდაგვარად აჯანსაღებს ის ფაქტი, რომ რეგიონში წარმოდგენილია 4 ეკონომიკა, თავისუფალი ეკონომიკების კლასიფიკაციიდან და 5 ეკონომიკა უმეტესად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიიდან. მათი ეფექტის გამორიცხვის, საშუალო მაჩვენებელი კრიტიკულ, 38 ქულიან ზღვარს აღწევს. ასეთივე სურათია **ფინანსური თავისუფლების** კომპონენტის თვალსაზრისითაც.


მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ დამაიმედებელია მთავრობის ზომისა და კანონის უზენაესობის კატეგორიები, თუმცა ეს არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი, ვინაიდან რეგიონის ქვეყნების უმეტესობა განეკუთვნება დაბალი შემოსავლის სახელმწიფოებს, რომელთაც რესურსები მეტად შეზღუდული აქვთ სახელმწიფო ხარჯებისთვის ან/და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მოწინავე ქვეყნებს, რომელთაც ისედაც ახასიათებთ მთავრობის შეზღუდული ზომა.

თუკი დავაკვირდებით შემოსავლებს მოსახლეობის ერთ სულზე და ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კლასიფიკაციას, აქაც დავინახავთ მჭიდრო

კორელაციურ კავშირს ადამიანთა კეთილდღეობასა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის. (იხ. დიაგრამა 2.5)

რეპრესირებული ეკონომიკების კატეგორიის ამოვარდნას, ჩვენ მიერ განსაზღვრული ლოგიკიდან იწვევს თურქმენეთის საკითხი, რომლის შემოსავლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ნავთობის ექსპორტი. აღნიშნული ეფექტის გამორიცხვით, რეპრესირებული ეკონომიკების კატეგორიის საშუალო შემოსავალი შეადგენს 3,009 აშშ დოლარს.

დიაგრამა 2.5 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (2018 PPP*, მიმდინარე საერთაშორისო დოლარი) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, 2020 წელი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019; საერთაშორისო სავალუტო ფონდი „World Economic Outlook Database” 2018

* მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ზრდა აბსოლუტურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (ყაზახეთი და უზბეკეთი) (იხ. ცხრილი 2.5). ამ ქვეყნებში

არსებულ ვითარებას კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით, როდესაც გავანალიზებთ პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებს.

ცხრილი 2.5 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, 2020 წელი)

ქვეყანა	ინდექსის ზრდა (აბსოლუტურ მაჩვენებელში)
ვანუატუ	+4.3
ყაზახეთი	+4.2
უზბეკეთი	+3.9
ვიეტნამი	+3.5
მალდივები	+3.3

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020


ევროპის რეგიონი. ისეთ რეგიონებში, სადაც მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან ქვეყნებს შორის განსხვავება ძალიან დიდია, კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და ადამიანთა სიმდიდრეს შორის გაცილებით ნათელია. მსოფლიოში, ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ რეგიონს ევროპა წარმოადგენს. ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, აღნიშნულ რეგიონში აერთიანებს 46 სახელმწიფოს, რომელთა მთლიანი მოსახლეობაც დაახლოვებით 840 მილიონ ადამიანს შეადგენს. მსოფლიოს ყველაზე თავისუფალი ეკონომიკების ნახევარზე მეტი (37) სწორედ ევროპაზე მოდის. გასაკვირი არ არის, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის საშუალო შეწონილი შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზე მაღალია მსოფლიოში 36 456 აშშ დოლარი (მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით, 2018 წლის მიმდინარე საერთაშორისო დოლარებში).

თავისუფალი ბაზრის იდეას, სწორედ ევროპული ფესვები აქვს, ამიტომაც მისი ფუნდამენტური დებულებები კარგად ნაცნობია ევროპელი ხალხისთვის, თუმცა მეორეს მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს გაბატონებული საბჭოთა კომუნისტური და სოციალისტური იდეოლოგია, რომელმაც ასევე ევროპიდან დაიწყო გავრცელება.

მართალია, სოციალიზმის იდეამ მალევე გაუცრუა ბევრ ევროპულ სახელმწიფოს იმედი, თუმცა ის კვლავ აქტუალური რჩება მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში.

ევროპის 46 წარმოდგენილი ეკონომიკა, ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კლასიფიკაციაში შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დიაგრამა 2.6).

დიაგრამა 2.6 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ევროპის რეგიონი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, მიუხედავად იმისა რომ მსოფლიოს თავისუფალი ეკონომიკების უმეტესობა ევროპის რეგიონზე მოდის, ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის უმაღლეს კატეგორიაში მხოლოდ შვეიცარია და ირლანდია ხვდებიან. ქვეყნების უმრავლესობა კი უმეტესად თავისუფალი ან ზომიერად თავისუფალი ეკონომიკების კლასიფიკაციაში ნაწილდებიან. უმეტესად არათავისუფალ ეკონომიკებს შორის უკრაინა და საბერძნეთი არიან, ხოლო ლიხტენშტეინი საერთოდ არ არის შეფასებული.

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ განეკუთვნება რეპრესირებული ეკონომიკების კატეგორიას. უკრაინა ევროპის ყველაზე არათავისუფალ ეკონომიკას წარმოადგენს, რაც დიდწილად ქვეყანაში არსებული მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობისა და მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობის შედეგია. რაც შეეხება საბერძნეთს, იგი იმყოფება ზღვარზე გადაინაცვლოს ზომიერად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიაში, რაც ადვილად მისაღწევია თუკი 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც ანალოგიურ ზრდას დააფიქსირებს ქვეყანა.

თუკი დავაკვირდებით ქვეყნებს, რომლებმაც ყველაზე მეტად გაიუმჯობესეს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებელი 2020 წელს, დავინახავთ, რომ ყველა მათგანი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელია. იხ. ცხრილი 2.6. პოსტ-საბჭოთა სივრცეს მოგვიანებით დავუბრუნდებით, სადაც დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ რეგიონს და მის ძირითად თავისებურებებს.

ცხრილი 2.6 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (ევროპის რეგიონი)

ქვეყანა	ინდექსის ზრდა (აბსოლუტურ მაჩვენებელში)
აზერბაიჯანი	+3.9
ბელარუსი	+3.8
სომხეთი	+2.9
მოლდოვა	+2.9
უკრაინა	+2.6

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

მთლიანად, ევროპის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 8.2 ქულით აჭარბებს მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს. იხ. ცხრილი 2.7.

ცხრილი 2.7 ევროპის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან

ეკონომიკური თავისუფლების	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის	რეგიონის საშუალო მაჩვენებელი	მსოფლიოს საშუალო
--------------------------	-----------------------------------	------------------------------	------------------

ინდექსის კატეგორია	კომპონენტი	კომპონენტის მიხ.	მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.
ეკონომიკური თავისუფლება (სრული ინდექსი)		69.8	61.6
კანონის უზენაესობა	საკუთრების უფლება	72.7	57.3
	სასამართლოს ეფექტურობა	57.2	45.8
	მთავრობის ერთიანობა	62.9	44.4
მთავრობის ზომა	საგადასახადო ტვირთი	72.5	77.3
	სახელმწიფო ხარჯები	49.3	66.2
	ფისკალური სიჯანსაღე	88.0	69.1
რეგულაციების ეფექტიანობა	ბიზნესის თავისუფლება	73.5	63.8
	სამუშაო ძალის თავისუფლება	61.3	59.6
	მონეტარული თავისუფლება	78.7	75.0
თავისუფალი ბაზარი	ვაჭრობის თავისუფლება	84.4	73.9
	ინვესტიციების თავისუფლება	74.4	57.7
	ფინანსური თავისუფლება	62.7	48.8

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020


უმეტესად, აღნიშნულ სხვაობას იწვევს კანონის უზენაესობის კატეგორია, რომელიც აერთიანებს საკუთრების უფლების, სასამართლოს ეფექტურობისა და მთავრობის ერთიანობის კომპონენტებს. ჯამში, კანონის უზენაესობის კატეგორიის საშუალო მაჩვენებელი ევროპის რეგიონისთვის დაახლოვებით 15 ქულით მეტია, ვიდრე მსოფლიოს საშუალო. ევროპულ სახელმწიფოებს კარგად აქვთ გათავისებული ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების როლი საზოგადოების გრძელვადიან, მდგრად განვითარებაში. სწორედ ეს არის მიზეზი აღნიშნული რეგიონის განვითარებისა ამ მიმართულებით.

ასევე, წინმსწრები შედეგებია რეგულაციების ეფექტიანობისა და თავისუფალი ბაზრის კატეგორიებში. სულ, გვხვდება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 2

კომპონენტი, სადაც ევროპის რეგიონის საშუალო ქულა, ჩამორჩება მსოფლიოს, ეს არის სახელმწიფო ხარჯები (-16.9) და საგდასახადო ტვირთი (-4.8).

ამას, შეიძლება ჰქონდეს ლოგიკური ახსნა, იმდენად, რამდენადაც, ევროპული სახელმწიფოების უმეტესობა ეკონომიკური განვითარების იმ ეტაპზე იმყოფება, როდესაც სახელმწიფოს გააჩნია რესურსი ხარჯების გასაზრდელად, რასაც მიზეზმდეგობრივი კავშირი აქვს საგადასახადო ტვირტთან. ცხადია, სახელმწიფო ხარჯების ზრდისთვის აუცილებელია შესაბამისი რესურსების მობილიზება, რომლის უმთავრეს წყაროსაც სწორედ გადასახადები წარმოადგენენ. ამდენად, ლოგიკურია, რომ იმ რეგიონსა თუ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ხარჯები მაღალია, მაღალი იქნება საგადასახადო ტვირთიც.

დიაგრამა 2.7 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (2018 PPP*, მიმდინარე საერთაშორისო დოლარი)) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (ევროპის რეგიონი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019; საერთაშორისო სავალუტო ფონდი „World Economic Outlook Database” 2018


* მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით

რაც შეეხება რეგიონის ქვეყნების შემოსავლებს, ეკონომიკური თავისუფლების კლასიფიკაციის მიხედვით, აქაც ვხედავთ, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მატულობს ეკონომიკურ თავისუფლებასთან ერთად. (იხ. დიაგრამა 2.7)

ვინაიდან ევროპის რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, ჩვენი ლოგიკა, რომ ეკონომიკური თავისუფლება დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე ნათლად აისახება ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.

შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა (MENA). აღნიშნულ რეგიონში ერთიანდება სულ 18 სახელმწიფო, რომელთა განაწილებაც ეკონომიკური თავისუფლების სხვადასხვა კატეგორიებში წარმოადგენილია დიაგრამაზე 2.8.

დიაგრამა 2.8 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

MENA რეგიონის მოსახლეობა მცირედით აღემატება 444 მილიონ ადამიანს. როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, 4 ქვეყნის (ერაყი, ლიბია, სირია, იემენი) შეფასებას ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი არ ახდენს. დანარჩენი 14 ქვეყნიდან, 3 წარმოადგენს უმეტესად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიას, უმრავლესობა (6 ქვეყანა) ზომიერად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიას, ასევე 3 ქვეყანა ერთიანდება უმეტესად არათავისუფალი ქვეყნების კლასიფიკაციაში, ხოლო 2 ქვეყანა კი რეპრესირებულ ეკონომიკურ რეჟიმს წარმოადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ MENA რეგიონი კვლავ რჩება მსოფლიოს პოლიტიკურ ცხელ წერტილად, რაც წარმოადგენს მისი არასტაბილურობისა და შესაბამისად ეკონომიკური განვითარების შეფერხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ მსოფლიოში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მონაცემთა არასრულყოფილების გამო არ აფასებს სულ 6 ეკონომიკას, საიდანაც 4 სწორედ აღნიშნულ რეგიონზე მოდის.

პოლიტიკური არასტაბილურობა აირეკლება სხვადასხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებშიც, მაგალითისთვის, რეგიონის საშუალო ინფლაციის ტემპი 8%-ია, ხოლო უმუშევრობის დონე თითქმის 10%-ს აღწევს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტების დონეზე თუ შევხედავთ, ძირითადად MENA რეგიონის საშუალო მაჩვენებლები აჭარბებს მსოფლიოს საშუალოს, თუმცა განსხვავებები უმეტესწილად მცირეა. (იხ. ცხრილი 2.8) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საგდასახადო ტვირთის კომპონენტი, რომელიც მსოფლიოს საშუალოს 10 ქულით აჭარბებს, ასევე თითქმის 8 ქულით მეტია სასამართლოს ეფექტურობის კოეფიციენტი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან მიმართებით.

უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების მიღმა დარჩენილი ქვეყნები მკვეთრად გააუარესებდნენ რეგიონის საშუალო მაჩვენებლებს, მათი გათვალისწინება რომ მომხდარიყო.

ცხრილი 2.8 შუა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კატეგორია	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტი	რეგიონის საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.	მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.
ეკონომიკური თავისუფლება (სრული ინდექსი)		61.8	61.6
კანონის უზენაესობა	საკუთრების უფლება	60.3	57.3
	სასამართლოს ეფექტურობა	53.5	45.8
	მთავრობის ერთიანობა	47.6	44.4
მთავრობის ზომა	საგადასახადო ტვირთი	87.6	77.3
	სახელმწიფო ხარჯები	62.9	66.2
	ფისკალური სიჯანსაღე	48.7	69.1
რეგულაციების ეფექტიანობა	ბიზნესის თავისუფლება	66.5	63.8
	სამუშაო ძალის თავისუფლება	57.2	59.6
	მონეტარული თავისუფლება	75.0	75.0
თავისუფალი ბაზარი	ვაჭრობის თავისუფლება	75.4	73.9
	ინვესტიციების თავისუფლება	53.6	57.7
	ფინანსური თავისუფლება	52.9	48.8

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ რეგიონში კონცენტრირებულია ნავთობის საბადოების დიდი ნაწილი, რაც თავისთავად უზრუნველყოფს შემოსავლების მაღალ დონეს. სწორედ ეს არის მთავარი ფაქტორი, რის გამოც რეპრესირებული ეკონომიკების მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე აჭარბებს, უმეტესად არათავისუფალი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს.

MENA რეგიონში რეპრესირებულ ეკონომიკებს განეკუთვნებიან ირანი და ალჟირი, რომელთაგან ორივე ნავთობისა და ბუნებრივი აირის მსხვილ ექსპორტიორებს წარმოადგენენ ეგვიპტესთან, ტუნისთან და ლიბანთან შედარებით, რომელთა ეკონომიკაშიც ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტს შედარებით მცირე ადგილი უჭირავს.

ჰერიოტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ოთხი კატეგორიიდან, აღნიშნულ რეგიონში ყველაზე უფრო პრობლემურს წარმოადგენს „მთავრობის ზომა“.


თუკი აღნიშნულ კატეგორიას დავაკვირდებით, საინტერესო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვეცემა. მთავრობის ზომა აერთიანებს სამ კომპონენტს, ეს არის საგადასახადო ტვირთი, სახელმწიფო ხარჯები და ფისკალური სიჯანსაღე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგადასახადო ტვირთის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი ამ რეგიონშია წარმოდგენილი, თუმცა მეორეს მხრივ მაღალია სახელმწიფო ხარჯები და არადაამაკმაყოფილებელია ფისკალური სიჯანსაღის პარამეტრები.

სახელმწიფო ხარჯები მოიცავს სახელმწიფოს მოხმარებას და ყველა ტიპის ტრანსფერებსა და ხარჯებს რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა პროგრამების აღსრულებასთან. ცხადია, ჩნდება კითხვა, რომ თუკი საგადასახადო ტვირთი დაბალია რის ხარჯზე ზრდის სახელმწიფო მოხმარებას. ამის პასუხი კვლავ ბუნებრივ რესურსებშია, რომელთა დიდ ნაწილსაც ამ ქვეყნებში სახელმწიფო ფლობს, შესაბამისად საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის მიუხედავად ინურჩენებს სახელმწიფო ხარჯების მაღალ დონეს. ამას, ცხადია უარყოფილითი გამოვლინება აქვს ქვეყნის **ფისკალურ სიჯანსაღეზე**, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ა) ბიუჯეტის დეფიციტის წილზე საშუალოდ მთლიან სამამულო პროდუქტში უკანსკნელი სამი წლისათვის (80% წონით მთლიან კომპონენტში) და ბ) სახელმწიფო ვალის წილზე მთლიან სამამულო პროდუქტში (20% წონით მთლიან კომპონენტში).

მიუხედავად ამისა, თუკი გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ გადახრებს, მჭიდრო კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის მაინც მკაფიოა (იხ. დიაგრამა 2.9).

დიაგრამა 2.9 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (PPP, 2018 მიმდინარე ფასებში) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019; საერთაშორისო სავალუტო ფონდი „World Economic Outlook Database” 2018

* მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით

ზოგადად, რეგიონულ ჭრილში 14 ქვეყნიდან ხუთ სახელმწიფოში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შემცირდა, დანარჩენ შემთხვევაში კი მცირედით გაიზარდა. ცხრილი 2.9 - ში წარმოდგენილია სწორედ ის ქვეყნები, სადაც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყველაზე მეტად გამყარდა. ამ ქვეყნებიდან, მხოლოდ ისრაელი განეკუთვნება უმეტესად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიას, ასევე ეგვიპტეა ერთადერთი წარმომადგენელი უმეტესად არათავისუფალი ეკონომიკების კლასიფიკაციიდან. დანარჩენი სამი სახელმწიფო კი ზომიერად თავისუფალი ეკონომიკების რიცხვს განეკუთვნებიან.

ცხრილი 2.9 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი)

ქვეყანა	ინდექსის ზრდა (აბსოლუტურ მაჩვენებელში)
ომანი	+2.6
ქუვეითი	+2.4
საუდის არაბეთი	+1.7
ეგვიპტე	+1.5
ისრაელი	+1.2

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი აერთიანებს 47 სახელმწიფოს, რომელთაც ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აფასებს. აღნიშნული ქვეყნების უმეტესობა ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით საკმაოდ ჩამორჩენილია, რაც რეგიონის ჭრილში, ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების დონეზეც ნათლად ჩანს. (იხ. ცხრილი 2.10)

ცხრილი 2.10 სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კატეგორია	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტი	რეგიონის საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.	მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.
ეკონომიკური თავისუფლება (სრული ინდექსი)		55.1	61.6
კანონის უზენაესობა	საკუთრების უფლება	44.6	57.3
	სასამართლოს ეფექტურობა	36.7	45.8
	მთავრობის ერთიანობა	29.2	44.4
მთავრობის ზომა	საგადასახადო ტვირთი	76.1	77.3
	სახელმწიფო ხარჯები	79.4	66.2

	ფისკალური სიჯანსაღე	57.3	69.1
რეგულაციების ეფექტიანობა	ბიზნესის თავისუფლება	52.2	63.8
	სამუშაო ძალის თავისუფლება	55.5	59.6
	მონეტარული თავისუფლება	73.5	75.0
თავისუფალი ბაზარი	ვაჭრობის თავისუფლება	65.7	73.9
	ინვესტიციების თავისუფლება	51.6	57.7
	ფინანსური თავისუფლება	39.6	48.8

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 12 კომპონენტიდან, მხოლოდ 1 კომპონენტი გვხვდება (სახელმწიფო ხარჯები), სადაც რეგიონის საშუალო მაჩვენებელი აჭარბებს მსოფლიოს საშუალოს, დანარჩენ 11 შემთხვევაში კი გვაქვს ჩამორჩენა. ცხადია, ისეთი ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისთვის, როგორებიც ამ რეგიონში გვხვდება, სახელმწიფო ხარჯები ვერ იქნება მაღალი, იმ მარტივი მიზეზით, რომ მათ არ გააჩნიათ საამისო რესურსები.


განსაკუთრებით საგანგაშოდ გამოიყურება კანონის უზენაესობის კატეგორია, რომელიც მოიცავს საკუთრების უფლების დაცვას, სასამართლოს ეფექტურობასა და მთავრობის ერთიანობას. მთავრობის ერთიანობის კომპონენტი, რეგიონულ ჭრილში ყველაზე დაბალია აღნიშნულ რეგიონში, რაც პირდაპირი ინდიკატორია კორუფციის მაღალი დონის, სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფო სერვისების აბსოლუტური გაუმჭვირვალობისა და ბიუროკრატიის. პრაქტიკულად, სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ ფუნქციონირებენ გამართულად, რასაც მიყვარათ ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისა და კორუფციის გაღვივებისკენ. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი აისახება სამუშაო ძალის დაუცველობასა და არაეფექტურ მენეჯმენტში, როდესაც რესურსების ალოკაცია ხდება არაეფექტიანად.

კანონის უზენაესობის კატეგორიის შემდეგ, არანაკლებ დიდ პრობლემას წარმოადგენს „თავისუფალი ბაზრის“ კატეგორია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ვაჭრობის თავისუფლებას, ინვესტიციების თავისუფლებასა და ფინანსურ

თავისუფლებას. თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური მოწყობა პირდაპირ არის დაკავშირებული ამ სამი კომპონენტის მაქსიმალურ გახსნილობასთან, ვინაიდან მცირე ღია ეკონომიკებმა მაქსიმალურად ისარგებლონ საერთაშორისო ვაჭრობით, თავისუფლად შეძლონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზილიზება და ფინანსური ბაზრების განვითარება.

სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონის ქვეყნებიდან, მხოლოდ 2 სახელმწიფო კლასიფიცირდება უმეტესად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიაში (მავრიკის რესპუბლიკა და რუანდა), 30 ქვეყანა უმეტესად არათავისუფალ ეკონომიკას წარმოადგენს ხოლო 9 კი რეპრესირებული ეკონომიკების კლასიფიკაციაში ერთიანდება (იხ. დიაგრამა 2.10).

დიაგრამა 2.10 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი)




წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

ასევე უნდა ითქვას, რომ ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შეფასებაში არ ხვდება სომალი, სრულყოფილი მონაცემების არარსებობის გამო.

ერთდროულად სამი სახელმწიფო (განა, უგანდა და კოტ დივუარი) კი იმყოფებიან ზღვარზე უმეტესად არათავისუფალი ეკონომიკის კლასიფიკაციიდან ზომიერად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიაში მოსახვედრად.

როგორც დიაგრამა 2.11-დან ვხედავთ, განსხვავება შემოსავლებში, ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით ძალზე მცირეა.

დიაგრამა 2.11 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (PPP, 2018 მიმდინარე ფასებში) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდემენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019; საერთაშორისო სავალუტო ფონდი „World Economic Outlook Database” 2018

* მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით

ასევე, რეპრესირებული ეკონომიკების საშუალო მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, აჭარბებს ერთი ნაბიჯით უფრო თავისუფალი ეკონომიკების საშუალო მაჩვენებელს. აღნიშნულ გადახრას იწვევს ერთი ქვეყანა, კერძოდ, ეკვატორული გვინეა, რომელიც ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოა და მიუხედავად კორუფციის მაღალი დონისა, მთლიანი სამამულო

პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე საკმაოდ მაღალია. იმ შემთხვევაში, თუკი ეკვატორული გვინეის ეფექტს გამოვრიცხავთ, რეპრესირებული ეკონომიკების ანალოგიური მაჩვენებელი შემცირდება 2 502 აშშ დოლარამდე.

დაახლოვებით იგივე სურათია უმეტესად თავისუფალი ეკონომიკების შემთხვევაშიც, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ სულ ორი სახელმწიფოა. მათ შორის, რუანდას მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის 1 სულზე შეადგენს 2 280 აშშ დოლარს, ხოლო მავრიკისა კი 23 699 აშშ დოლარია.

აღნიშნული გადახრები, ხაზს უსვამს, რომ ცალკე აღებული ეკონომიკური თავისუფლება არ წარმოადგენს საკმარის წინაპირობას ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მისაღწევად. ამ საკითხს მოგვიანებით უფრო ვრცლად შევაჯამებთ.

სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონში, ეკონომიკური თავისუფლების გაუარესებას ადგილი ჰქონდა 46 ქვეყნიდან 15 სახელმწიფოში. მეორეს მხრივ, დანარჩენ 31 შემთხვევაში გვაქვს მცირედი გაუმჯობესება. ცხრილი 2.11-ში წარმოდგენილია ის ქვეყნები, სადაც რეგიონის მასშტაბით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყველაზე მეტად არის გაზრდილი 2020 წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ რეპრესირებული ეკონომიკების კლასიფიკაციიდან, უმეტესად არათავისუფალი ეკონომიკების კატეგორიაში გადმოსვლის ზღვარზეა ერთბაშად 4 სახელმწიფო (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც 2019 წლის შემდეგ დაქვეითდა აღნიშნულ კატეგორიაში, ლიბია, ბურუნდი და ეკვატორული გვინეა).

ცხრილი 2.11 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაუმჯობესების მოწინავე მაჩვენებლები (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი)

ქვეყანა	ინდექსის ზრდა (აბსოლუტურ მაჩვენებელში)
ეკვატორული გვინეა	+7.3
ჯიბუტი	+5.8
გამბია	+3.9
მადაგასკარი	+3.9
ტოგო	+3.8


წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

პოსტ-საბჭოთა რეგიონი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსოფლიოში, ეკონომიკური თავისუფლების სიტუაციური ანალიზის მიზანია, გვაჩვენოს მისი გავლენების სრულყოფილი სურათი, რათა შედეგების განზოგადება იყოს მეცნიერულად დასაბუთებული. ნაშრომის საბოლოო მიზანს, წარმოადგენს იმის გამოვლენა, თუ რა კავშირი არსებობს ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებს შორის, ცხადია, საქართველოს მაგალითზე.

იქამდე, სანამ ემპირიულ ანალიზს ჩავატარებთ, დასახული მიზნის მისაღწევად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოსთვის, ცალკე გამოვეყოთ პოსტ-საბჭოთა რეგიონი და შევისწავლოთ ეკონომიკური თავისუფლების განვითარება უშუალოდ მის შიგნით. ამას ბევრი მიზეზი აქვს, უპირველეს ყოვლისა კი საინტერესოა, თუ როგორ შეცვალა საბჭოთა ცენტრალიზებულად გეგმური ეკონომიკიდან, შერეულ ეკონომიკაზე გადასვლამ ამ ქვეყნებში ცხოვრების დონე.

საბჭოთა კავშირი აერთიანებდა სულ 15 რესპუბლიკას, რომლებმაც, მისი დაშლის შემდგომ განვითარების სხვადასხვა გზა აირჩიეს. დიაგრამა 2.12-ზე ნაჩვენებია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით. აღნიშნულ რეგიონში, უმაღლეს ადგილს ჰერთიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით იკავებს ესტონეთი, რომელსაც მცირედით ჩამორჩება საქართველო. აღსანიშნავია, რომ სომხეთი 2020 წელს გადმოვიდა ზომიერად თავისუფალი ეკონომიკების კატეგორიიდან უმეტესად თავისუფალ ეკონომიკებს შორის, მას შემდეგ, რაც ევროპის მასშტაბით მესამე საუკეთესო შედეგი დააფიქსირა ინდექსის მაჩვენებლის გაუმჯობესების კუთხით აზერბაიჯანისა და ბელარუსის შემდეგ. ხუთეულის დანარჩენი წევრები არიან ლიტვა და ლატვია.

დიაგრამა 2.12 ქვეყნების განაწილება ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (პოსტ-საბჭოთა რეგიონი)



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

გარდა ამისა, ეკონომიკური თავისუფლების განმტკიცების ტენდენცია თუკი შენარჩუნდება ყაზახეთსა და აზერბაიჯანში, მოსალოდნელია რომ 2021 წელს ისინიც გადმონაცვლებენ უმეტესად თავისუფალი ეკონომიკების კლასიფიკაციაში. პოსტ-საბჭოთა რეგიონის ერთადერთ რეპრესირებულ ეკონომიკას კი წარმოადგენს თურქმენეთი.

რეგიონული დაყოფის ჭრილში, საშუალო ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოსთან მიმართებით ყველაზე მაღალი ევროპის რეგიონშია (სადაც საშუალო ქულა 8.2-ით აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს). ოდნავ მეტია MENA რეგიონის საშუალო მაჩვენებელი მსოფლიოსთან მიმართებით (+0.2). რაც შეეხება პოსტ-საბჭოთა რეგიონს, როგორც ცხრილი 2.12-დან ვხედავთ, ეკონომიკური თავისუფლების საშუალო მაჩვენებელი 3.2 ქულით აღემატება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს. ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 12

კომპონენტიდან, მხოლოდ 4 კომპონენტი ისეთი, სადაც პოსტ-საბჭოთა რეგიონის საშუალო მაჩვენებელი ჩამორჩება მსოფლიოს საშუალოს (მთავრობის ერთიანობა, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება).

ცხრილი 2.12 პოსტ-საბჭოთა რეგიონში ეკონომიკური თავისუფლების კომპონენტების საშუალო მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კატეგორია	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კომპონენტი	რეგიონის საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.	მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი კომპონენტის მიხ.
ეკონომიკური თავისუფლება (სრული ინდექსი)		64.8	61.6
კანონის უზენაესობა	საკუთრების უფლება	60.1	57.3
	სასამართლოს ეფექტურობა	47.8	45.8
	მთავრობის ერთიანობა	43.7	44.4
მთავრობის ზომა	საგადასახადო ტვირთი	87.5	77.3
	სახელმწიფო ხარჯები	67.0	66.2
	ფისკალური სიჯანსაღე	86.7	69.1
რეგულაციების ეფექტიანობა	ბიზნესის თავისუფლება	71.5	63.8
	სამუშაო ძალის თავისუფლება	61.8	59.6
	მონეტარული თავისუფლება	72.0	75.0
თავისუფალი ბაზარი	ვაჭრობის თავისუფლება	79.9	73.9
	ინვესტიციების თავისუფლება	53.0	57.7
	ფინანსური თავისუფლება	46.0	48.8

წყარო: ჰერიტიჯი ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

განვიხილოთ თითოეული მათგანი. **მთავრობის ერთიანობის** კომპონენტი ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორც არის კორუფციის არსებობა და აღქმა ქვეყნის შიგნით, სახელმწიფო და საჯარო სერვისების გამჭვირვალობა, სახელმწიფო პოლიტიკის გამჭვირვალობა და ა.შ. ცხადია, ზემოაღნიშნული ფაქტორები კარგად ნაცნობია საბჭოთა წარსული მქონე ქვეყნებისთვის, სადაც მოხდა საბაზრო სტიმულების სრული დეგრადაცია და რღვევა.

რაც შეეხება **მონეტარულ თავისუფლებას**, მისი შეფასება ეფუძნება ორ ფუნდამენტურ ფაქტორს, ეს არის საშუალო შეწონილი ინფლაცია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ფასების კონტროლი, რაც ასევე ერთ-ერთი დამახასიათებელი იყო საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკისთვის.


ინვესტიციების თავისუფლება ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორც არის უცხოელი ინვესტორების მიმართ დამოკიდებულება, საკანონმდებლო ბაზა უცხოელ ინვესტორებთან მიმართებით, სხვადასხვა სექტორული შეზღუდვები, ასევე შეზღუდვები მიწის ფლობაზე, უცხოური კაპიტალის გაცვლის კონტროლი და ზოგადად კაპიტალის კონტროლი. ბუნებრივია, რომ ნებისმიერი საბჭოთა ქვეყნისთვის უცხოურ ინვესტიციებზე საუბარი მეტად აბსურდული იყო ჩაკეტილი ეკონომიკური წყობის პირობებში, რამაც გამოიწვია ყველა იმ ინსტიტუტის ძირფესვიანი გადაგვარება, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ჩარჩო პირობებს მათ მოსაზიდად.

ბოლო კომპონენტი, სადაც პოსტ-საბჭოთა რეგიონის საშუალო მაჩვენებელი ჩამორჩება მსოფლიოს საშუალოს ეს არის **ფინანსური თავისუფლება**. აღნიშნული კომპონენტის მნიშვნელობას განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სახელმწიფო რეგულაციების მასშტაბი ფინანსურ მომსახურებაზე, სახელმწიფო ინტერვენციის ხარისხი ბანკებში, მათ შორის ფინანსური კომპანიების პირადაპირი და არაპირდაპირი მესაკუთრეობა, ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების დონე, სახელმწიფოს გავლენა კრედიტების ალოკაციაზე და სხვა. საბჭოთა წყობაში არსებობამ, განაპირობა ფინანსური ინსტიტუტების სრული მოშლა.

მის შემადგენლობაში არსებული ქვეყნების უმრავლესობას არაერთი წელი დასჭირდა, რათა მოეწესრიგებინა ინსტიტუციური ჩარჩო პირობები.

როგორც აღმოჩნდა, საბჭოთა კავშირის დაშლიდან თითქმის 30 წლის შემდეგაც კი, მისი წვერი ქვეყნების უმეტესობას გაუჭირდათ ადაპტირება შერეული ეკონომიკის ძირითად პრინციპებთან, რაც უმეტესწილად გამოხატულია ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესის გაჭიანურებით. ისევე, როგორც ყველა დანარჩენი რეგიონის შემთხვევაში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორისაც ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ისეთმა ქვეყნებმა, რომლებმაც აირჩიეს ეკონომიკური თავისუფლების გზა. მიუხედავად ამისა, ვხედავთ გამოწვევებს რეპრესირებულ ეკონომიკებს შორის, რაც გამოწვეულია თურქმენეთის ფაქტორით, რომელიც წარმოადგენს ნავთობპროდუქტების მსხვილ ექსპორტიორს და შესაბამისად მის მთლიან სამამულო პროდუქტში აღნიშნული საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები იკავებს ეკონომიკის უდიდეს ნაწილს.

დიაგრამა 2.13 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (PPP, 2018 მიმდინარე ფასებში) ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონი)



წყარო: ჰერითიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019; საერთაშორისო სავალუტო ფონდი „World Economic Outlook Database” 2018

* მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით

დიაგრამა 2.13 გვიჩვენებს მთლიანი სამამულო პროდუქტის განაწილებას მოსახლეობის ერთ სულზე ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების შესაბამისად.

შეჯამება. ეკონომიკურ თავისუფლებაზე დაკვირვება, მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში, რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურების გამოვლინების შესაძლებლობას გვაძლევს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თავისუფლება არ არის და ვერც იქნება ეკონომიკური განვითარების ერთადერთი ინგრედიენტი. იგი, უფრო მეტად წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური პროცესების გაჯანსაღებას, რაც თავის მხრივ არა მხოლოდ ეკონომიკური შინაარსის პროცესების მოცვასაც გულისხმობს. ამის ნათელი მაგალითია ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლების დაცვა, საკუთრების უფლების უზრუნველყოფა რომელიც ვერ მიიღწევა ჯანსაღი საკანონმდებლო ჩარჩო პირობებისა და სამართლიანი სასამართლო სისტემის გარეშე.


გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თუ ინსტიტუციური წყობით. ცხადია, ამ ვითარებაში მათზე განსხვავებული ფაქტორები მოქმედებს. ზოგადად, ნებისმიერი ინდექსის მთავარი იდეა არის საერთო საზომით შეაფასოს რადიკალურად განსხვავებული შეფასების ობიექტებიც კი. ჩვენს შემთხვევაში, ფრეზერის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ანდა ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონეს კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე, თუმცა რომელ ქვეყანაზე რა გავლენა აქვს მას, ამაზე საუბარი მეტად რთული და კომპლექსურია ისევე და ისევე ქვეყნების ჰეტეროგენულობიდან გამომდინარე. ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სწორედ ეს წარმოადგენს, მოვახდინოთ ეკონომიკური თავისუფლების პრაქტიკული გავლენების თეორიული

და პრაქტიკული ანალიზი, რასაც შემდეგ ემპირიულად დავადასტურებთ საქართველოს და კვლევისათვის შერჩეული სხვა ქვეყნების მაგალითზე.

დავუბრუნდეთ ქვეყნებს შორის განსხვავებს რეგიონულ ჭრილში, ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით. როგორც დიაგრამა 2.14-დან ჩანს, ჩვენ მიერ წარმოდგენილი რეგიონული დაყოფის მიხედვით, მსოფლიოს 6 თავისუფალი ეკონომიკა განაწილებულია მხოლოდ ევროპისა (2) და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში (4). არგუმენტი, რომ ეკონომიკურად თავისუფალ ქვეყნებს საშუალოდ უფრო მაღალი მთლიანი სამამულო პროდუქტი აქვთ მოსახლეობის ერთ სულზე ყველა რეგიონში ჭეშმარიტია, თუმცა გვაქვს კონკრეტული გადახრები.

მაგალითად, სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონში, MENA რეგიონსა და პოსტ-საბჭოთა რეგიონში რეპრესირებული ეკონომიკების მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე უფრო მაღალია, ვიდრე უმეტესად არათავისუფალი ეკონომიკების ანალოგიური მაჩვენებელი. იმისათვის, რომ ეს თავისებურება ავხსნათ, მნიშვნელოვანია ჩავეძიოთ კონკრეტულად ამ ქვეყნებს (იხ ცხრილი 2.13).

დიაგრამა 2.14 მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოს რეგიონებისა და ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (PPP, 2018 წლის მიმდინარე ფასებში)



წყარო: ჰერითიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2019; საერთაშორისო სავალუტო ფონდი „World Economic Outlook Database” 2018

* მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით

ცხრილი 2.13 ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით რეპრესირებული ეკონომიკები მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში

რეგიონი	ქვეყანა
MENA	ირანი
	ალჟირი
სუბ-საჰარული აფრიკა	კონგოს დემოკრ. რესპუბლიკა
	ლიბერია
	ბურუნდი
	ეკვატორული გვინეა
	სიერა ლეონე
	სუდანი
	ზიმბაბვე

	კონგოს რესპუბლიკა
	ერიტრია
პოსტ-საბჭოთა რეგიონი	თურქმენეთი

წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

MENA რეგიონის რეპრესირებულ ეკონომიკებს წარმოადგენენ ირანი და ალჟირი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ქვეყნების ეკონომიკები დიდწილად დამოკიდებულია ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის ექსპორტზე. ცხადია, აღნიშნული ფაქტი დიდ გავლენას ახდენს მათ მთლიან სამამულო პროდუქტსა და ეკონომიკურ კონიუნქტურაზე. ამის საპირწონედ, უმეტესად არათავისუფალ ეკონომიკებში გვხვდებიან ეგვიპტე, ტუნისი და ლიბანი რომელთა ეკონომიკაშიც ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტს შედარებით მცირე ადგილი უჭირავს და შესაბამისად მათი მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზეც ნაკლებია. მეორეს მხრივ, იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა ეკონომიკურ თავისუფლებას დააკომპენსიროს ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებთან შედარებით ჩამორჩენა. პასუხი უმეტესწილად დადებითია, მაგრამ აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმას, თუ რამდენად დიდი უნდა იყოს ეს განსხვავება. ცხადია, რეპრესირებულ ეკონომიკებსა და უმეტესად არათავისუფალ ეკონომიკებს შორის განსხვავება არ ეყოფა ქვეყნების შემოსავლებს შორის გეპის აღმოფხვრას. ეს, თავის მხრივ დამოკიდებული იქნება ქვეყნის მასშტაბსა და სხვა თავისებურებებზეც.


სუბ-საჰარული აფრიკის რეგიონის რეპრესირებულ ეკონომიკებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ყველა მათგანი წარმოადგენს ეკონომიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოებს გარდა ეკვატორული გვინეისა, რომლის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 22 710 დოლარს შეადგენს (PPP). აღნიშნული ქვეყანა ასევე მდიდარია ნავთობის რესურსებით, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილი ნავთობის ექსპორტზეა დამოკიდებული. ეკვატორული გვინეის ეფექტის გამორიცხვით, რეგიონის რეპრესირებული ეკონომიკების საშუალო მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე იქნება დაახლოვებით 2 502 დოლარი (PPP), რაც მთელი 47%-ით ჩამორჩება ეკონომიკური თავისუფლების 1 კატეგორიით მაღლა მდგომი სახელმწიფოების ანალოგიური მაჩვენებელს.

ბოლო რეგიონი, სადაც ზემოხსენებული გადახრა ფიქსირდება პოსტ-საბჭოთა სივრცეა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მხოლოდ თურქმენეთია დღევანდელი მდგომარეობით რეპრესირებულ ეკონომიკურ კატეგორიაში, რომლის მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ასევე აჭარბებს უმეტესად არათავისუფალი ეკონომიკების საშუალო მაჩვენებელს. ამ შემთხვევაშიც, აღნიშნული გადახრის ახსნა თურქმენეთის ბუნებრივ რესურსებშია, რომელიც მდიდარია ნავთობითა და ბუნებრივი აირით.

ამდენად, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ თითოეული გადახრის მიზეზი შესაბამის რეგიონში ბუნებრივი რესურსებია (უმეტესად ნავთობი და ბუნებრივი აირი). სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ქვეყნების შემოსავლების შედარებით მაღალ დონეს.

მას შემდეგ რაც ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აფასებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ თავისუფლებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2020 წელს მსოფლიოს საშუალო ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი გვაქვს. რეგიონულ ჭრილში, 2003 წლის შემდეგ, ევროპა ცალსახად ინარჩუნებს მსოფლიოში, ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალი რეგიონის სტატუსს (იხ. დიაგრამა 2.15). ყველაზე დიდ ზრდას რეგიონულ ჭრილში აფიქსირებს პოსტ-საბჭოთა რეგიონი, სადაც ეკონომიკური თავისუფლება 1995 წლიდან დღემდე დაახლოვებით 4.2-ჯერ გაიზარდა. მსგავსი ცვლილება სხვა არც ერთ რეგიონში არ გვხვდება. ცხადია ეს პროცესი გარდაუვალი იყო, ვინაიდან საბჭოთა ცენტრალიზებულად გეგმური ეკონომიკური წყობის შემდეგ, მისი წევრი სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა არასრულად, თუმცა დიდწილად მაინც დაიწყო სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია. ეკონომიკური თავისუფლების თითქმის ნულოვანი წერტილიდან ადგილი ჰქონდა მკვეთრი ზრდის ეფექტს, რის შემდეგაც თითქმის 15 წლის განმავლობაში არსებით ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში, პოსტ-საბჭოთა რეგიონის ეკონომიკური თავისუფლების დონემ გაასწრო ყველა რეგიონს და იმყოფება მეორე ადგილზე, ევროპის რეგიონის შემდეგ.

დიაგრამა 2.15 ეკონომიკური თავისუფლების განვითარების დინამიკა მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში



წყარო: ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

თავი III - ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე

3.1 კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი დაეთმო ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციისა და თეორიული საფუძვლების განხილვას კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის განხილვის საფუძველზე. ცხადია, ამ პროცესში გვერდს ვერ ავუვლიდით ეკონომიკური თავისუფლების გაზომვის თავისებურებების ანალიზს უშუალოდ ინდექსების სიღრმისეული კვლევის საფუძველზე, რაც გახდა ჩვენთვის წინაპირობა იმისა, რომ ემპირიული კვლევისთვის შეგვერჩია ჩვენთვის მისაღები ინდექსი.

ნაშრომის მეორე თავში მოვახდინეთ ეკონომიკური თავისუფლების ფუნდამენტური ინსტიტუციური ჩარჩო პირობების ანალიზი, რაზეც დაფუძნებულია ეკონომიკურად თავისუფალი საზოგადოების ძირითადი პრინციპები. ამასთან განვიხილეთ მთავრობის როლი ეკონომიკური თავისუფლების ფორმირების გზაზე.

ასევე, მეორე თავის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ეკონომიკური თავისუფლების პრაქტიკული გავლენების ანალიზს მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში.

შედეგად, ნაშრომის მესამე თავი წმინდა პრაქტიკული ხასიათისაა და დაეთმოა წინა თავებში აღწერილი პოტენციური კავშირების ემპირიულ შეფასებას. თუ შესაძლებელია გაიზომოს ეკონომიკური თავისუფლება, მაშინ შესაძლებელია გაიზომოს მისი გავლენაც ეკონომიკურ ზრდაზე.

ამდენად, სადისერტაციო კვლევის თემიდან გამომდინარე, ნაშრომის პრაქტიკულ ნაწილში შეგვიძლია გამოვყოთ სამი მთავარი მიზანი, რომლის გარშემოც მივიღებთ კვლევის შედეგებს.

1. შერჩეული ქვეყნების მიხედვით ვაჩვენოთ ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე;
2. საქართველოს მაგალითზე ვაჩვენოთ კავშირი ნირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის;
3. შევადაროთ მიღებული შედეგები, მოვახდინოთ მათი ინტერპრეტაცია და განზოგადება.

იმისათვის, რომ კვლევის პრაქტიკულ ნაწილში დასახულ მიზნებს მივაღწიოთ, დაგვიჩინდება გარკვეული ამოცანების შესრულება. მოვახდინოთ მათი ფორმულირება:

- კვლევისათვის ქვეყნების შერჩევა;
- საკვლევი პერიოდის განსაზღვრა;
- მოდელში ჩასართავი ამხსნელი ფაქტორების შერჩევა;
- ემპირიული კვლევისთვის შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელ(ებ)ის შერჩევა;
- შერჩეული ცვლადებისა და საკვლევი პერიოდის შესაბამისად, სტატისტიკური მასალის მოძიება.

კვლევის პრაქტიკული ნაწილი მოიცავს რამდენიმე ეტაპს. უპირველეს ყოვლისა, გვსურს ვაჩვენოთ, კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე. აღნიშნული ნაწილი თავის მხრივ ორ

ქვე-ეტაპად გაიყოფა, სადაც პირველ ნაწილში გვსურს ვაჩვენოთ კავშირი შერჩეული ეკონომიკების მაგალითზე, ხოლო მეორე ნაწილი კი მოიაზრებს იმავე კავშირის ჩვენებას ცალკე, საქართველოს მაგალითზე.

კვლევის მეორე ეტაპია, მოვახდინოთ კორელაციური კავშირების გამოვლენა ეკონომიკურ თავისუფლებასა და ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის, როგორც არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინფლაცია და უმუშევრობა ქვეყნების მიხედვით.

კვლევისათვის ქვეყნების შერჩევა. როგორც ვახსენეთ, კვლევის ერთ-ერთი მიზანია ვაჩვენოთ ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე არა მხოლოდ საქართველოს მაგალითზე, არამედ შერჩეული ქვეყანათა ჯგუფის მაგალითზეც, რაც დაგვეხმარება მოვახდინოთ შედარებითი ანალიზის განხორციელება წარმოდგენილ ეკონომიკებთან.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე შევარჩიეთ ისეთი სახელმწიფოები, სადაც აქტუალური იყო ეკონომიკური თავისუფლების საკითხი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. ასეთად, პირველ რიგში მოიაზრება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რომელთა უახლესი ისტორიის მანძილზე ადგილი ჰქონდა საქართველოს მსგავს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებს, ამდენად შედარებითი ანალიზის განსახორციელებლად ერთი-ორად საინტერესოა ისეთი ქვეყნების ჯგუფის შედგენა, რომელთაც პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოწყობის მეტ-ნაკლებად იდენტური სასტარტო პირობები ჰქონდა საქართველოსთან მიმართებით. ცხადია, შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს ბევრი სხვადასხვა ფაქტორი აჩქარებდა და აფერხებდა, თუმცა ეს პირველ რიგში, დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ქვეყნის სურვილსა და პოლიტიკურ ნებაზე, თუ როგორ წარემართა მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრება. ზოგიერთ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დღესაც აქტუალურია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ევროპულმა ნაწილმა ტრანსფორმაციის პროცესი კარგა ხანია დაასრულა. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, კვლევისათვის შეირჩა აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, სადაც მათი წარსულიდან გამომდინარე ასევე აქტუალური იყო შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი.

უნდა აღინიშნოს, რომ სადისერტაციო კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია მოდელში ჩავრთოთ როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, ასევე ისინი, რომელთაც უკვე დაასრულეს ტრანსფორმაციის პროცესი.

იხილეთ შერჩეული ქვეყნების სრული ჩამონათვალი:

პოსტ-საბჭოთა

ქვეყნები

- | | |
|----------------|---------------|
| 1. აზერბაიჯანი | 8. რუსეთი |
| 2. ბელარუსი | 9. საქართველო |
| 3. ესტონეთი | 10. სომხეთი |
| 4. თურქმენეთი | 11. უზბეკეთი |
| 5. ლატვია | 12. უკრაინა |
| 6. ლიეტუვა | 13. ყაზახეთი |
| 7. მოლდოვა | 14. ყირგიზეთი |

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები

1. პოლონეთი
2. ბულგარეთი
3. ჩეხეთი
4. რუმინეთი
5. სლოვაკეთი
6. ხორვატია

საკვლევი პერიოდის განსაზღვრა. უკვე აღვნიშნეთ, რომ კვლევის მიზანია გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ის კავშირები, რომლებიც არსებობს ეკონომიკასა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის. ამისათვის კი, აუცილებელია დინამიკაში დავაკვირდეთ მონაცემთა ერთობლიობას. ვინაიდან, ჩვენი კვლევა ეყრდნობა ჰერითიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს, დამოკიდებული ვართ მის ხელმისაწვდომობაზე სხვადასხვა ქვეყნებისთვის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. თვითონ ინდექსი, ხელმისაწვდომია 1995 წლიდან, შესაბამისად ჩვენი

კვლევის ობიექტიც სწორედ 1995 წლიდან განისაზღვრება.³⁰ რაც შეეხება საკვლევი პერიოდის დასრულების თარიღს, ამ შემთხვევაში გვზღუდავს მოდელში შერჩეული დანარჩენი ცვლადების ხელმისაწვდომობა. მაგალითისთვის, ფინანსური განვითარების ინდექსის უკანასკნელი მონაცემები, რომელსაც პერიოდულად აქვეყნებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ხელმისაწვდომია 2018 წლისათვის. მეორეს მხრივ, კაპიტალის მარაგის შესახებ ბოლო მონაცემები მოსახლეობის ერთ სულზე, რომელსაც აქვეყნებს გრონინგენის უნივერსიტეტი, ხელმისაწვდომია 2017 წლის მდგომარეობით. შესაბამისად, კვლევა ეყრდნობა 1995-2017 წლების პერიოდს.

ამასთან, კორელაციური კავშირების გამოსავლენად ეკონომიკურ თავისუფლებასა და მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის, გამოვიყენებთ მსოფლიო ბანკის მონაცემებს, რომლებიც შერჩეული ქვეყნების მიხედვით ხელმისაწვდომია 2018 წლამდე.³¹

პრაქტიკულ კვლევაში ჩართული ფაქტორები. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევა დაყოფილია სხვადასხვა ეტაპებად, ამდენად, თითოეულ ეტაპზე დაგვჭირდება შესაბამისი ცვლადების შერჩევა, რომლებსაც დაეყრდნობა ჩვენი ანალიზი. იმისათვის, რომ ჩვენ მიერ აგებულმა მოდელმა მაღალი სანდოობით ახსნას კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე, საჭიროა მოდელში გავითვალისწინოთ დამატებითი ფაქტორები, რომელთაც თავის მხრივ გააჩნია კავშირი ამ უკანასკნელთან.


აქედან გამომდინარე, პირველი ფაქტორი, რომელსაც ჩვენს მოდელში შევიყვანთ, ეს არის ფინანსური განვითარების ინდექსი. ფინანსური განვითარება წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს. ზოგიერთი კვლევა ფინანსური განვითარების ინდექსის ნაცვლად ხშირად ეყრდნობა ისეთ ფაქტორებს, როგორცაა კერძო კრედიტების ფარდობა მთლიან სამამულო პროდუქტთან ან კაპიტალის ბაზრის კაპიტალიზაცია მთლიან სამამულო პროდუქტთან. თუმცა, არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს ფინანსური განვითარების მრავალმხრივ ბუნებას. სწორედ ამიტომ, ჩვენ არჩევანი სწორედ

³⁰ ჰერითიჯ ფაუნდეიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - <https://www.heritage.org/index/explore>

³¹ მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა - <https://data.worldbank.org/>

ფინანსური განვითარების ინდექსზე შევაჩერეთ, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად არიან განვითარებულნი ფინანსური ინსტიტუტები და ფინანსური ბაზრები მათი ზომისა და ლიკვიდობიდან გამომდინარე. ასევე, როგორია წვდომა ფინანსურ სერვისებზე და რამდენად ეფექტიანია ფინანსური ბაზრები. უფრო დეტალურად თუ რა კომპონენტებისგან შედგება ფინანსური განვითარების ინდექსი. (იხილეთ დიაგრამა 3.1)

დიაგრამა 3.1 ფინანსური განვითარების ინდექსის სტრუქტურა



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

<https://data.imf.org/?sk=F8032E80-B36C-43B1-AC26-493C5B1CD33B>

მეორე ცვლადი, რომელიც ასევე გავითვალისწინებ ჩვენს მოდელში არის კაპიტალის მარაგი მოსახლეობის ერთ სულზე. აღნიშნული ფაქტორის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია აღებულია გრონინგენის ზრდისა და განვითარების ცენტრის მონაცემთა ბაზიდან, რომელიც წარმოადგენს გრონინგენის უნივერსიტეტის შიგნით არსებულ კვლევით სუბიექტს.

კაპიტალი, როგორც წარმოების ერთ-ერთი ფაქტორი თავისთავად წარმოადგენს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების უმთავრეს ინდიკატორს. ძალიან ზოგადი განმარტებით, ის დაკავშირებულია ეკონომიკაში არსებულ ისეთ აქტივებთან,

რომელიც გამოიყენება ან შესაძლებელია გამოყენებული იყოს წარმოების პროცესში. მაგალითად პროფესორი საიმონ კუზნეცი (Kuznets, 1961), პროფესორი რაგნარ ნურსე (Nurkse, 1953) და სხვანი, საკუთარ ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ კაპიტალი ცენტრალურ როლს იკავებს ეკონომიკურ განვითარებაში, ხელს უწყობს რა რიგი ფაქტორების სტიმულირებას, მაგალითად, მწარმოებლობის ზრდა მოსახლეობის ერთ სულზე, ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა და ა.შ.

ამდენად, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ასახსნელად მოდელში გამოვიყენებთ სამ ცვლადს, კაპიტალის მარაგი მოსახლეობის ერთ სულზე, ფინანსური განვითარების ინდექსი და ჰერიტიჯ ფაუნდიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. როგორც შერჩეული ფაქტორებიდან ვხედავთ, მოსახლეობის რაოდენობით არის სტანდარტიზებული როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტი, ასევე კაპიტალის მარაგი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს იმას, რომ მოდელი სამუშაო ძალის გავლენასაც მოიცავს.

რაც შეეხება კორელაციური კავშირების გამოვლენას ეკონომიკურ თავისუფლებასა და ინვესტიციებს, უმუშევრობასა და ინფლაციას შორის, ამ შემთხვევაში დავეყრდნობით მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზებს.

ემპირიული კვლევისთვის შესაბამისი ეკონომეტრიკული მოდელის შერჩევა და შეფასება. ზემოაღნიშნული ცვლადებისგან შედგენილი გვაქვს $n \times T$ განზომილების პანელი, სადაც n გვიჩვენებს დაკვირვების ობიექტების (ანუ ქვეყნების) რაოდენობას, ხოლო T მთლიანად პანელის სიგრძეს.

ცხრილში 3.1 იხილეთ მოდელში ჩართული ცვლადები და მათი შესაბამისი აღნიშვნები, რომელიც გამოიყენებულია მოდელირების სხვადასხვა ეტაპზე.

ცხრილი 3.1 მოდელის ცვლადების აღწერა

ცვლადის დასახელება	ცვლადის აღნიშვნა მოდელში
მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (ლოგარითმი)	GDP
კაპიტალის მარაგი მოსახლეობის ერთ სულზე (ლოგარითმი)	K

ფინანსური თავისუფლების ინდექსი	FDI
პერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	FI
ქვეყნის საიდენტიფიკაციო ნომერი	Country_id
წლის საიდენტიფიკაციო ნომერი	Year_id

წყარო: ავტორის გამოთვლები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევისათვის შეირჩა 20 ქვეყანა, ხოლო საკვლევო პერიოდი მოიცავს 24 წელიწადს, 1995 წლიდან 2018 წლამდე³². ამდენად, მოცემულია 20 × 24 განზომილებიანი პანელი, რომელიც:

1. ფიქსირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული დროის ინტერვალისთვის განხილულია ერთი და იგივე ქვეყნები;
2. დაბალანსებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიცავს იმ ოდენობით გამოტოვებულ დაკვირვების წერტილებს, რაც ხელს შეუშლიდა ანალიზის ჩატარებას.

ცხრილი 3.2-ში მოცემულია ინფორმაცია, მოდელის ასაგებად შერჩეულ ცვლადებზე.

ცხრილი 3.2 ინფორმაცია მოდელში ჩართულ ცვლადებზე

ცვლადი		საშუალო	სტანდ. გადახრა	მინიმუმი MIN	მაქსიმუმი MAX	დაკვირვების წერტილები
GDP	Overall	8.55736	0.913454	6.282189	10.05725	N = 480
	between		0.8652	6.676498	9.790376	n = 20
	within		0.348957	7.596944	9.311908	T = 24
K	overall	10.51866	0.979857	8.33	12.12273	N = 460
	between		0.975874	8.637238	12.02832	n = 20
	within		0.23116	9.826251	11.34822	T = 23

³² ზოგიერთ ქვეყნისთვის დაკვირვების პერიოდი მოიცავს 23 წელს თუმცა მთლიანობაში პანელის დაბალანსების ხარისხზე აღნიშნული გავლენას არ ახდენს.

FDI	overall	24.58109	12.43397	2.56	56.4	N = 477
	between		11.31626	9.654167	47.24583	n = 20
	within		5.737145	7.426923	39.76442	T-bar = 23.8533
FI	overall	58.34978	10.37241	30	79.1	N = 462
	between		8.775978	43.34286	74.72083	n = 20
	within		5.890264	34.50631	71.78728	T-bar = 23.1

წყარო: ავტორის გამოთვლები

სადაც:

- N - არის ჯამური დაკვირვების წერტილების რაოდენობა;
- n - დაკვირვებების ობიექტების რაოდენობა (20 ერთეული თითოეული ქვეყნისთვის);
- T - პანელის სიგრძე, დროით განზომილებაში დაკვირვების რაოდენობა (24 წერტილი თითოეული ქვეყნისთვის).

პანელის ანალიზის და მოდელირების პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს მისი შემადგენელი თითოეული ცვლადის ქცევის შესწავლა. კერძოდ აღნიშნულ ეტაპზე აუცილებელია შეფასდეს მოცემული სერიების სტაციონარობის საკითხი. მოცემულ კვლევაში პანელის შემადგენელი ცვლადების სტაციონარობა შემოწმდა ერთეულოვანი ფესვის დიკი-ფულერის დაზუსტებულ ტესტზე დაფუძნებული ფიშერის ტესტით (Fisher-type unit-root test Based on augmented Dickey-Fuller tests) (Choi, 2001) და ლაგრანჟის მულტიპლიკატორზე დაფუძნებული ჰადრის ტესტით (Hadri LM test) (Hadri, 2000). ორივე ტესტი მიუთითებს იმაზე, რომ მოცემული პანელი შეიცავს ცვლადების არასტაციონალურ სერიებს (იხ. დანართი 3). კერძოდ, ფიშერის ტესტის მიხედვით მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (GDP), კაპიტალის

³³ T-bar აღნიშნავს გამოტოვებულ დაკვირვების წერტილების არსებობას თუმცა აღნიშნული გამოტოვებები მთლიანობაში პანელის დაბალანსებულობაზე გავლენას ვერ ახდენს.

მარაგი მოსახლეობის ერთ სულზე (K) და ფინანსური განვითარების ინდექსი (FDI) წარმოადგენს არასტაციონალურ, ხოლო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (FI) სტაციონალურ სერიას. ჰადრის ტესტის მიხედვით, GDP და კაპიტალი წარმოადგენს არასტაციონალურ სერიებს, თუმცა ამავე ტესტით ვერ მოხერხდა სტაციონალურობის შემოწმება ფინანსური განვითარების ინდექსისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსისთვის, რადგან ამ სერიებში რამდენიმე გამოტოვებაა (ტესტი მოითხოვს სრულფასოვნად დაბალანსებულ მონაცემებს). ვინაიდან, ჩატარებული ტესტები მიუთითებს პანელის არასტაციონალურობაზე, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შემდეგ ეტაპს წარმოადგენს აღნიშნული პანელის შემადგენელი ცვლადების კოინტეგრაციის შემოწმება.

პანელის კოინტეგრაციის შემოწმებისთვის კვლევაში გამოყენებული იქნა კაოს ნარჩენობითი წევრის კოინტეგრაციის ტესტი (Kao Residual Cointegration Test) (Kao, 1999) და იოჰანეს-ფიშერის პანელის კოინტეგრაციის ტესტი (Johansen-Fisher Panel Cointegration Test) (მაგ. Johansen, 1988; Maddala & Shaowen, 1999). ორივე ტესტი მიუთითებს აღნიშნული პანელის ძლიერი კოინტეგრაციის ხარისხზე (იხ. დანართი 3), რაც პანელში შემავალ ცვლადებს შორის ძლიერი გრძელვადიანი ურთიერთკავშირის არსებობას გულისხმობს.

პანელის ფორმირების შემდეგ, კვლევის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს მოდელის შერჩევა, რომლითაც პანელში მოცემული მონაცემების ურთიერთკავშირების შეფასება მოხდება. მოდელის შერჩევის პროცესში განვიხილავთ სამ ალტერნატივას, კერძოდ:

1. ფიქსირებული ეფექტის მოდელს (Fixed effect model);
2. შემთხვევითი ეფექტის მოდელს (Random effect model);
3. სტანდარტულ წრფივ რეგრესიას (Pooled Ordinary Least Square estimation).

ვინაიდან, კვლევაში განვიხილავთ პანელურ მონაცემებს, რომელშიც გაერთიანებულია სივრცითი და დროითი მონაცემები, სავარაუდოა, რომ დაკვირვების ცალკეული ობიექტისთვის ან/და დროის პერიოდისთვის არსებობს ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც მონაცემთა ჰეტეროგენულობას

გულისხმობს. მსგავსი მონაცემების მოდელირება შესაძლებელია ფიქსირებული ან შემთხვევი ეფექტის მოდელების გამოყენებით.

ფიქსირებული ეფექტის მოდელის პირობებში დაკვირვები ობიექტებს ან/და დროის პერიოდებს შორის ჰეტეროგენულობის მოდელირება ხდება რეგრესიის მუდმივ წევრში აღნიშნული ჰეტეროგენულობის შესაბამისი კომპონენტის ასახვით, ხოლო შემთხვევითი ეფექტის მოდელის შემთხვევაში, ჰეტეროგენულობის კომპონენტი აისახება შემთხვევით წევრში. კერძოდ, აღნიშნულ მოდელებს შემდეგი ეკონომეტრიკული ფორმა გააჩნია:

$$y_{it} = (a + u_t + u_i) + \beta \sum_1^n X_{it} + v_{it} - \text{ფიქსირებული ეფექტის მოდელი}$$

$$y_{it} = a + \beta \sum_1^n X_{it} + (u_t + u_i + v_{it}) - \text{შემთხვევითი ეფექტის მოდელი}$$

სადაც:

y_{it} - წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს;

a - წარმოადგენს რეგრესიის მუდმივ წევრს;

u_t - წარმოადგენს დროის პერიოდების მიხედვით ჰეტეროგენულობის ამსახველ კოეფიციენტს;

u_i - წარმოადგენს დაკვირვების ობიექტების მიხედვით ჰეტეროგენულობის ამსახველ კოეფიციენტს;

X_{it} - წარმოადგენს ამხსნელ ცვლადს;

β - წარმოადგენს ამხსნელი ცვლადის შესაბამის კოეფიციენტს;

v_{it} - წარმოადგენს ნარჩენობით წევრს (შემთხვევითი კომპონენტი).

აღსანიშნავია, რომ პანელური მონაცემების მოდელირებისას ერთ-ერთ ხშირად დაშვებულ შეცდომას წარმოადგენს აუცილებლად ფიქსირებული ან შემთხვევითი ეფექტის მოდელის გამოყენება. სინამდვილეში, პანელის მახასიათებლებიდან გამომდინარე შესაძლოა სტანდარტული წრფივი რეგრესიის მოდელი (Pooled OLS) უკეთ ასახავდეს პანელში არსებულ ურთიერთკავშირებს.³⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე მოდელის შერჩევის პროცესში ფიქსირებული და შემთხვევითი


³⁴ „Practical Guides To Panel Data Modeling: A Step by Step Analysis Using Stata“, Hun Myoung Park, 2011 <https://www.iuj.ac.jp/faculty/kucc625/>

ეფექტის მოდელების პარალელურად ასევე განვიხილავთ სტანდარტული წრფივი რეგრესიით (Pooled OLS) მოცემული პანელის მოდელირების შესაძლებლობის საკითხს, ვინაიდან თუკი ინდივიდუალური ეფექტი (კროს-სექციური ან დროითი პერიოდის მიხედვით) არ არსებობს (ანუ u_i და $u_t = 0$), ამ შემთხვევაში უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული სტანდარტული წრფივი რეგრესია (Pooled OLS) იძლევა ეფექტიან და შესაბამის (consistent) შეფასებას (Park, 2011).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ კვლევაში, პანელის მოდელირებისთვის შესაფერისი მოდელის შერჩვის პროცესი წარმართული იქნება ქვემოთ მოცემული დიაგრამა 3.2 შესაბამისად.

სქემაზე მოცემული პროცესის პირველ ეტაპზე, ცალ-ცალკე ვაფასებთ ფიქსირებული (Fixed effect) და შემთხვევითი (Random effect) ეფექტების მოდელებს და ვახდენთ მიღებული მოდელების შედარებას სტანდარტული წრფივი რეგრესიის მოდელით (Pooled OLS) მიღებულ შედეგებთან უპირატესი მოდელის გამოსავლენად.

დიაგრამა 3.2 პანელის მოდელირებისთვის შესაფერისი მოდელის შერჩვის პროცესი



წყარო: „Practical Guides To Panel Data Modeling: A Step by Step Analysis Using Stata“, Hun Myoung Park, 2011. <https://www.uj.ac.jp/faculty/kucc625/>

ქვეყნების მიხედვით ფიქსირებული ეფექტის მოდელი. მოდელის შეფასების პროცესში, პანელის შემადგენელი ჯგუფების განმსაზღვრელ ცვლადად ვიყენებთ Country_id ცვლადს. მოდელში დამოკიდებულ ცვლადად ვიყენებთ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ლოგარითმს (GDP), ხოლო ამხსნელ ცვლადებად მოსახლეობის ერთ სულზე კაპიტალის მარაგის ლოგარითმს (K), ფინანსური განვითარების ინდექსს (FDI) და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს (FI). შეფასებული მოდელი იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილი 3.3-ში.

ცხრილი 3.3 ქვეყნების მიხედვით ფიქსირებული ეფექტის მოდელის შეფასება

Fixed-effects (within) regression				Number of obs	=	442
Group variable: country_id				Number of groups	=	20
R-sq: within	=	0.8080	obs per group: min	=	20	
between	=	0.8497	avg	=	22.1	
overall	=	0.8393	max	=	23	
corr(u_i, xb)	=	-0.2712	F(3, 419)	=	587.80	
			Prob > F	=	0.0000	
GDP	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
K	.7094765	.0432388	16.41	0.000	.6244845	.7944685
FDI	.0187605	.0016206	11.58	0.000	.0155749	.0219461
FI	.0121554	.0017843	6.81	0.000	.0086481	.0156627
_cons	-.0716805	.3980823	-0.18	0.857	-.8541677	.7108068
sigma_u	.3449532					
sigma_e	.1470793					
rho	.84617021	(fraction of variance due to u_i)				
F test that all u_i=0:			F(19, 419) =	104.96	Prob > F = 0.0000	

წყარო: ავტორის გამოთვლები

შეფასებული მოდელი F სტატისტიკასა და ინდივიდუალური კოეფიციენტების შესაბამის P-Value-ებზე დაყრდნობით სტატისტიკური მნიშვნელოვნების მაღალ

ხარისხზე მიუთითებს. მოდელში ქვეყანათა შორის რაიმე ეფექტის არსებობა (რომელსაც მოცემული მოდელი განიხილავს ფიქსირებულად) ასევე ფასდება F ტესტით. აღნიშნული ტესტის მეშვეობით შეფასებული ფიქსირებული ეფექტის მოდელის ამხსნელუნარიანობა უდარდება იმავე მონაცემებზე დაყრდნობით აგებულ სტანდარტულ წრფივი რეგრესიის მოდელის (Pooled OLS) ამხსნელუნარიანობას. გამომდინარე იქიდან, რომ რეგრესიის ფარგლებში შეფასებულ F ტესტში ნულოვან ჰიპოთეზას წარმოადგენს ქვეყანათაშორის ჰეტეროგენულობის არ არსებობა (ანუ $u_i=0$ რაც იმას ნიშნავს რომ სტანდარტული წრფივი რეგრესიის მოდელი უპირატესია ფიქსირებული ეფექტის მოდელზე) და F სტატისტიკაზე დაყრდნობით ვახდენთ აღნიშნული ჰიპოთეზის უარყოფას, შეგვიძლია დავასკვნათ რომ ფიქსირებული ეფექტის მოდელი უკეთ მიესადაგება პანელში მოცემულ მონაცემებს.

ფიქსირებული ეფექტის მოდელი დროის პერიოდის მიხედვით. მოდელის შეფასების პროცესში, პანელის შემადგენელი ჯგუფების განმსაზღვრელ ცვლადად ვიყენებთ Year_id ცვლადს. მოდელში განხილული დანარჩენი ცვლადები ზედა მოდელში განხილულის ანალოგიურია. მოდელის შეფასება იხილეთ ცხრილი 3.4-ში.

ცხრილი 3.4 ფიქსირებული ეფექტის მოდელის შეფასება

Fixed-effects (within) regression				Number of obs	=	442
Group variable: Year_id				Number of groups	=	23
R-sq: within	=	0.8363	Obs per group: min	=	10	
between	=	0.9932	avg	=	19.2	
overall	=	0.8497	max	=	20	
corr(u_i, Xb)	=	0.2581	F(3, 416)	=	708.60	
			Prob > F	=	0.0000	
GDP	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
K	.5717076	.0225344	25.37	0.000	.527412	.6160031
FDI	.0180592	.0017885	10.10	0.000	.0145437	.0215748
FI	.0183307	.0018874	9.71	0.000	.0146207	.0220407
_cons	1.040396	.2144747	4.85	0.000	.6188063	1.461985
sigma_u	.04766476					
sigma_e	.35133288					
rho	.01807325	(fraction of variance due to u_i)				
F test that all u_i=0:			F(22, 416) =	0.31	Prob > F = 0.9989	

წყარო: ავტორის გამოთვლები

შეფასებული მოდელი წინა მოდელის მსგავსად F სტატისტიკასა და ინდივიდუალური კოეფიციენტების შესაბამის P-Value-ებზე დაყრდნობით სტატისტიკური მნიშვნელოვნების მაღალი ხარისხით ხასიათდება. ამასთანავე, განსხვავებით ქვეყნების მიხედვით ფიქსირებული ეფექტის მოდელისა, დროის პერიოდების მიხედვით ფიქსირებული ეფექტის არსებობა F ტესტზე დაყრდნობით არ დასტურდება, რაც იმას ნიშნავს რომ, მოცემული პანელი არ შეიცავს დროის პერიოდების მიხედვით რაიმე სახის ფიქსირებულ ეფექტებს და სტანდარტული წრფივი რეგრესის მოდელი იძლევა უკეთეს შედეგებს დროის პერიოდების მიხედვით ფიქსირებული ეფექტის მოდელთან შედარებით.

ქვეყნების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელი. მოდელის შეფასების პროცესში, პანელის შემადგენელი ჯგუფების განმსაზღვრელ ცვლადად ვიყენებთ Country_id ცვლადს. მოდელში განხილული ცვლადები ზედა მოდელებში განხილულის მსგავსად არის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ლოგარითმი (GDP), მოსახლეობის ერთ სულზე კაპიტალის მარაგის ლოგარითმი (K), ფინანსური განვითარების ინდექსი (FDI) და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (FI). ამასთანავე მოდელის შესაფასებლად წინა მოდელისგან განსხვავებით გამოიყენება **FGLS (Feasible General Least Square) მეთოდი.** (იხ. ცხრილი 3.5)

ცხრილი 3.5 ქვეყნების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელის შეფასება

Random-effects GLS regression		Number of obs	=	442		
Group variable: Country_id		Number of groups	=	20		
R-sq: within	= 0.8079	Obs per group: min	=	20		
between	= 0.8519	avq	=	22.1		
overall	= 0.8417	max	=	23		
Random effects u_i ~ Gaussian		wald chi2(3)	=	1863.47		
corr(u_i, X) = 0 (assumed)		Prob > chi2	=	0.0000		
GDP	Coef.	Std. Err.	z	P> z	[95% Conf. Interval]	
K	.6838841	.0391381	17.47	0.000	.6071747	.7605934
FDI	.0187485	.0015923	11.77	0.000	.0156276	.0218694
FI	.0129296	.0017017	7.60	0.000	.0095945	.0162648
_cons	.1534312	.3691884	0.42	0.678	-.5701647	.8770271
sigma_u	.34553969					
sigma_e	.1470793					
rho	.84661193	(fraction of variance due to u_i)				

წყარო: ავტორის გამოთვლები

შეფასებულ მოდელის მნიშვნელოვნების საერთო ხარისხი, ფიქსირებული ეფექტის მოდელისგან განსხვავებით ფასდება χ^2 სტატისტიკა

აზე დაყრდნობით. აღნიშნული სტატისტიკის და ინდივიდუალური კოეფიციენტების შესაბამისი P-Value-ები მოდელის სტატისტიკური მნიშვნელოვნების მაღალი ხარისხზე მიუთითებს.

ამასთანავე, განსხვავებით ფიქსირებული ეფექტის მოდელისა, შემთხვევითი ეფექტის შეფასებულ მოდელში ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენად უკეთ ერგება იგი განხილულ პანელს სტანდარტულ წრფივ რეგრესიასთან (Pooled OLS) შედარებით ცხადი სახით წარმოდგენილი არ არის. მიუხედავად ამისა, შეფასებულ მოდელში წარმოდგენილია შემთხვევითი წევრის სტანდარტული გადახრის დეკომპოზიცია, რომელშიც ქვეყნების მიხედვით ფორმირებულ შემთხვევით წევრზე (რომელიც მოდელში წარმოდგენილია ცვლადით - rho) მთლიანი შემთხვევითი წევრის 84.66% მოდის. აღნიშნული მაჩვენებელი სტანდარტული წრფივი რეგრესიის (Pooled OLS) მოდელთან შედარებით, შემთხვევითი ეფექტის მოდელის უპირატესობაზე მეტყველებს.

უფრო ფორმალიზებულ ტესტს აღნიშნულ მოდელებიდან უპირატესის გამოსავლენად წარმოადგენს ბრეუშ-პაგანის ლაგრანჟის მულტიპლიკატორზე დაფუძნებული LM ტესტი (ბრეუშ-პაგანის ლაგრანჟის მულტიპლიკატორზე დაფუძნებული LM ტესტის გამოყენების მიზანშეწონილობა ეფუძნება სამეცნიერო წრეებში ფართოდ დამკვიდრებულ სახელმძღვანელო პრინციპებს, მაგ. Park, 2011; Torres-Reyna, 2007). აღნიშნული ტესტის შედეგები ქვეყნების მიხედვით შემთხვევით ეფექტების მოდელისთვის მოცემულ დანართი 3-ში.

დროის პერიოდების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელი. მოდელის შეფასების პროცესში, პანელის შემადგენელი ჯგუფების განმსაზღვრელ ცვლადად ვიყენებთ Year_id ცვლადს. მოდელში განხილული ცვლადები ზედა მოდელებში განხილულის ანალოგიურია. მოდელის შეფასება იხილეთ ცხრილი 3.6-ში.

ცხრილი 3.6 დროის პერიოდების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელის შეფასება

Random-effects GLS regression		Number of obs	=	442		
Group variable: Year_id		Number of groups	=	23		
R-sq: within = 0.8361		Obs per group: min	=	10		
between = 0.9926		avg	=	19.2		
overall = 0.8499		max	=	20		
Random effects u_i ~ Gaussian		wald chi2(3)	=	2479.47		
corr(u_i, X) = 0 (assumed)		Prob > chi2	=	0.0000		
GDP	Coef.	Std. Err.	z	P> z	[95% Conf. Interval]	
K	.5663252	.021801	25.98	0.000	.523596	.6090544
FDI	.0191328	.0016931	11.30	0.000	.0158145	.0224511
FI	.0194474	.0017378	11.19	0.000	.0160414	.0228533
_cons	1.005768	.2092805	4.81	0.000	.5955859	1.41595
sigma_u	0					
sigma_e	.35133288					
rho	0	(fraction of variance due to u_i)				

წყარო: ავტორის გამოთვლები

აღნიშნული მოდელი შემთხვევითი ეფექტის წინა მოდელის მსგავსად χ^2 სტატისტიკის და შეფასებული კოეფიციენტების შესაბამისი P-Value-ებს მიხედვით სტატისტიკური მნიშვნელოვნების მაღალ ხარისხს ავლენს. ამასთანავე, განსხვავებით წინა მოდელისგან, რეგრესიის შემთხვევითი წევრის ვარიაციაში დროის პერიოდების მიხედვით შემთხვევითი კომპონენტის ვარიაციის წილი უმნიშვნელოა, რაც დროის პერიოდების მიხედვით შემთხვევითი ეფექტის მოდელის განხილულ პანელურ მონაცემებზე მორგების დაბალ პოტენციალზე მიუთითებს. მსგავს შედეგს გვაძლევს პერიოდების მიხედვით შემთხვევითი ეფექტების არსებობის შემოწმების ბრეუმ პაგანის ლაგრანჟის მულტიპლიკატორზე დაფუძნებული LM ტესტი (იხ. დანართი 2).

მთლიანობაში რეგრესიის შემთხვევითი წევრის ვარიაციის ანალიზისა და ბრეუმ პაგანის ლაგრანჟის მულტიპლიკატორზე დაფუძნებული LM ტესტის ფარგლებში მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემთხვევითი ეფექტის მოდელი, ქვეყნების მიხედვით შემთხვევითი ეფექტების გათვალისწინებით უკეთ აღწერს მოცემულ კვლევაში განხილულ ურთიერთკავშირებს ვიდრე სტანდარტული წრფივი რეგრესიის მოდელი.

ჰაუსმანის ტესტი ფიქსირებულ და შემთხვევით ეფექტის მოდელს შორის უპირატესობის გამოსავლენად. როგორც ფიქსირებულ, ასევე შემთხვევითი ეფექტის მოდელების შესაბამისი ტესტები გვიჩვენებს, რომ ქვეყნების მიხედვით მონაცემები ჰეტეროგენულია, ხოლო წლების მიხედვით ჰომოგენური, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოყენებული უნდა იქნას ცალმხრივად ფიქსირებული (One-way fixed) ან ცალმხრივად შემთხვევითი ეფექტის (One-way random) მქონე მოდელი, მაგრამ არა სტანდარტული წრფივი რეგრესიის (Pooled OLS) მოდელი.³⁵

როგორც ზემოთ აღნიშნა, ორივე მოდელი სტატისტიკური მნიშვნელოვნების მაღალი ხარისხით ხასიათდება. ასევე, ორივე მოდელის ფარგლებში განხილულია ქვეყნების მიხედვით არსებული ჰეტეროგენულობა, თუმცა აღნიშნული ჰეტეროგენულობის ხასიათი უფრო მეტად ფიქსირებული ეფექტის მქონეა თუ უფრო მეტად შემთხვევითი ეფექტის მქონე ფასდება ჰაუსმანის χ^2 განაწილებაზე დაფუძნებული ტესტით. მოცემულ კვლევაში აღნიშნული საკითხის დასადგენად სწორედ ამ ტესტს გამოვიყენეთ. ტესტის შედეგები მოცემულია ცხრილი 3.7-ში.

ცხრილი 3.7 ჰაუსმანის χ^2 განაწილებაზე დაფუძნებული ტესტი

	Coefficients		(b-B) Difference	sqrt(diag(V_b-V_B)) S.E.
	(b) fixed	(B) random		
K	.7094765	.6838841	.0255925	.0183793
FDI	.0187605	.0187485	.000012	.0003016
FI	.0121554	.0129296	-.0007742	.0005367

b = consistent under Ho and Ha; obtained from xtreg
 B = inconsistent under Ha, efficient under Ho; obtained from xtreg

Test: Ho: difference in coefficients not systematic

chi2(3) = (b-B)' [(V_b-V_B)^(-1)] (b-B)
 = 2.27
 Prob>chi2 = 0.5179

წყარო: ავტორის გამოთვლები

³⁵ მოცემულ შემთხვევაში, როგორც ფიქსირებული, ისე შემთხვევითი ეფექტის მოდელისთვის ცალმხრივობა გულისხმობს იმას, რომ მოდელი მხედველობაში იღებს ქვეყნების მიხედვით მონაცემთა ჰეტეროგენულობას, მაგრამ არა დროის პერიოდების მიხედვით ჰეტეროგენულობას მისი არარსებობის გამო.

ჰაუსმანის ტესტში ნულოვანი ჰიპოთეზას წარმოადგენს ფიქსირებული ეფექტის არ არსებობა (რაც შემთხვევითი ეფექტის არსებობის ექვივალენტურია). ტესტის ფარგლებში შეფასებული χ^2 სტატისტიკის შესაბამის P-value-ზე დაყრდნობით ვერ ვახდენთ ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფას, რაც იმას ნიშნავს რომ განხილულ ორ მოდელს შორის შემთხვევითი ეფექტის მოდელი უკეთ აღწერს პანელში არსებულ მონაცემებს შორის ურთიერთკავშირს. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ჩატარებული ტესტებზე დაყრდნობით, მოცემულ პანელში ქვეყნებს შორის არსებული ნებისმიერი ჰეტეროგენულობა ასახული უნდა იქნას რეგრესიის შემთხვევით წევრში განცალკევებულ კომპონენტად.

კვლევაში განხილული პანელური მონაცემების შესაბამისი მოდელის შერჩევის და მისი სპეციფიკაციის შემდეგ მნიშვნელოვანია რამდენიმე დიაგნოსტიკის ტესტის ჩატარება, რაც აღნიშნულ მოდელზე დაყრდნობით პრაქტიკული დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგვცემს. მოცემული დიაგნოსტიკის ტესტების შედეგები წარმოდგენილია დანართი 3-ში, ხოლო აღნიშნული ტესტების ფარგლებში მიღებული შედეგების შესაბამისად შესწორებული მოდელი მოცემულია ცხრილი 3.8-ში.

ცხრილი 3.8 დიაგნოსტიკის ტესტების შესაბამისად შესწორებული მოდელი

Random-effects GLS regression		Number of obs	=	442		
Group variable: Country_id		Number of groups	=	20		
R-sq: within	= 0.8079	obs per group: min	=	20		
between	= 0.8519	avg	=	22.1		
overall	= 0.8417	max	=	23		
Random effects $u_i \sim \text{Gaussian}$		wald chi2(3)	=	147.90		
corr(u_i, X) = 0 (assumed)		Prob > chi2	=	0.0000		
(Std. Err. adjusted for 20 clusters in Country_id)						
GDP	Coef.	Robust Std. Err.	z	P> z	[95% Conf. Interval]	
K	.6838841	.1334151	5.13	0.000	.4223952	.9453729
FDI	.0187485	.0046137	4.06	0.000	.0097058	.0277913
FI	.0129296	.0028678	4.51	0.000	.0073088	.0185504
_cons	.1534312	1.320473	0.12	0.907	-2.434649	2.741511
sigma_u	.34553969					
sigma_e	.1470793					
rho	.84661193	(fraction of variance due to u_i)				

წყარო: ავტორის გამოთვლები

დიაგნოსტიკის ტესტებზე დაყრდნობით (იხ. დანართი 3) შესწორებული მოდელის საფუძველზე, კვლევაში განხილულ ეკონომიკურ სიდიდეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი განტოლება შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$\text{GDP} = 0.6839K + 0.0188\text{FDI} + 0.0129\text{FI} + (U_i + e_i)$$

გამომდინარე იქიდან, რომ რეგრესიის მუდმივი წევრი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა მას ზემოხსენებულ განტოლებაში აღარ ვითვალისწინებთ. შეფასებული მოდელის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობას უმთავრესად განაპირობებს მოსახლეობის ერთ სულზე კაპიტალის მარაგი, დანარჩენი ორი ფაქტორის როლი კი შედარებით მცირეა. კერძოდ, კაპიტალის ერთი პროცენტით ცვლილება მთლიანი სამამულო პროდუქტის 0.6839 პროცენტით ცვლილებას იწვევს, ფინანსური განვითარების ინდექსის ერთი ერთეულით ცვლილება კი 0.0188 პროცენტით. რაც შეეხება ეკონომიკურ თავისუფლების ინდექსს, მისი გავლენა შედარებით მცირეა და კვლევაში შერჩეული ქვეყნების შემთხვევაში, მისი ერთი ერთეულით ცვლილება მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობას მხოლოდ 0.0129 პროცენტით ცვლის. აღსანიშნავია, რომ მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასებული პარამეტრების მნიშვნელობები კვლევაში განხილული ყველა ქვეყნისთვის საერთოა და განხილულ ქვეყნებს შორის არსებული ჰეტეროგენულობა მთლიანად ასახულია შემთხვევით წევრში U_i კომპონენტის სახით.

ეკონომიკური თავისუფლების გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (საქართველოს მაგალითზე). მოცემულ კვლევაში ასევე განვიხილავთ მთლიან სამამულო პროდუქტზე ეკონომიკური თავისუფლებისა და სხვა ფაქტორების გავლენას საქართველოსთვის განცალკევებულად. აღნიშნულისთვის ამხსნელ ცვლადებად გამოვიყენებთ გალოგარითმებულ კაპიტალის მარაგს მოსახლეობის ერთ სულზე, ეკონომიკური

თავისუფლების ინდექსს, ფინანსური განვითარების ინდექსს და მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორის ცვლილების მაჩვენებელს.

აღნიშნულ ნაწილში ზემოხსენებული სიდიდეების მთლიან სამამულო პროდუქტზე გავლენას შევაფასებთ როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი პერიოდისთვის Error Correction მოდელით.

გრძელვადიანი მოდელს შემდეგი სახე აქვს:

$$\log(GDP) = \alpha_0 + \alpha_1 FRID + \alpha_2 LOG(Capital)(-1) + \alpha_3 FINDEV + \varepsilon_t$$

სადაც $\log(GDP)$ წარმოადგენს მთლიანი სამამულო პროდუქტის ლოგარითმს მოსახლეობის ერთ სულზე;

FRID - წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს;

LOG(Capital) - გალოგარითმებული კაპიტალის მარაგი მოსახლეობის ერთ სულზე;

FINDEV - ფინანსური განვითარების ინდექსი;

ε_t - შემთხვევითი წევრი.

გრძელვადიანი განტოლების სისტემური ნაწილი ახასიათებს პოტენციურ გამოშვებას. პოტენციური გამოშვება არის გამოშვების ის ნაწილი, რომელიც განისაზღვრება მოცემული ტექნოლოგიითა და კაპიტალის არსებული მარაგით. მოცემულ განტოლებაში, ტექნოლოგია დახასიათებულია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსითა და ფინანსური განვითარების ინდექსით.

მოდელის ფარგლებში გრძელვადიანი კავშირის დასადგენად ამხსნელ ცვლადებად გამოვიყენებთ კაპიტალის მარაგს³⁶ მოსახლეობის ერთ სულზე, თავისუფლების ინდექსს და ფინანსური განვითარების ინდექსს. აღნიშნული ცვლადების გამოყენება ეფუძნება იმ დაშვებას, რომ მათი კომბინაცია ერთობლიობაში განსაზღვრავს მთლიანი სამამულო პროდუქტის ტრენდს. გრძელვადიანი განტოლების ნარჩენობითი წევრი თავის მხრივ გამოყენებული იქნება მთლიანი სამამულო პროდუქტის პოტენციური დონიდან გადახრების კორექტირების სისწრაფის შესაფასებლად, თუ რა წვლილი შეაქვს ჩამოთვლილ ცვლადებს მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოვებაში მის პოტენციურ

³⁶ კაპიტალის მარაგი მოცემულია თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს მარაგის ნაშთს.

დონესთან. თავის მხრივ ტრენდის გარშემო მოკლევადიანი გადახრების განმსაზღვრელ ფაქტორებად გამოყენებული იქნება კაპიტალის მარაგის დიფერენციალი და მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორის პროცენტული ცვლილება, რომელიც ეკონომიკური აქტივობის ხარისხის ერთ-ერთ გამომხატველ სიდიდეს წარმოადგენს (მაღალი ეკონომიკური აქტივობისთვის, რაც მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდას იწვევს როგორც წესი დამახასიათებელია მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორის გაზრდილი დონე. სხვა თანაბარ პირობებში, მთლიანი სამამულო პროდუქტის მაღალი დეფლატორი, ანუ მაღალი ინფლაცია დამახასიათებელია მოთხოვნის დადებით, ან მიწოდების უარყოფით შოკთან. ამ შემთხვევაში, მოკლევადიან განტოლებაში მისი ჩართვის ლოგიკა ეფუძნება მოთხოვნის შოკის ეფექტის აღწერას).

უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული გრძელვადიანი განტოლება იხილეთ ცხრილი 3.9-ში.

ცხრილი 3.9 გრძელვადიანი განტოლების შეფასება

Dependent Variable: LOG(GDP)

Method: Least Squares

Date: 10/04/20 Time: 18:56

Sample (adjusted): 1996 2018

Included observations: 23 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
C	-11.66563	4.989808	-2.337891	0.0305
FRID	0.014638	0.005244	2.791084	0.0116
FINDEV	0.001205	0.005193	0.232018	0.8190
LOG(CAPITAL(-1))	1.892520	0.543019	3.485181	0.0025
R-squared	0.982707	Mean dependent var		7.876545
Adjusted R-squared	0.979977	S.D. dependent var		0.421100
S.E. of regression	0.059587	Akaike info criterion		-2.645998
Sum squared resid	0.067461	Schwarz criterion		-2.448520
Log likelihood	34.42897	Hannan-Quinn criter.		-2.596333
F-statistic	359.9125	Durbin-Watson stat		0.687175
Prob(F-statistic)	0.000000			

წყარო: ავტორის გამოთვლები

შეფასებულ მოდელს შემდეგი სახე ექნება:

$$\log(\text{GDP}) = -11.67 + 0.014\text{FRID} + 1.89\text{LOG}(\text{Capital})(-1) + 0.001\text{FINDEV} + e$$
$$e \sim \text{AR}(1)$$

როგორც მოდელი აჩვენებს კაპიტალის მარაგი მოსახლეობის ერთ სულზე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთლიანი სამამულო პროდუქტის ტრენდს მოსახლეობის ერთ სულზე. შედარებით მცირეა ეკონომიკური თავისუფლების გავლენა, ხოლო ფინანსური განვითარების ინდექსი t სტატისტიკის მიხედვით სტატისტიკურად უმნიშვნელოა. მთლიანობაში, დეტერმინაციის კოეფიციენტი და F სტატისტიკა მოდელის მაღალი მნიშვნელოვნების ხარისხზე მიუთითებენ. (მოცემული მოდელის დიაგნოსტიკის ტესტები იხილეთ დანართი 2-ში).

ზემოხსენებული განტოლების შეფასების შემდეგ, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რომ შეფასებულ მოდელში მიღებული შედეგები არის მდგრადი. როდესაც არსებობს კორელაცია გარკვეულ ცვლადებს შორის გრძელვადიან პერიოდში, აუცილებელია შემოწმდეს თუ რამდენად მდგრადია ეს კავშირი. იმ შემთხვევაში, თუ ეს კავშირი საკმარისად ძლიერია, როდესაც გრძელვადიანი წონასწორობა ირღვევა, კორელირებული ცვლადები გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა დაუბრუნდნენ საწყის მდგომარეობას დამოუკიდებლად. გრძელვადიან პერიოდში დაკავშირებულ ფაქტორებს, არ გააჩნიათ მოკლევადიანი ეფექტები. ამდენად, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ცვლადები, რომლებსაც არ ექნებათ გრძელვადიანი ეფექტი, ასეთად კი მივიჩნევთ მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორს, გრძელვადიანი განტოლების სტრუქტურულ შოკებსა და ცვლილებას კაპიტალის მარაგში მოსახლეობის ერთ სულზე.

მოკლევადიან განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\Delta \log(\text{RealGDP}) = \beta_1 \text{ECT}(-1) + \beta_2 \Delta \text{LOG}(\text{Capital}) + \beta_3 (\text{DEFL}) + \epsilon$$

აღნიშნული განტოლების ფარგლებში, რომელშიც დამოკიდებული ცვლადი მთლიანი სამამულო პროდუქტის დიფერენციალია, შეფასებული ნარჩენობითი წევრის (ECT) კოეფიციენტი გვიჩვენებს წინა პერიოდში მთლიანი სამამულო პროდუქტის ტრენდიდან გადახრისას მიმდინარე პერიოდში ტრენდის დონეზე დაბრუნების სიჩქარეს. მთლიანი სამამულო პროდუქტის გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრების კორექტირების სიჩქარის და გადახრაზე მოქმედი ფაქტორების შეფასებული მოდელი იხილეთ ცხრილი 3.10-ში.

ამდენად, შეფასებულ მოკლევადიან განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\log(\text{RealGDP}) = -0.113ECT(-1) + 1.77DLOG(\text{Capital}) + 0.37DEFL$$

ცხრილი 3.10 მოკლევადიანი განტოლების შეფასება

Dependent Variable: DLOG(GDP)

Method: Least Squares

Date: 10/04/20 Time: 19:22

Sample (adjusted): 1997 2017

Included observations: 21 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
ECT(-1)	-0.112863	0.147889	-0.763164	0.4553
DLOG(CAPITAL)	1.773692	0.601990	2.946382	0.0086
DEFL	0.372036	0.189344	1.964866	0.0651
R-squared	0.273501	Mean dependent var		0.061433
Adjusted R-squared	0.192779	S.D. dependent var		0.037159
S.E. of regression	0.033386	Akaike info criterion		-3.829790
Sum squared resid	0.020063	Schwarz criterion		-3.680573
Log likelihood	43.21280	Hannan-Quinn criter.		-3.797406
Durbin-Watson stat	1.153678			

წყარო: ავტორის გამოთვლები

ემპირიულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ გრძელვადიან პერიოდში გვაქვს მდგრადი კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე. უკანასკნელმა მოდელმა აჩვენა, რომ ნებისმიერი

შოკი, რომელიც გამოიწვევს წონასწორობის დარღვევას სხვა თანაბარ პირობებში $t+1$ პერიოდში შემცირდება 11.3 პროცენტით, $t+2$ პერიოდში 11.3 x 11.3 პროცენტით და ამგვარად იგი გაქრება. ამასთანავე, მთლიანი სამამულო პროდუქტის გადახრას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კაპიტალის მარაგის ცვლილება, რაც წმინდა ინვესტიციების ექვივალენტურია, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორის ცვლილების ტემპი შედარებით ნაკლებად.

3.2 - კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებს შორის

ჩვენ უკვე ვაჩვენეთ თუ რა კავშირი არსებობს ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე, შერჩეული ქვეყნათა ჯგუფის მიხედვით. მთლიანი სამამულო პროდუქტი წარმოადგენს ეკონომიკის გამოშვების ფართოდ დამკვიდრებულ საზომს, რომელიც აღრიცხავს ეკონომიკური აქტივობების სრულ სპექტრს, გარდა ჩრდილოვანი ეკონომიკისა. თუ ეკონომიკური თავისუფლება გავლენას ახდენს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაზე, მაშინ ეს გვადლევს გონივრულ რწმუნებას რომ შესაძლებელია არსებობდეს კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ვაჩვენებთ დამოკიდებულებას ეკონომიკურ თავისუფლებასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორს შორის.


კორელაციური კავშირების გამოვლენაში ჩართული ქვეყნების ჯგუფი იდენტურია, ეკონომეტრიკულ მოდელში ჩართული ქვეყნებისა. იხილეთ შერჩეული ქვეყნების სრული ჩამონათვალი:

- | | |
|----------------|---------------|
| 1. აზერბაიჯანი | 11. უზბეკეთი |
| 2. ბელარუსი | 12. უკრაინა |
| 3. ესტონეთი | 13. ყაზახეთი |
| 4. თურქმენეთი | 14. ყირგიზეთი |
| 5. ლატვია | 15. პოლონეთი |
| 6. ლიეტუვა | 16. ბულგარეთი |
| 7. მოლდოვა | 17. ჩეხეთი |
| 8. რუსეთი | 18. რუმინეთი |
| 9. საქართველო | 19. სლოვაკეთი |
| 10. სომხეთი | 20. ხორვატია |

სტატისტიკურ ინფორმაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ, ისევე როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორის მაჩვენებლები აღებულია მსოფლიო ბანკის ოფიციალური მონაცემთა ბაზებიდან. ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლად, ამჯერადაც ავიღებთ ჰერიტიჯის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. დროის პერიოდად განისაზღვრება 1995-2020 წლები, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდზეა მოცემული სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაცია.

კორელაციის კოეფიციენტები შერჩეული ქვეყნების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 3.3-ზე.

დიაგრამა 3.3 კორელაციის კოეფიციენტები ეკონომიკურ თავისუფლებასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის ქვეყნების მიხედვით (1995-2020 წლები)



წყარო: მსოფლიო ბანკი; პერიოდიკ ფაუნდეიშენი; ავტორის გამოთვლები


როგორც ვხედავთ, 19 შემთხვევაში შერჩეული 20 ქვეყნიდან, ეკონომიკურ თავისუფლებასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის არსებობს დადებითი კორელაციური კავშირი. ყველაზე სუსტი კავშირი შეიმჩნევა ჩეხეთის მაგალითზე (0.06). ამის საპირისპიროდ, საქართველოს შემთხვევაში ფიქსირდება კორელაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (0.71).

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თავისუფლებასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შორის შერჩეულ ქვეყანათა გარკვეული ნაწილისთვის არ შეინიშნება ძლიერი კორელაციური კავშირი (მაგ. ლატვია, ბულგარეთი, პოლონეთი, ყირგიზეთი, ხორვატია). პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე გავლენას ახდენს ბევრი სხვადასხვა ფაქტორი, რომელსაც ცხადია ვერ გაითვალისწინებს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (მაგ. პოლიტიკური სტაბილურობა, სტრატეგიული ლოკაცია, ადგილობრივი ბაზრის სიდიდე და სხვ). ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მოიცავს მხოლოდ ინვესტიციების მობილობის თავისუფლებას, რაც ცხადია მნიშვნელოვანი თუმცა არასაკმარისი არგუმენტია

საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ შემთხვევაშიც დასტურება ჩვენი მოსაზრება, რომ ეკონომიკური თავისუფლება წარმოადგენს ხელშემწყობ, მაგრამ არა გადამწყვეტ ფაქტორს როგორც მთლიან სამამულო პროდუქტზე, ასევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე გავლენის მოსახდენად.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების განხილვისას ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ისინი მოიცავენ ფასების დონის შეფასების ინდიკატორებს. ამდენად, საინტერესოა, თუ რამდენად ძლიერია კავშირი აღნიშნულ პარამეტრებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ თავისუფლებას უკუპროპორციული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორთან, იმისათვის რომ ეს მივიჩნიოთ პოზიტიურ დამოკიდებულებად. დიაგრამა 3.4-ზე ნაჩვენებია კორელაციის კოეფიციენტები ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორს შორის. როგორც ვხედავთ, ყველაზე სუსტი კავშირი აღნიშნულ პარამეტრებს შორის ფიქსირდება რუსეთის, ჩეხეთის, მოლდოვისა და ლატვიის შემთხვევაში. ამასთან, მიუხედავად ზოგიერთი ქვეყნის მიერ დაფიქსირებული სუსტი კავშირისა, ყველა შემთხვევაში ფიქსირდება უკუპროპორციული დამოკიდებულება. ისევე როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში, მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორთან მიმართებაშიც საქართველომ აჩვენა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კორელაციის კოეფიციენტი (-0.84) მოცემულ ცვლადებს შორის. ასევე, მაღალი უკუპროპორციული კავშირი აჩვენეს ესტონეთმა (-0.73), სომხეთმა (-0.91), ხორვატიამ (-0.83) და აზერბაიჯანმა (-0.79).

დიაგრამა 3.4 კორელაციის კოეფიციენტები ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიანი სამამულო პროდუქტის დეფლატორს შორის ქვეყნების მიხედვით (1995-2020 წლები)




წყარო: მსოფლიო ბანკი; ჰერითიჯ ფაუნდეიშენი; ავტორის გამოთვლები

ეკონომიკური თავისუფლება, მისი მრავალგანზომილებიანი ბუნებიდან გამომდინარე, ხასიათდება სისტემური მიდგომით შექმნას უნიკალური და ამავდროულად თანაბარი შესაძლებლობები, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კორპორაციულ დონეზე. შესაბამისად, წინასწარგანსაზღვრული და კონკრეტული მიზნებისკენ მიმართული და იმპლემენტირებული ეკონომიკური თავისუფლება უზრუნველყოფს ინდივიდებისა და ფირმებისათვის არჩევანის მრავალფეროვნებას, რაც საბოლოო ჯამში იქცევა სამეწარმეო სტიმულების შექმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა 3.5 გვიჩვენებს კავშირს ეკონომიკურ თავისუფლებასა და საწარმოო შესაძლებლობებს შორის. აღნიშნულ კავშირს ვზომავთ ვზომავთ კორელაციური კავშირის გამოვლენით ერთის მხრივ, ჰერითიჯ ფაუნდეიშენის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსსა და მეორეს მხრივ ლეგანუმის ინსტიტუტის კეთილდღეობის ინდექსის, ღია ეკონომიკის ქვეკატეგორიის საწარმოო

შესაძლებლობების (enterprise conditions) მაჩვენებლებს შორის.³⁷ საწარმოო შესაძლებლობები თავის მხრივ მოიცავს ადგილობრივი ბაზრის კონკურენტუნარიანობა, ბიზნეს გარემო, რეგულაციური წნეხი და სამუშაო ძალის ბაზრის მოქნილობა.

დიაგრამა 3.5 კავშირი სამეწარმეო შესაძლებლობებსა და ეკონომიკურ თავისუფლებას შორის (2019)



წყარო: ლეგანუმის ინსტიტუტი - ლეგანუმის კეთილდღეობის ინდექსი; პერიტიჯ ფაუნდეიშენი - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

კორელაციის კოეფიციენტმა შეადგინა 0.85, რაც მიუთითებს ძლიერ, პირდაპირპროპორციულ კორელაციურ კავშირს ზემოთაღწერილ პარამეტრებს შორის.

ეს კავშირი, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის მასტიმულირებელი აქტივობა იქნება არა მთავრობის ხარჯების ზრდა ანდა

³⁷ <https://www.prosperity.com/about/resources>


რეგულაციური წნეხის მატება, არამედ იმგვარი რეფორმების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამეწარმეო აქტივობებს, შექმნიან რა მეტ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზების გზებსაც ინდივიდებს მიანდობენ.

საინტერესოა ვაჩვენოთ თუ რა შესაძლო კავშირი შეიძლება არსებობდეს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ადამიანურ განვითარებას შორის. თუკი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ავიღებთ ქვეყანათა ხუთ კატეგორიას (რეპრესირებული, უმეტესად არათავისუფალი, საშუალოდ თავისუფალი, უმეტესად თავისუფალი და თავისუფალი) და თითოეულ კატეგორიაში შემავალი ქვეყნების ადამიანური განვითარების ინდექსებს გავასაშუალოვებთ, მივიღებთ შემდეგ შედეგს.³⁸ (იხ. დიაგრამა 3.5)

საზოგადოებრივი სარგებელი, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების მაღალი ხარისხის შედეგად მიიღება, სცილდება მხოლოდ შემოსავლის ზრდისა თუ სიღარიბის შემცირების სტერეოტიპს და კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის ეგზისტენციას. ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან ეკონომიკური თავისუფლების მაღალი მაჩვენებლებით, აღწევენ ადამიანური განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეებს, რომელსაც გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა აფასებს ყოველწლიურად და მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა, წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა, განათლება და სხვა. ამდენად, ზემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ვხედავთ, რომ ქვეყნები, რომლებიც ირჩევენ ეკონომიკური თავისუფლების განმტკიცების გზას საკუთარ მოქალაქეებს აძლევენ შესაძლებლობას მიიღონ უკეთესი განათლება, ჯანდაცვა თუ სხვა პირობები ცხოვრების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

დიაგრამა 3.6 ადამიანური განვითარების მაჩვენებელი ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (2019 წლის მონაცემები)

³⁸ გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP) ყოველწლიურად აქვეყნებს ადამიანური განვითარების ინდექსს.



წყარო: გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP); ჰერიტიჯ ფაუნდეიშენი; ავტორის განგარიშებები.

ეკონომიკურ თავისუფლებაზე საუბრისას, დეტალურად აღვწერეთ ის ქმედებები, რომლებიც ზღუდავენ და ამცირებენ მას. თუკი დავაკვირდებით უკანსკნელი წლების ტენდენციებს არაერთი სახელმწიფო აწესებს სხვადასხვა ტიპის რეგულაციებს, გადასახდებსა და ჯარიმებს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, რასაც მოსალოდნელია, რომ დადებითი ეფექტი ვერ ექნება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ორი მიზეზით:

- ჯარიმები, გადასახადები და შეზღუდვები არის ხარჯი, რომელსაც იხდის საზოგადოება;
- ხარჯების ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში ამცირებს ეკონომიკური აქტივობებისკენ მიდრეკილებას.


ამდენად, ზემოხსენებულ მსჯელობაზე დაყრდნობით, ეკონომიკური თავისუფლება და ჯანსაღი გარემო ნაკლებად თავსებადი ცნებები უნდა იყოს, თუმცა, თუკი დავაკვირდებით სტატისტიკურ მონაცემებს, სურათი აბსოლუტურად განსხვავებულია.

იელის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების ინდექსი³⁹ აფასებს, 24 განსხვავებულ ფაქტორს, რომელიც ერთიანდება 10 კატეგორიაში. შესაბამისად, საინტერესო იქნება აღნიშნული ინდექსის მაჩვენებლების გასაშუალოება, ეკონომიკური თავისუფლების კლასიფიკაციის იმ ხუთი კატეგორიის ფარგლებში, რომლებიც ზემოთ უკვე აღვწერეთ. დიაგრამა 3.6 გვიჩვენებს, რომ ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების უფრო მაღალი კატეგორიებიდან აღწევენ გარემოზე ზემოქმედების უკეთეს მაჩვენებლებს.

როგორი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ ეკონომიკური თავისუფლების დადებით გავლენას გარემოზე ზემოქმედების კუთხით? ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ინოვაციებისათვის ხელსაყრელ კლიმატს, დადებითი ურთიერთკავშირი კი ეკონომიკურ თავისუფლებასა და ინოვაციების მაღალ დონეს შორის მის ერთ-ერთ ასახვას ჰპოვებს სწორედ გარემოზე მოქმედ ფაქტორებში. ყველაზე უფრო შთამბეჭდავი წინსვლა ე.წ. მწვანე (ან/და განახლებადი) ენერჯის ან/და ენერჯო ეფექტურობის გაუმჯობესების თვალსაზრისით უკანსკნელ პერიოდში მოხდა არა სახელმწიფო რეგულაციების, არამედ თავისუფალი საბაზრო პრინციპების სტიმულირების გამო.

დიაგრამა 3.7 გარემოზე ზემოქმედების ინდექსის მაჩვენებელი ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიების მიხედვით (2019 წლის მონაცემები)

³⁹ იელის უნივერსიტეტის გარემოზე ზემოქმედების ინდექსი (EPI) - <https://epi.yale.edu/downloads>



წყარო: იელის უნივერსიტეტი; ჰერიტიჯ ფაუნდიშენი; ავტორის გამოთვლები.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ ნაწილში განხილული საკითხების ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა განგვემარტა ეკონომიკური თავისუფლების ფენომენი, მისი ინსტიტუციური ჩარჩო პირობები და სახელმწიფოს როლი ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველსაყოფად. მეორეს მხრივ, ჩვენი კვლევის პრაქტიკულ ნაწილში შევისწავლეთ თუ რა კავშირი არსებობს ეკონომიკურ თავისუფლებასა და სხვადასხვა მაკროეკონომიკურ პარამეტრებს შორის. ამასთან, ვაჩვენეთ ეკონომიკური თავისუფლების განვითარების დონე მსოფლიოს რეგიონულ ჭრილში, რამაც მოგვცა შესაძლებლობა კვლევის შედეგების განზოგადება მოგვეხდინა თითოეული მათგანის შესაბამისი დამახასიათებელი ფაქტორების გათვალისწინებით.

ამდენად, ჩვენი ნაშრომის დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება დავიწყოთ ეკონომიკური თავისუფლების დეფინიციის განსაზღვრით. ეკონომიკური თავისუფლება არის მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც ეფუძნება დაცული კერძო საკუთრების, თავისუფალი კონკურენციის, არჩევანის თავისუფლებისა და ნებაყოფლობითი გაცვლის პრინციპებს. ეკონომიკური თავისუფლების აღნიშნული პრინციპების დამკვიდრებას, განმტკიცებასა და გავრცელებას კი ემსახურება არაერთი ინსტრუმენტი, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ქვეყანაში სამართლებრივი ნორმების არსებობა იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს შეზღუდული მათი ინტერპრეტირების შესაძლებლობა. ასევე, სამართლიანი სასამართლოს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების, კერძო საკუთრებისა და ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს ფორმირებას. ეკონომიკური თავისუფლების თეორიული ანალიზი, მათ შორის ეკონომიკური თავისუფლების ხელშემწყობი ინსტიტუტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველა ინსტიტუტი რომელიც იცავს საკუთრების უფლებას მნიშვნელოვანია შერეული ეკონომიკის ფორმირებისა და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობისთვის.

ეკონომიკური თავისუფლების გავლენა სხვადასხვა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე შესწავლილ იქნა როგორც საქართველოს, ასევე მთლიანად პოსტ-

საბჭოთა სივრცისა და ზოგიერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნის მაგალითზე. აღნიშნული გავლენების ანალიზი დაიყო სამ ძირითად მიმართულებად:

1. შემთხვევითი ეფექტის მოდელის მეშვეობით ვაჩვენეთ კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე რეგიონულ ჭრილში.
2. ECM მოდელის მეშვეობით გამოვავლინეთ კავშირი ეკონომიკურ თავისუფლებასა და მთლიან სამამულო პროდუქტს შორის მოსახლეობის ერთ სულზე უკვე განყენებულად საქართველოს მაგალითზე;
3. გამოვავლინეთ კორელაციური კავშირი ზემოხსენებული ქვეყნების ჯგუფისთვის ეკონომიკურ თავისუფლებას, ინფლაციასა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიებს შორის.

